ბამოცდები 2014

შეცდომა რომელიც შედეგზე აისახება • ქულათა გაიბივება

NAEC.ge

მარტი 2014

ხაზია: „ზუსტად ან ქითხვა შემიძლია“

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე აღამიანების

განათლება საქართველოში

NAEC.ge

მარტი 2014



12

6 **გამოცდები 2014**
ამიერიდან ქულათა გაიგივება მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვში დაგეხმარებათ

10 **გამოცდები 2014**
შეცდომა რომელიც შედეგზე აისახება

12 **მთავარი სტატია**
როგორ იღებენ განათლებას საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები

16 **საავტორო სვეტი**
„ძაღლის ცხოვრებამ და ამ უცნობლობამ ტატოსათვის მე ავათ გამხადეს...“
თამაზ ჯოლოგუა

18 **მთავარი სტატია**
,,მეორეხარისხოვანი'' საგანი სკოლაში რომელიც ერთანი ეროვნული გამოცდების დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს

24 **ჩვენი სტუმარი**
თეატრალური უნივერსიტეტის აღმოჩენილი „პატარა ვაჟა„

30 **კვლევა**
საგანმანათლებლო კვლევები საქართველოში

38 **კვლევა**
სქესი და პროფესიული არჩევანი

42 **ინტერვიუ**
მეამბოხე თაობა – „გეგმიური„ რევოლუცია

52 **ფოტორეპორტაჟი**
ბუხრის თავზე შენახული თონიჯები
მიშა გიორგაძე

56 **ლიტერატურული გვერდი**
გაცვლა (გაგრძელება)
მარინა ელბაქიძე

72 **რეკომენდაცია და ტესტები**
რეკომენდაცია და ტესტები გამოსაშვები გამოცდისთვის

რედაქტორის სვეტი

მოგესალმებით ჩვენო მკითხველებო და სიამოვნებით წარმოგიდგენთ „NAEC.ge“-ს განახლებულ, მე-3 ნომერს. „შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა“ „ენჯი საქართველოსთან“ ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა, რომელიც ჟურნალის ვიზუალური თუ შინაარსობრივი მხარეების ცვლილებას გულისხმობს.

იმედი მაქვს, ჩვენი ჟურნალი უფრო მიმზიდველი და საინტერესო გახდება თქვენთვის, თუმცა თქვენი საყურადღებო მოსაზრებებისა და შენიშვნების გარეშე გამოცემის წარმატება, ვფიქრობ, შეუძლებელი იქნება.

გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი სტატიები, რომლებიც სასკოლო ცხოვრების მნიშვნელოვან ასპექტებსა თუ, ზოგადად, საგანმანათლებლო პრობლემებს ეძღვნება და რედაქცია სიამოვნებით გამოაქვეყნებს ყველაზე საყურადღებო და აქტუალურ მასალას.

დასასრულ, მინდა გთხოვოთ ყველას, ვინც ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის მიღებას გეგმავთ, რომ განსაკუთრებული ყურადღება რეგისტრაციის შესახებ გამოქვეყნებულ მასალას მიაქციოთ, ვინაიდან უმნიშვნელო შეცდომამ შესაძლოა თქვენი მიზნების მიღწევა შეაფერხოს.

ვიტოვებ თქვენთან აქტიური თანამშრომლობის იმედს და ოცნებების ასრულებას გისურვებთ!

NAEC.ge

მთავარი რედაქტორი:
გიორგი მაჭავარიანი

ჟურნალისტები:
ქეთი კვიტატიანი
თეიკო ანჯაფარიძე
მაია გაბუნია
ნინიკო რობაქიძე

ფოტოგრაფი:
სოფო რაზმაძე

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი
მისამართი:
მინდელის №9;
თბილისი 0186
ტელ.: 2 47 33 33
info@naec.ge

სტამბა:
Bilnet Printing/ Bilnet Matbaacılık, Dudulu Org. San. Bölgesi ,1.Cadde. No:16 ,Ümraniye-İSTANBUL Tel: 444 44 03 • Fax: (0216) 365 99 07-08 • www.bilnet.net.tr

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი
National Assessment and Examinations Center

დიზაინი და დაკაბადონება:
NG საქართველო

მისამართი:
საქართველოს ეროვნული მუზეუმი
თბილისი 0105, რუსთაველის გამზ. №3
ტელ.: 293 21 7; ფაქსი: 293 21 72; info@natgeo.ge

იფიქრეთ მომავალზე

„მომავლის სკოლა“ საქართველოში **1992** წლიდან ფუნქციონირებს. სკოლაში სწავლება მიმდინარეობს ორი პროგრამით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამით და ერთერთი ამერიკული სკოლის პროგრამით, რაც ყველა საგნის ინგლისურ ენაზე შესწავლას გულისხმობს **(Science, English, Social Students, World Building Math).**

მომავლის სკოლა

- ქართულ-ინგლისური პროგრამა
- კვების პროგრამა
- გახანგრძლივებული ჯგუფი
- კომფორტული და ჯანსაღი გარემო
- მოსამზადებელი კლასის პროგრამა, საბავშვო ბაღი
- **SAT** და **TOEFL** ტესტებში მომზადება.

მისამართი: თბილისი, ნ. რამიშვილის 37 ა (მზიურის პარკი). ტელ: 032 2233199
www.momavlisskola.ge

ამიერიდან ქულათა გაიგივება ზღვრის გაღაღახვაში

ავტორი: ქეთი ქვიტაშვილი

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მისამართით ხშირად ისმის სპონტანური და არაობიექტური ბრალდება: „დაწერეთ თანაბარი სირთულის ტესტები!“. ზუსტად თანაბარი სირთულის ტესტების შექმნა თითქმის შეუძლებელია. ერთი შეხედვით თითქოს იდენტური ორი ტესტისთვისაც კი, გასწორების პროცესის დასრულებისას, სტატისტიკური ანალიზით დგინდება, რომ აბიტურიენტთა ნაწილს რომელიღაც ვარიანტის დაწერა უფრო გაუჭირდა. როცა გამოცდები თითოეულ საგანში რამდენიმე სესიად მიმდინარეობს (რაც განაპირობებს საგამოცდო ტესტების სხვადასხვა ვარიანტის გამოყენების აუცილებლობას), შესაძლოა, კონკრეტული საგნის ტესტის სხვადასხვა ვარიანტი, სირთულის თვალსაზრისით, უმნიშვნელოდ განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან. ამიტომ, აბიტურიენტებისათვის თანაბარი საკონკურსო პირობების შესაქმნელად, გამოიყენება სკალირების მეთოდი, რომელიც აბიტურიენტების მიერ მიღებულ შედეგებს ერთ საერთო სტანდარტულ სკალაზე ათავსებს. ეს მეთოდი იძლევა ტესტის სხვადასხვა ვარიანტში მიღებული ქულების ერთმანეთთან შედარების საშუალებას და, ამდენად ითვალისწინებს იმ აბიტურიენტების

მინიმალური კომპეტენციის დაბეხმარებათ

SHUTTERSTOCK

ინტერესებს, რომლებმაც ტესტის შედარებით რთული ვარიანტი წერეს. თუმცა აქამდე კომპეტენციის მინიმალური ზღვრის გადალახვა მხოლოდ ნედლი ქულის მიხედვით ხდებოდა . წელს ცენტრმა გადაწყვიტა, ვარიანტის სირთულე ზღვრის გადალახვისასაც გაითვალისწინოს.

მარიამ ნაჭყებიას 2013 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ქართულის ტესტის ყველაზე რთული ვარიანტი შეხვდა და ზღვრის გადასალახად სულ რაღაც 1 ქულა დააკლდა. ჩვენთან საუბრისას მარიამი სწუხს, რომ არ გაუმართლა, ტესტის საშუალო ან შედარებით მარტივი ვარიანტი რომ შეხვედროდა, შესაძლოა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი გადაელახა და სტუდენტობის შანსი მისცემოდა. წელს ასეთი პრობლემა მას არც ერთ საგანში აღარ შეიქმნება.

ცენტრის ახალი ინიციატივის მიხედვით, იმ აბიტურიენტთა გამოვლენა, რომელთაც ზღვარი გადალახეს, სხვადასხვა ვარიანტში მიღებული ქულების გათანაბრების შემდეგ მოხდება. ამ ცვლილების შედეგად ზღვრის გადალახვის შანსს ინარჩუნებენ ის აბიტურიენტები, რომლებმაც შედარებით რთული ვარიანტი წერეს, ვერ გადალახეს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, მაგრამ ზღვართან მიახლოვებული ქულა მიიღეს.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე ბ-ნი ივა მინდაძე განმარტავს, რომ: „იმისთვის, რომ აბიტურიენტები მაქსიმალურად თანაბარ პირობებში ჩავაყენოთ, თუ აღმოჩნდება, რომ მათი გაიგივებული ქულა იქნება გამსვლელი ქულის ტოლი ან მასზე მეტი, აპლიკანტი გააგრძელებს კონკურსში მონაწილეობას. მაგალითად: თუ გამსვლელი ქულაა 24, ამ ან უკეთესი შედეგით აბიტურიენტი ყველა შემთხვევაში გადალახავს ზღვარს, მაგრამ თუ აპლიკანტმა წერა რთული ვარიანტი და მიიღო დავუშვათ 22 ქულა, ისიც აგრძელებს კონკურსში მონაწილეობას თუ მისი შედეგი ქულების გათანაბრების შემდეგ 24-ის ტოლი ან 24-ზე მეტი აღმოჩნდება.“

ეს ცვლილება შეეხება ყველა გამოცდას, რომლებშიც ტესტის თუნდაც 2 ვარიანტი არსებობს. სიახლეების გარდა, გამოცდების უცვლელი მკაცრი წესები წელსაც მოქმედებს, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შეღავათი და კომპრომისი გამორიცხულია. ამიტომ, ცენტრის თანამშრომლები ურჩევენ აბიტურიენტებს ყურადღებით წაიკითხონ ცნობარი და გამოცდების დასრულებამდე ამ დოკუმენტით იხელმძღვანელონ.

საქართველოს უნივერსიტეტი

სპეციალური პირობები

- ყველაზე წარმატებული სტუდენტების მონაწილეობას გაცვლით პროგრამებში უცხოეთის უნივერსიტეტებთან აფინანსებს უნივერსიტეტი;
- პირველ კურსზე სტუდენტები სწავლის საფასურს დაფარავენ ორ ნაწილად (სემესტრულად) - სექტემბერში და იანვარში.

საქართველოს უნივერსიტეტი ამზადებს თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით აღჭურვილ პროფესიონალებს. უნივერსიტეტს აქვს სიმულაციური საავადმყოფო, იმიტირებული სასამართლო დარბაზი და საფონდო ბირჟა, უახლესი ტექნოლოგიით აღჭურვილი ფიზიკის, კომპიუტერების, სტომატოლოგიის, მიკრობიოლოგიის, ანატომიის, ენებისა და CISCO-ს ლაბორატორიები, ტელე-მედია ცენტრი, მდიდარი სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურით აღჭურვილი ბიბლიოთეკა, კეთილმოწყობილი კაფეტერია, ღია და დახურული სპორტული მოედნები და სატრენაჟორო დარბაზი.

მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაში ბაქტერიული კულტურების კვლევის დროს

საქართველოს უნივერსიტეტში თავდაპირველად სტუდენტები მულიაჟებზე გადიან პრაქტიკას, მაღალ კურსებზე კი – კლინიკებში

ყველაზე დიდი კერძო უნივერსიტეტი საქართველოში, სადაც სწავლის საფასური სახელმწიფო უნივერსიტეტებში არსებული სწავლის გადასახადის ტოლია (2250 ლარი).

სტომატოლოგიური ლაბორატორია

საქართველოს უნივერსიტეტში თქვენ გელით:

- სწავლების უმაღლესი ხარისხი დაბალ ფასად – 2250 ლარი;
- სწავლების განმავლობაში უცვლელი გადასახადი;
- ძირითადი და დამატებითი სპეციალობების კომბინირების დიდი არჩევანი;
- გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამების ფართო სპექტრი;
- სასწავლო პროცესი მცირე სამუშაო ჯგუფებში საუკეთესო ქართველ და უცხოელ პროფესორებთან, შეხვერები დარგის ექსპერტებთან;
- თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი აუდიტორიები, ლაბორატორიები, ჯგუფური მუშაობის სპეციალიზებული ოთახები;
- სასწავლო პროცესის ადმინისტრირების ელექტრონული სისტემა;
- მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრება.
- საერთაშორისო სასერტიფიკატო პროგრამები: CISCO – CCNA, CCNP, Microsoft, Oracle Academy;
- სწავლის დასრულების შემდეგ - დასაქმება და წარმატებული პროფესიული კარიერა.

სტუდენტები ქსელებზე მუშაობას CISCO-ს ლაბორატორიაში სწავლობენ

სტუდენტური ცხოვრება: სათხილამურო კლუბი გუდაურში

შეცდომა, რომელიც შედეგზე აისახება!

ავტორი: თეიკო ანჯაფარიძე



რომელია რეგისტრაციის დროს დაშვებული ყველაზე ხშირი შეცდომა? – ამ კითხვაზე პასუხი, რეგისტრაციის დაწყებამდე მედიის წარმომადგენლებს, ხოლო დაშვებული შეცდომის შემდეგ უკვე აბიტურიენტებსა და მათ გულშემატკივრებს აინტერესებთ. თურმე არსებობს შეცდომების ნუსხა, როემლიც შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზის ოპერატორებთან გასაუბრების შემდეგ შევადგინეთ. ოპერატორები პირველები არიან, ვისაც აპლიკანტები პრობლემის გაჩენის შემთხვევაში უკავშირდებიან. ჩვენი სია ასე გამოიყურება:



რა ავიწყდებათ ყველაზე ხშირად აბიტურიენტებს?

1. სტატუსის მითითება. (ვსწავლობ, ექსტერნი, დავამთავრე);
2. საგნის სასურველ ენაზე ჩაბარების მონიშვნა;
3. საგამოცდო ქალაქის მითითება;
4. მოქალაქეობის მითითება;
5. შემოქმედებითი ტურის არჩევა (თუ საგანმანათლებლო პროგრამა ითხოვს).

რა ავიწყდებათ ყველაზე ხშირად მაგისტროსის კანდიდატებს?

1. საგამოცდო ქალაქის მითითება;
2. შესაბამისი ტიპის ტესტის არჩევა;
3. სასურველ ენაზე ჩაბარების მონიშვნა;
4. ბარათის აღების ადგილის მითითება.

რა ავიწყდებათ ყველაზე ხშირად პედაგოგებს?

1. საგამოცდო ქალაქის მითითება;
2. ბარათის აღების ადგილის მითითება.



SHUTTERSTOCK

რეგისტრაცია ყველა აპლიკანტისათვის თითქმის ერთდროულად ცხადდება და ერთი თვე გრძელდება. თქვენთვის საინტერესო ინფორმაცია სახლიდან გაუსვლელად შეგიძლიათ მიიღოთ ცენტრის ფეისბუკის, რამდენიმე ელექტრონული ფოსტის (pr@naec.ge; registracion@naec.ge; info@naec.ge) ან ცხელი ხაზის (247-33-33) ოპერატორების დახმარებით. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი საგანგებო რეჟიმში მუშაობს, „ცხელ პერიოდში„ დაახლოებით 10 000-მდე სატელეფონო ზარი და 25 000-მდე შეკითხვა შემოდის. როგორც სპეციალიტები ამბობენ, ხშირად აპლიკანტები (აბიტურიენტები, მაგისტრები, პედაგოგოები, სტუდენტები) ინსტრუქციას არ ეცნობიან და შეცდომებსაც ამიტომ უშვებენ.



სპეციალურად ჩვენი მკითხველისათვის მოკლე ინსტრუქცია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის ხელმძღვანელისაგან. დავით ჭანკოტაძე ყურადღებას აბიტურიენტების უყურადღებობაზე ამახვილებს:

– ბატონო დავით, პირველი და მთავარი კითხვა: სად და რობორ უნდა გაირონ მსურველებმა რეგისტრაცია?

– წინა წლების მსგავსად, აბიტურიენტები რეგისტრაციას ინტერნეტით გადიან. ინტერნეტით რეგისტრაციას აბიტურიენტი გადის ვებგვერდზე www.naec.ge ან online.naec.ge. ამისათვის მას უნდა ჰქონდეს (ან უნდა შექმნას) ელექტრონული ფოსტის მისამართი. მითითებულ მისამართზე შესვლის შემდეგ აბიტურიენტი სპეციალურ ველში უთითებს ელექტრონულ ფოსტას, რომელზეც მიიღებს პაროლს, მომხმარებლის სახელით (ელფოსტის მისამართი) და მიღებული პაროლით აბიტურიენტი შედის რეგისტრაციის პროგრამაში. სისტემა ავტომატურად ამოწმებს ინფორმაციას გადახდის შესახებ, რის შემდეგაც უნდა დაიწყოს შემდეგი ველების შევსება: მოსწავლის სტატუსი, სად გინდათ მიიღოთ საგამოცდო ბარათი (თუ აბიტურიენტს დამთავრებული აქვს სკოლა), საგამოცდო ქალაქი, საკონტაქტო ტელეფონი და მშობლიური ენა. აბიტურიენტმა უნდა მონიშნოს იმდენი გამოცდა, რამდენის ჩაბარების საფასურიც აქვს გადახდილი.

– ეს არის ის მონაცემები, რომელთა შეცვლასაც აბიტურიენტი ერთი თვის შემდეგ ვეღარ შეძლებს?

– დიახ, მართალი ბრძანდებით. ეს ინფორმაცია რეგისტრაციის დასრულების შემდეგ ვეღარ და აღარ შეიცვლება, მაგრამ უკვე მეორე წელია აბიტურიენტებს აქვთ უნიკალური შანსი სააპელაციო განაცხადების მიღების დასრულებამდე სასწავლო პროგრამების რეიტინგულ ჩამონათვალში შეიტანონ ცვლილება.

– რით უნდა იხელმძღვანელონ რეიტინგბული სიის ბაკეთების დროს?

– პირველ რიგში საკუთარი სურვილით. სიახლე, რომელზეც ჩვენ ვისუბრეთ იმითიც არის უნიკალური, რომ აბიტურიენტს რეალისტური არჩევანის გაკეთების საშუალებას აძლევს. მარტივად რომ ვთქვათ, საკუთარი ქულების გაგების შემდეგ მას კიდევ ერთხელ შეუძლია არჩევანის გააკეთება. აქვე მინდა კიდევ ერთი გაფრთხილება მივცე მათ: ყველა ცვლილების დადასტურება უნდა მიიღონ ელექტრონული ფოსტის საშუალებით. თუ ვერ მიიღო აღნიშნული დადასტურება, სავარაუდოდ, არ აქვს დასრულებული ცვლილებების განხორციელება (მაგ., არ დააჭირა შენახვის ღილაკს).

– კიდევ რა გაითვალისწინონ აპლიკანტებმა?

– არ გაანდოთ სხვას ელექტრონული ფოსტით მიღებული პაროლი, მხოლოდ თქვენ ხართ პასუხისმგებელი სარეგისტრაციო ანკეტაში მითითებული მონაცემების სისწორესა და შემდგომ მასში განხორციელებულ ცვლილებებზე. შეეცადეთ ხშირად გადაამოწმოთ თქვენი მონაცემები;

გამოცდა ცხოვრების მხოლოდ ერთი, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპია. რაღაცის დასასრული, კი ყოველთვის რაღაც ახლის დასაწყისია! ასე რომ, დაიცავით ინსტრუქცია და იყავი ყურადღებით! წარმატებას გისურვებთ!

რობორ იღებენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე აღამიანები განათლებას საქართველოში

ავტორი: ქეთი ქვიფაფიანი

2005 წლამდე საქართველოში განათლების სისტემა არ იცნობდა ინკლუზიური განათლების პრინციპებს და, შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობისა თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ნებისმიერი მოსწავლის განათლების ერთადერთ ალტერნეტივას სპეციალიზებული სკოლები წარმოადგენდა. არ არსებობდა განათლების ისეთი ფორმა, რომელიც სხვადასხვა დარღვევის მქონე პირებს სავალდებულო საშუალო განათლების მიღების საშუალებას მისცემდა. მხოლოდ 2005 წელს სცადა სახელმწიფომ დაეწყო ფიქრი ინკლუზირური განათლების დაენერგვაზე, რასაც ექვსი წელი დასჭირდა. პილოტირების პერიოდში მოეწყო თბილისისა და რეგიონების 20 საჯარო სკოლის ფიზიკური გარემო (პანდუსი, საპირფარეშო, რესურს ოთახები), აღიჭურვა შესაბამისი ინვენტარით, გადამზადდნენ მასწავლებლები და სკოლის ადმინისტრაცია.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მხოლოდ 2012 წელს აღიარა ინკლუზიური განათლება განათლების სისტემის ნაწილად და დაიწყო ინკლუზიური განათლების მოდელის განვითარება.

რა არის ინკლუზიური განათლება?

ინკლუზიური განათლება არის მიდგომა, რომელიც სწავლის დროს სირთულეებისა და მათი შესაძლებლობების მიუხედავად, სასწავლო პრო-

ცესში სკოლის ასაკის ყველა ბავშვის ჩართვას ცდილობს.

ვინ არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე?

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება გულისხმობს სწავლის სირთულეებს ან შეზღუდულ შესაძლობლობას, რომელსაც მოსწავლე სწავლის პროცესში აწყდება და რომლის დაძლევაც მას სპეციალური დახმარების გარეშე უჭირს.

„სკოლებში ინკლუზიური განათლების წარმატებული დანერგვისათვის აუცილებელია ინკლუზიური განათლების მიმართ მოსწავლეებისა და მათი მშობლების, სკოლის ადმინისტრაციის, მასწავლებლების მხრიდან კეთილგანწყობილი დამოკიდებულება. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა, ყველა წარმატებული ქმედების და ცოდნის გამოვლინების აღიარება, ასევე ფიზიკური გარემოს ადაპტირება“. – ამბობს ჩვენთან საუბრისას ქ-ნი ეკა დგებუაძე – განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველოს უფროსი.

– ქ-ნო ეკა, რობორ შეიძლება ჩაირიცხოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვი სკოლაში და რობორ ხდება მისი სპეციალური საბანმანათლებლო საჭიროების შეფასება?

აქვს თუ არა მოსწავლეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება დამოკიდებული არ არის მის სამედიცინო დიაგნოზზე ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსზე, არამედ – სირთულეზე სასწავლო პროცესში. ხოლო ვის აქვს და ვის არა ამგვარი სირთულე, ამას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში არსებული მულტიდისციპლინური გუნდი განსაზღვრავს, რომელიც დაკომპლექტებულია: ფსიქოლოგებისაგან, სპეციალური მასწავლებლებისაგან და ოკუპაციური თერაპევტისაგან. გუნდის შეფასებების და რეკომენდაციების საფუძველზე სკოლა

ეკა დგებუაძე – განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველოს უფროსი

„მათ საშუალება აქვთ სამ სასურველ პროფესიაში მოსინჯონ ძალები...“

ქმნის თითოეული მოსწავლისათვის ინდივიდუალრ სასწავლო გეგმას, სადაც განსაზღვრული უნდა იყოს მოსწავლის სუსტი და ძლიერი მხარეები. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ სკოლა არ არის ვალდებული შეფასების გარეშე ჩარიცხოს მოსწავლე. 2013 წლიდან მათ მიღებაზე ვერც ერთი საჯარო სკოლა ვეღარ იტყვის უარს, რადგან ვაღიარეთ, რომ ინკლუზიური განათლება არის განათლების ერთ-ერთი ფორმა, რომელიც საშუალებას აძლევს ყველა ბავშვს ჩართლი იყოს სასწავლო პროცესში. ბავშვის შეფასება ხდება მხოლოდ მშობლის მომართვის საფუძველზე, რათა განისაზღვროს, რა ტიპის დამატებითი მზრუნველობა ესაჭიროება მას.

– 2013 წელი განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებზე ზრუნვის წლად გამოაცხადა, განხორციელდა თუ არა ამ მიმართულებით რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება?

– 2013 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაფინანსების ახალი მოდელი შეიმუშავა და ოქტომბრის თვიდან დაიწყო მისი განხორციელება. სკოლა, სადაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე იღებს განათლებას, ვალდებულია აიყვანოს სპეციალური მასწავლებელი, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს, საგნის მასწავლებელს ინკლუზიური განათლების პროცესის ეფექტიან განხორციელებაში.

– 2013-2014 სასწავლო წელს სპეციალური საბანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს პირველად მიეცათ პროფესიული განათლების პროგრამებით სწავლის გაგრძელების საშუალება. რობორი იყო აქტივობა?

– წელს 60-მდე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აბიტურიენტი დარეგისტრირდა პროფესიულ პროგრამებზე სწავლის გასაგრძელებლად, მათგან 51 სტუდენტი გახდა. პროფესიულ სასწავლებელში ამ აბიტურიენტთათვის ჩაბარების პროცედურა არის განსხვავებული, მათ საშუალება აქვთ სამ სასურველ პროფესიაში მოსინჯონ ძალები და მხოლოდ ამის შემდგომ, სურვილისა და შესაძლებლობების გთვალისწი-

ნებით ჩაირიცხონ შესაბამისს პროგრამაზე. სახელმწიფო მთლიანად უზრუნველყოფს სწავლის დაფინანსებას და მათთვის სპეციალური პირობების შექმნას.

პროფესიულ სასწავლებელ „მერმისში“ 16 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტიდან ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ხატია ლაფერიშვილია. ხატია სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის პროფესიას ეუფლება, მას ბავშვობიდან აქვს სმენასთან დაკავშირებული პრობლემები.

– ხატია, ბანათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პირველი პირი მოვალეობა სპეციალური საბანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებს დაეხმაროს, რომ მათ მაქსიმალურად სრულფასოვანი ბანათლება მიიღონ. რამდენი წლის შეხვედით სკოლაში და რა სპეციალურ დახმარებას ბიწევდნენ პედაგობები სწავლისას?

– სკოლაში 7 წლის ასაკში შევედი, ეს იყო სკოლა-გიმნაზია „ოქროს აკვანი“, ამ სკოლის პედაგოგები სულ გვერდით მედგნენ სწავლის პროცესში და ცდილობდნენ ყველა საგანში დამხმარებოდნენ. ნამდვილად კარგად ვიხსენებ სკოლის წლებს, უსაზღვრო სითბო და სიყვარული გამომყვა თითოეული პედაგოგისაგან და კლასელებისაგან, რასაც ვერასდროს დავივიწყებ. ბავშვობიდან კარგად ვხატავდი, ჩემი ნამუშევრები მოსწავლეებსაც მოსწონდათ და მასწავლებლებსაც, გამოფენებზეც ხშირად გაჰქონდათ. ამიტომ მშობლებმა ჯერ ხატვის წრეზე შემიყვანეს, შემდეგ კერვით დავინტერესდი და დავიწყე ჭრა-კერვის წრეზე სიარული. როდესაც გავიგე, რომ კოლეჯ „მერმისშიც“ შემეძლო უფრო საფუძვლიანად მესწავლა კერვა და ქსოვილზე მუშაობა, ძალიან გამეხარდა. მე-10 კლასიდან გამოვედი, აქ გავიარე ტესტირება და ჩავირიცხე პროგრამაზე - სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი. ახლა უკვე შემიძლია დიპლომირებული მკერავი გავხდე.

ხატიას ტუჩიდან კითხვა შეუძლია. ის მეტყველებას მოსაუბრის ბაგეზე დაკვირვებით აღიქვამს, პედაგოგები ცდილობენ ხატიას ესაუბრონ პირისპირ, მარტივი, გამოკვეთილი წინადადებებით. კომუნიაციას ამყარებენ, როგორც მეტყველებით, ასევე ჟესტებით, საჭირების შემთხვევაში ხდება ინსტრუქციების რამდენჯერმე გამეორება. ტექსტის უკეთ გაგების მიზნით, ვერბალური მასალა მას დამატებით, წერილობითი სახითაც მიეწოდება.ზეპირი გამოკითხვისას ხატიას გამოკითხვა ხდება წერილობით ან ტესტების სახით.

– ხაზია, რამდენად კმაყოფილი ხართ სასწავლო პროცესით?

სწავლის პროცესით ძალიან კმაყოფილი ვარ, ყოველ დილით ხალისით მოვდივარ კოლეჯში, გამიმართლა, რომ აქ მოვხვდი, ვერ გამოვხატავ რამხელა სითბოსა და სიყვარულს ვგრძნობ მასწავლებლებისაგან და სპეციალისტებისაგან, ისინი მაქსიმალურად ცდილობენ გამიმარტივონ და ჩემთვის გასაგები გახადონ თითოეული გაკვეთილი, რისთვისაც მე მათი უზომოდ მადლიერი ვარ.

– რა ბებმები ბაქვთ მომავალში?

მინდა კოლეჯის დამთავრების შემდეგ დავსაქმდე და ვაკეთო ის საქმე, რომელიც ძალიან მიყვარს.

ქითხვაზე: – აქვთ თუ არა სპეციალური საბანმანათლებლო საჭიროების ბირებს დასაქმების ბერსპექტივა?

ეკა დგებუძე გვპასუხობს, რომ „სპეცილური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე დიპლომირებული ახალგაზრდების დასაქმება წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტია, ამ ეტაპზე დასაქმების პერსპექტივებთან დაკავშირებით ჯანდაცვის სამინისტროსთან ვთანამშრომლობთ“.

„ახალგაზრდა ფსიქოლოგთა ასოციაცია“ ფონდ ღია საზოგადოება - საქართველოს მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს „თანაბარი გარემო ყველა ბავშვისთვის“. პროექტის მიზანია დისლექსიის პრობლემის ადვოკატირება საზოგადოებაში. ადვოკატირების კამპანია მოიცავს საინფორმაციო შეხვედრებს, თბილისის საჯარო სკოლებში, მშობლებთან და პედაგოგებთან. გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში მომზადდა საინფორმაციო ბროშურები, რომლის მეშვეობითაც საზოგადოება გაეცნობა დისლეექსიის პრობლემას.

დისლექსია არის დასწავლის უნარის დარღვევა, რომელიც ვლინდება კითხვის, წერის, მათემატიკური უნარების განვითარების შეფერხებაში. დისლექსიის გამოვლენის აქტიური ფაზაა 5-6 წლის ასაკი (როდესაც ბავშვი ურთიერთობას იწყებს სიმბოლოებთან: ასოები, სიტყვები და ციფრები).

დისლექსია - სირთულეები კითხვის პროცესში: ასოების, სიტყვების, სასვენი ნიშნებისა და წინადადებების წაკითხვისას. **დისკალკულაცია** - სირთულეები ანგარიშის დროს: ციფრების, რიცხვების, მათემატიკური სიმბოლოებისაღქმის და მათი გადაადგილების პრობლემა. **დისგრაფია** - სირთულეები წერის პროცესში: ასოების, ტექსტების ან მათემატიკური სიმბოლოების შეცდომებით და დამახინჯებული სიმბოლოებით წერა. ხშირ შემთხვევაში ზემოთ ჩამოთვლილი დასწავლის უნარების შეფერხებების თანმდევი პროცესია **დისპრაქსია** - (სივრცითი და დროის მიმართებების აღრევა) მოტორიკასთან დაკავშირებული სირთულეები: დროისა და სივრცის აღქმის პრობლემა, ორიენტაციის უნარის შეფერხება.

ერთად შევუქმნათ ყველა ბავშვს თანაბარი გარემო.

მსგავსი სიმპტომების აღმოჩენისშემთხვევაში, დაგვიკავშირდით

მის.: თბილისი, ათონელის ქუჩა №18

მობ.: + 995 555 45 34 18;
ტელ.: +32 2 93 64 29

პროექტის ხელმძღვანელი
ნინო ჩლაიძე
ტელ.: + 995 593 13 66 01

დისლექტიკი ბავშვი არის ენერგიული, იმპულსური, ხშირად ფამილარული. ვერბალურად კარგად შეუძლია გამოხატოს თავისი აზრი, თუმცა წერის, კითხვისა და ანგარიშის დროს აქვს შეფერხებები. გაფანტულია, რაც გამოიხატება ყურადღების კონცენტრაციის დაბალი დონით. მიდრეკილია შემოქმედებისაკენ, როგორიცაა : მუსიკა, დრამა, სპორტი, მექანიკა და ა.შ. ახასიათებს ზედმეტად განვითარებული წარმოსახვა და ინტუიციის მაღალი დონე. ყველაზე კარგად დაისწავლის პრაქტიკული გამოცდილებით. აქვს სმენითი მეხსიერებისა და აღქმის ძლიერი უნარი.
„დღევანდელ ცივილიზებულ სამყაროში, დისლექსია არ აღიქმება რთულ პრობლემად. სკოლებში ასეთი ბავშვებისათვის გათვალისწინებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, სახელმძღვანელოების აუდიო-ვერსიები, სპეციალური ცენტრები და ა.შ. განვითარებულ ქვეყნებში დისლექტიკების უმრავლესობა უმაღლეს განათლებას იღებს. მათთვის სპეციალური საგამოცდო სისტემაა შექმნილი.

საქართველოში,ისევე როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, გავრცელებულია დისლექსია. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ საზოგადოებამ ნაკლებად იცის ამ მოვლენის შესახებ, სამწუხაროდ, დისლექტიკ ბავშვთა უმრავლესობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად მიიჩნევა. საბოლოო ჯამში, ბავშვის თვითშეფასება ეცემა და ის იჯერებს, რომ მისი შესაძლებლობები გამოუსწორებლად შეზღუდულია. შედეგად ვიღებთ ქმედითუუნარო, საზოგადოებისაგან გარიყულ ადამიანს. ცნობილია, რომ თუ დისლექტიკ ბავშვებს ხელშეწყობა ექნებათ, მათი შესაძლებლობები არა თუ ჩამოუვარდება სხვისას, არამედ ხშირ შემთხვევაში, გაცილებით მეტია.

ამ პრობლემის დაძლევისათვის ბევრი რამ არის გასაკეთებელი: განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტროების მონაწილეობითა და ხელშეწყობით, სკოლებში და სკოლამდელ ბავშვებში სპეციალური ტესტირების მეშვეობით, კვლევების ჩატარება. სპეციალურ პროგრამებზე მუშაობა, რაც გულისხმობს ადაპტირებული სახელმძღვანელოებისა და სასკოლო პროგრამების აუდიო ვერსიების შემუშავებას. დისლექსიის მიმართულებით სპეც-პედაგოგების გადამზადება, დისლექსიის ინკლუზიური განათლების პროგრამის ჩარჩოში მოქცევა, დისლექსიის შესახებ სამეცნიერო კვლევებისა და ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნა და მრავალი სხვა.

თუმცა, პირველ რიგში მნიშვნელოვანია ამ პრობლემის საჯარო განხილვის თემად ქცევა.
საზოგადოებისათვის ზუსტი ინფორმაციის მიწოდება თუ რას ნიშნავს დისლექსია. მშობლების გააქტიურება და სამომავლოაქტივობებში ჩართვა.

ახალგაზრდა ფსიქოლოგთა ასოციაცია

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

ავტორი: თამაზ ჭოღობუა

„ძალიან ცხოვრებამ და ამ უცნობლობამ ფაფოსათვის მე ავათ ბამხადეს...“

გავრცელებული შეხედულება, თითქოს გრიგოლ ორბელიანი გულგრილი იყო თავისი გენიალური დისწულის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ბედისადმი და ნიკოლოზის ტრაგიკულ ბედისწერაში ღვიძლი ბიძის უყურადღებობასაც უდევს წილი, მცდარიცაა და უსამართლოც.

1830-1840 წლებში განუწყვეტლივ უცხოობაში მყოფ გრიგოლ ორბელიანს მხოლოდ შორიდან თუ შეეძლო დისწულის თანაგრძნობა და გამხნევება და, მუდამ ვალებში ჩაფლული, მისთვის მატერიალურად ხელის გამართვასაც ვერ ახერხებდა. გაუსაძლისი, დამთრგუნველი სიღარიბის შესახებ გრ. ორბელიანი მწუხარებითა და გულისტკივილით „შეზავებულ“ ბარათებს გზავნიდა სამშობლოში, მათ შორის, საკუთარი ძმების, – ილიასა და ზაქარიას, – მისამართით და, ალბათ, ჯობს აქ თვითონ ამ ბარათების ავტორს მოვუსმინოთ:

„საწყალს დედა ჩვენს აუღია ხაზინიდამ სამასი თუმანი და ვალებში დაურიგებია...“ (1833 წ. სექტემბრის ბარათი ზაქარიასადმი).

„ღმერთო, რა უბედური ოჯახი შეიქმნა სახლი ჩუენი. – ოხ! რა ძნელია მოსათმენად, რომ კაცი ჰხედავდეს ესრეთ გულის საყუარელს დას უკანასკნელ განწირულებაში, და არ შეეძლოს შემწეობა“ (1835 წლის აპრილის ბარათი ზაქარიასადმი).

„ვჰწუხვარ, ძალიან ვჰწუხვარ შენმა გაზდამ, რომ ამ წერილთან არ შემიძლიან გამოგზავნა ფულისა, რომელიცა ახლა შენთვის, ვიცი ძალიან, ძალიან საჭირო არის. რა უყო, ამავე სიღარიბემ დამაბრკოლა, რომ ვერ წამოველ კოვნოდამ შენ სახილველად, იფიქრე რა ახლოს ვიყავით, მხოლოდ სამასი ვერსი, და ურთიერთი ვერა ვნახეთ“ (1836 წლის ნოემბრის ბარათი ილიასადმი).

„დედი ჩვენის პენცია 450 რუბლი თეთრი მოგვეცა იმ დღიდან, რა გარდაიცვალა. ეს ცოტა ფეხზე დაგვადგენს, და როგორც იქნება დროზედ ვალებიდამ გამოვალთ“ (1839 წლის დეკემბრის წერილი ილიასადმი).

„სიყრმითგან სიბერემდის ასე უნდა ვიწოდეთ ერთი ლუკმა პურისათვის, რომლისა მოსაპოებლად ძაღლებსავით უნდა ვეყარნეთ გარეთ, შორს ჩვენის სახლკარისაგან... ყმაწვილსავით ვტირი. ახრ, როდემდის უნდა ამგვარ სიგლახაკეში ვიხრუკებოდეთ?“ (1843 წლის

აგვისტოს ბარათი ზაქარიასადმი).
„ეფემიამ რით შეინახოს ესოდენი წვრილი შვილები, სრულიად ღატაკად დაშთომილნი... რა უყოთ, რითა ან როგორ შევეწივნეთ უსახლკაროსა, უპუროსა, უტანისამოსოს ჩვენს დასა? ეს ფიქრი მაგიჟებს სრულიად, ნეტავი მოვკუდე და ამდენს სიგლახაკეს მოვრჩე“ (1845 წლის იანვრის ბარათი ილიასადმი) და ა. შ. და ა. შ.
არც იმის თქმაა სამართლიანი, თითქოს გრიგოლ ორბელიანს, რომელსაც „ადრევე უპოვია სულიერი ნათესაობა დისწულთან“ (ა. გაწერელია), არ ენაღვლებოდა ნიკოლოზის მომავალი. ხელისუფლებისაგან ჯერ კიდევ შერისხული გრიგოლი 1835 წლის ივლისს რიგიდან სწერს ზაქარია ორბელიანს: „ურჩიე მელიტონს, რომ ეცადოს на казённом иждивении იმის (ნ. ბარათაშვილის – თ. ჯ.) გაგზავნა რომელსამე უნივერსიტეტში. – Жаль, очень жаль будет, если его умственные способности останутся без развития. – ნეტავი გამოგზავნოს დერპტსკის უნივერსიტეტში, რომელიცა არის უპირველესი რუსეთში. – ძალიან ადვილია ამის აღსრულება, თუკი მელიტონ ჰსთხოვს ბარონს“.
თუმცა თავისი სიჯიუტით განთქმულმა, დესპოტური ბუნების მელიტონმა მთავარმართებელს, ბარონ გრიგოლ როზენს, არაფერი სთხოვა, შვილი კი ასე დაარიგა: „ხომ ჰხედავ შენი სახლის გარემოებასაო, იქნება მე ვეღარც კი გავაწიო ამ სნეულებასაო, შენს სახლს არ უპატრონებო?“ ამის შემდეგო, – წერს გრიგოლისადმი მიწერილ ბარათში ნიკოლოზ ბარათაშვილი, – „გული აღარ იყო, რომ კიდევ შემეწუხებინა მამა ჩემის თხოვნით. დავრჩი ისევ ჩემს მამულში და დავუმორჩილდი ჩემს მკაცრს ბედსა...“
იცოდნენ რა დისწულის მიმართ გრიგოლის გამორჩეული სიყვარული, ახლობლები მას კარგა ხანს უმალავდნენ ნიკოლოზის სიკვდილს. ყურმოკრული ცნობებითა და ავი წინათგრძნობით შეპყრობილი გრიგოლი 1845 წლის 12 ნოემბერს თემირ-ხან-შურიდან სწერს ილია ორბელიანს: „ტატოს ამბავი, ჩემი გულით საყვარელის ტატოს ამბავი მომწერე, ცოცხალია თუ მკვდარი? – უცნობობა მკლავს... ახრ, ეს დამალვა რა არის?.. აქაურმა ცხოვრებამ, ძაღლის ცხოვრებამ და ამ უცნობლობამ ტატოსათვის მე ავათ გამხადეს... თუ ხატი გრწამს, მომწერე ტატოს ამბავი...“
დაბეჯითებით თქმა ძნელია, თუმცა გამორიცხული არ ჩანს, ნიკოლოზ ბარათაშვილისათვის ბიძის ნაწერები შემოქმედებითი წყაროც ყოფილიყო. საილუსტრაციოდ აქ მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვანთ – გრიგოლის წერილს მანანა ორბელიანისადმი, მოწერილს 1834 წელს ვილნოს მახლობლად მდებარე დაბიდან თბილისში: „ვზივარ მარტო დაყრუებულს ოთახში ღამე და ჩემს სიახლოესა დარეკეს საყდარი, მისაღებელად ახლად მიცვალებულისა აქაურისა პომეშჩიკის ქალისა. – უნებლიეთ აღმოუტევე ოხრვა მწუხარებისა! ვაითუ მალე ჩემთვისაც ასე დარეკონ და საფლავი ჩემი გასთხარონ მხარესა უცხოს; შორს ყოველთა ჩემთა გულისა საყუარელთაგან და არცა ერთი ცრემლი არა



ბამორიცხული არ ჩანს, ნიკოლოზ ბარათაშვილისათვის ბიძის ნაწერები შემოქმედებითი წყაროც ყოფილიყო.

დაეცეს მიწასა, საუკუნოდ ჩემს დამფარველსა“. ძნელი არ უნდა იყოს, დავინახოთ გრიგოლ ორბელიანის ამ ტექსტთან ბარათაშვილის „მერანის“ კავშირი (ეს ნათესავთა, ახლობელთა, მეზობელთა წრეა და, საფიქრებელია, უცხოეთში გადაკარგული გრიგოლის წერილს მელიტონ ბარათაშვილის ოჯახშიც წაიკითხავდნენ). საერთოდ, ამ რაკურსით საკითხის სპეციალურმა შესწავლამ, ადვილი შესაძლებელია, ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების ახალი წყაროები გამოავლინოს.

„მეორეხარისხოვანი“ საბანი სკოლაში,

რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების დროს მნიშვნელოვანი ხდება

ავტორი: ქეთი კვიტაშვილი

2014 წლიდან აბიტურიენტებს საშუალება ექნებათ არჩევით საგნად სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებაც ჩააბარონ. საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ამ საგანის სწავლება I-IX კლასის ჩათვლით სავალდებულოა, დამამთავრებელ კლასებში კი არჩევით საგნად ისწავლება.

საქართველოს სკოლებში ხელოვნების ისტორია პრაქტიკულად არ ისწავლებოდა, თუ არ ჩავთვლით ისტორიის სახელმძღვანელოებში გამოყოფილ რამდენიმე თავს, რომლებშიც ძალიან მშრალად იყო მოცემული სახელოვნებათმცოდნეო მასალა. 2006 წლიდან სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება სავალდებულო საგანი გახდა. 2014 წელს კი ის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე არჩევით საგნად ბარდება. იმის შესახებ, თუ რატომ იყო ამ საგნის მიმართ ასე სკეპტიკუ რად განწყობილი საბჭოთა ხელისუფლება და რამ შეცვალა ან რა დონეზე შეიცვალა ეს დამოკიდებულება, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის მიმართულების ხელმძღვანელი ქ-ნ ბუბა ოჩიაური გავესაუბრება:

– ესთეტიკური აღზრდის საგნების სწავლებასთან დაკავშირებით არსებობდა და ჯერ კიდევ არსებობს მთელი რიგი პრობლემებისა. ამ პრობლემების მიზეზი, ალბათ, სათავეს განათლების ძველ სისტემაში და იმ პერიოდში დამკვიდრებულ დამოკიდებულებაში იღებს, როდესაც მუსიკა და ხელოვნება „მეორეხარისხოვან“ საგნებად იყო მიჩნეული. ჩამოყალიბდა მცდარი წარმოდგენა ამ დისციპლინებზე, კერძოდ: თუ მოსწავლე არ გამოირჩევა განსაკუთრებული ნიჭით, ამ საგნებში მიღებულმა დაბალმა შეფასებამ რატომ უნდა „გააფუჭოს“ საერთო ნიშანი და სხვ.

რობორ დაიწყო ყველაფერი, რობორ შეხვდნენ სკოლები ახალ სავალდებულო საბანს – სახვით და გამოყენებით ხელოვნებას?

2006 წლიდან ძირეულად შეიცვალა ხელოვნების სწავლება. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ხელოვნება და მუსიკა სავალდებულო საგნები გახდა დაწყებით და საბაზო საფეხურებზე (ადრე ისწავლებოდა მხოლოდ დაწყებით საფეხურზე). ამავდროულად, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანი აერთიანებს პრაქტიკულ („ხატვა“, „შრომა“) და თეორიულ („ხელოვნების ისტორია“) ცოდნასა და უნარებს. ზემოაღნიშნული საგნებისადმი აბსოლუტურად ზერელე დამოკიდებულება ჰქონდათ არა მხოლოდ მშობლებს და მათი წყალობით მოსწავლეებს, არამედ, ზოგადად, ამგვარი მიდგომა უკვე გარკვეულ სტერეოტიპად იქცა, ანუ სწავლა იმ საგნებისა, რომლებშიც გამოცდები არ ბარდებოდა – არც ეროვნული, არც საატესტატო, დროის ფუჭ კარგვად მიიჩნევა. მშობლებისათვის და თავად მასწავლებლებისათვისაც კი ხშირად გვიხდება იმის ახსნა, რომ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, სპორტი ისეთივე დისციპლინებია, როგორებიც სხვა საგნები. ხოლო ხატვა, მუსიკის მოსმენა, სიმღერა, ისევე ისწავლება, როგორც მათემატიკა, ისტორია ან ბიოლოგია. განვუმარტავთ, რომ ეს ყველაფერი გათვალისწინებულია შეფასების სისტემაში და ნიშნის შემადგენელი კომპონენტები სხვადასხვა უნარის შემოწმებას ემსახურება, კერძოდ, რამდენად ორგანიზებულია, შემოქმედებითია მოსწავლე, რამდენად ფლობს ტექნიკურ საშუალებებს და სხვ. მაგრამ სისტემა არ აფასებს იმას, თუ რამდენად ნიჭიერია მოსწავლე, როგორ ხატავს, მღერის ან ძერწავს.

თავად სკოლა თუ ზრუნავს ამ პრობლემის მოგვარებაზე?

– ამ საგნების მიმართ ზერელე დამოკიდებულება სკოლის დირექტორებსა და ადმინისტრაციებსაც გააჩნიათ, რაც იმის მიზეზი ხდება, რომ ხშირად ესთეტიკური ბლოკის საგნები მოსწავლეებს ან საერთოდ არ უტარდებათ და მათ ხარჯზე სხვა, უფრო „სასარგებლო“ საგნებს სწავლობენ, ან საათების რაოდენობა მცირდება და ეს დრო სხვა საგნებს ეთმობა.

ანა კლდიაშვილი

ნინო ხუნდაძე

რაში ხედავთ ბამოსავალს? რობორ შეიძლება მოგვარდეს პრობლემა?

– ამ პრობლემების გადაჭრის ბევრი გზა არსებობს, მათ შორის ერთ-ერთია ერთიან ეროვნულ გამოცდებზე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების გამოცდის შემოღება. მიგვაჩნია, რომ შეიცვლება ამ საგნისადმი „ზერელე“ დამოკიდებულება, რაც სწავლების ხარისხს მნიშვნელოვნად აამაღლებს.

არჩევით საგნად სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ისტორიის დამატებას სიხარულით შეხვდნენ სახელოვნებო უმაღლესი სასწავლებლები. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ანა კლდიაშვილი ჩვენთან საუბრისას აღნიშნავს: „მთელი გულით მივესალმები ერთიანი ეროვნული გამოცდების არჩევითი საგნების რიგში ხელოვნების ჩართვას. მართალია, ხელოვნება სკოლაში უკვე კარგა ხანია ისწავლება, მაგრამ იმის გამო, რომ ამ საგანში არც დამამთავრებელი გამოცდა ტარდება და ის აქამდე არც ერთიანი ეროვნული გამოცდების საგანთა ნუსხაში იყო შეტანილი, სკოლაში მის მიმართ, რბილად რომ ვთქვათ, მეტად გულგრილი დამოკიდებულება იყო. არადა, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეს მეტად მნიშვნელოვანი საგანია, რომელიც მოსწავლეს უვითარებს ანალიზის უნარს, ვიზუალური ინფორმაციის ემოციურად აღქმისა და შემდეგ აღქმულის გაანალიზების ჩვევას; ასევე, ამ საგნის შესწავლისას მოსწავლე მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დანახვასა და საკუთარი მოსაზრებების არგუმენტირებულად ჩამოყალიბებას სწავლობს. ხელოვნება იმ საგანთა რიგშია (ლიტერატურასთან და ისტორიასთან ერთად), რომელთა შესაწავ-

ლისას ცოდნის მიღებასთან ერთად მოსწავლე მარადიულ საკაცობრიო ფასეულობებსაც ეზიარება, რაც პიროვნებად და მოქალაქედ მისი ჩამოყალიბების აუცილებელი პირობაა.

ხელოვნების დამატება ერთიანი ეროვნული გამოცდების საგნების ნუსხაში, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია იმ აბიტურიენტებისათვის, რომლებიც უმაღლეს სახელოვნებო სასწავლებლებში აპირებენ სწავლის გაგრძელებას. ამ გამოცდისათვის საგანგებოდ მომზადებისას მოსწავლეები გარკვეულ საბაზისო ცოდნას

ბაბა ოდისეიანი

ია აფთარაშვილი

მშობლებმა ბავშვებთან ერთად უნდა ძერწონ და ხატონ და ისეთივე მნიშვნელობა მიანიჭონ სახვით ხელოვნებას, როგორსაც ბავშვის მიერ დაწერილ თხზულებას ან მათემატიკაში გამოყვანილ სავარჯიშოს ანიჭებენ.

შეიძენენ, რაც უმაღლეს სასწავლებელში სწავლისას ერთგვარი მყარი საფუძველი იქნება მათთვის. ეს მნიშვნელოვნად გაუადვილებს უმაღლეს სასწავლებლებს პრობლემების მოგვარებას, რადგან პედაგოგებს

სტუდენტებთან მუშაობის დაწყება ნოლიდან აღარ მოუწევთ. ცხადია, ეს გარკვეულად აამაღლებს სწავლების ეფექტიანობას თავად უმაღლეს სახელოვნებო სასწავლებლებში.“

ბავშვთა ფსიქოლოგების აზრით, მოსწავლის ესთეტიკურ განვითარებას ზოგადი განათლების ნებისმიერ საფეხურზე დიდი მნიშვნელობა აქვს. ისინი ურჩევენ მშობლებს ბავშვებთან ერთად ძერწონ და ხატონ და ისეთივე მნიშვნელობა მიანიჭონ სახვით ხელოვნებას, როგორსაც ბავშვის მიერ დაწერილ თხზულებას ან მათემატიკაში გამოყვანილ სავარჯიშოს ანიჭებენ.

იმის შესახებ, თუ რა უნარებს ავითარებს სახვითი ხელოვნების სწავლა/სწავლება მოზარდის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის ფსიქოლოგების ჯგუფის ხელმძღვანელი ია აფთარაშვილი გვესაუბრება:

ია აფთარაშვილი: სახვითი ხელოვნება ხელს უწყობს მოსწავლის ისეთი სასიცოცხლო უნარების განვითარებას, როგორებიცაა:

ვიზუალურ-სივრცითი უნარები. ხატვა, ძერწვა და ა. შ. ხელს უწყობს ბავშვის სივრცული ორიენტაციის უნარის განვითარებას, თვალისა და ხელის კოორდინირებულ მოქმედებას, აღქმის დიფერენცირებულობას.

კომუნიკაციური უნარები და მეტყველების განვითარება. ხელოვნების შესწავლის პროცესში მოსწავლე იმდიდრებს ლექსიკურ მარაგს, რომელიც ეხმარება მას საკუთარი გრძნობებისა და საკუთარი ემოციების ვერბალიზებაში. მაგალითად, მაშინ, როდესაც ის ცდილობს ინტერპრეტაცია გაუკეთოს სხვის შემოქმედებას ან გადმოსცეს საკუთარი შემოქმედების არსი. ასევე ხელოვნებას შეუძლია თავის თავზე აიღოს მეტყველების ფუნქცია, კერძოდ, ექსპრესიულობის (ემოციების გამოხატვის) ფუნქცია. მისი საშუალებით მოსწავლემ შეიძლება მოახერხოს ისეთი მნიშვნელოვანი ემოციების გამოხატვა, რომელთა შესახებაც ხმამაღლა ვერ საუბრობს, სიტყვებით ვერ გადმოსცემს, მაგრამ მისი სულიერი სამყაროს ნაწილია.

ნატიფი მოტორიკა. სახვითი ხელოვნება ეხმარება მოსწავლეს ნატიფი მოტორიკის განვითარებაში, რამდენადაც ხატვა, ფუნჯის მოსმა, კონტურების გაკეთება, ფაქიზი, ზუსტი მოძრაობების შესრულება და ა. შ. საჭიროებს თითების ნატიფი მოტორიკის გავარჯიშებას. ეს ყველაფერი კი, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი წინაპირობაა წერის უნარის წარმატებული ათვისებისათვის.

პრობლემის გადაჭრის უნარი და კრიტიკული აზროვნება. როდესაც მოსწავლე გარკვეული შემოქმედებითი აქტივობით არის დაკავებული, გამუდმებით უხდება პრობლემის გადაჭრა (მაგალითად, პასუხის გაცემა კითხვებზე: რატომ? როგორ? რა დეტალია უკეთესი? რომელი ფერით შემიძლია უკეთესად გამოვხატო ის, რაც მინდა? რომელი ტონალობაა არსებითი? და ა. შ.), რაც რეალურ ცხოვრებაში პრობლემის გადაჭრის უნარისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებას უწყობს ხელს.

სოციალური და ემოციური უნარები. ხელოვნების საშუალებით მოსწავლეები ქმნიან რა რაიმე ახალს, ისინი სწავლობენ როგორც საკუთარი, ასევე სხვისი ნაშრომის დაფასებას. გარდა ამისა, ხელოვნების საშუალებით მოზარდები სწავლობენ აზრთა გაზიარებასა და ემპათიას, სხვისი პოზიციისა და ხედვის წვდომას, რაც, თავის მხრივ, აუმჯობესებს მათ ფსიქიკურ ჯანმრთელობას, ეხმარება მათ ინდივიდუალობის გამოვლენასა და საკუთარი მიღწევების დემონსტრირებაში.

შემოქმედებითობა. სახვითი ხელოვნება ხელს უწყობს წარმოსახვის, ფანტაზიის, შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. იმის ნაცვლად, რომ მოსწავლემ გარედან მიიღოს ინსტრუქცია, რა და როგორ გააკეთოს, აქ მიმართულება და გადაწყვეტილება ხშირად თავად მისგან მომდინარეობს, რაც მოითხოვს თავისუფალ აზროვნებას, ექსპერიმენტირებას და ანალიზს – ეს ყველაფერი კი შემოქმედებითობის ელემენტებია.

ხელოვნების დამატება ერთიანი ეროვნული გამოცდების საგნების ნუსხაში, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია იმ აბიტურიენტებისათვის, რომლებიც უმაღლეს სახელოვნებო სასწავლებლებში აპირებენ სწავლის გაგრძელებას. ამ გამოცდისათვის საგანგებოდ მომზადებისას მოსწავლეები გარკვეულ საბაზისო ცოდნას შეიძენენ, რაც უმაღლეს სასწავლებელში სწავლისას ერთგვარი მყარი საფუძველი იქნება მათთვის. ეს მნიშვნელოვნად გაუადვილებს უმაღლეს სასწავლებლებს პრობლემების მოგვარებას, რადგან პედაგოგებს სტუდენტებთან მუშაობის დაწყება ნოლიდან აღარ მოუწევთ. ცხადია, ეს გარკვეულად აამაღლებს სწავლების ეფექტიანობას თავად უმაღლეს სახელოვნებო სასწავლებლებში.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება I-დან IX კლასის ჩათვლით სავალდებულოა, უფრო მაღალ კლასებში კი – არჩევითი. ამიტომ ის სრულიად დამსახურებულად ხდება ერთ-ერთი არჩევითი საგანი წლევანდელ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე. გამოცდის მაქსიმალური დროა 3 საათი და 30 წუთი, ტესტის მაქსიმალური ქულაა 70, მინიმალური კი მისი 25% – 18 ქულა. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელოვნების ჯგუფის ხელმძღვანელი ნინო ხუნდაძე ამბობს, რომ „ეს საგანი განსაკუთრებით დაეხმარება სახელოვნებო უმაღლეს სასწავლებლებს სტუდენტების მიზნობრივ შერჩევაში. პროგრამა ეფუძნება და სრულიად შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას, აბიტურიენტს არ მოეთხოვება წლებისა და ბიოგრაფიების დაზეპირება, მთავარია ის იცნობდეს იმ ვიზუალურ მასალას, რომელიც პროგრამაშია შეტანილი და შეძლოს კავშირის დამყარება კონკრეტულ მიმდინარეობას, სტილსა და მხატვრულ ნაწარმოებს შორის.“

P. S. მომოვალ წელს კიდევ ერთი სავალდებულო საგნის – სამოქალაქო განათლების არჩევით საგნად შემოღება იგეგმება... წარმატებებს გისურვებთ აბიტურიენტებო!

UK BRIDGE და NATIONAL GEOGRAPHIC საქართველო გაძლევთ შანსს უფასოდ შეისწავლოთ ინგლისური ენა დიდ ბრიტანეთში

გთხოვთ, აუცილებლად გაეცნოთ დეტალურ ინსტრუქციას ჩვენს ვებ- გვერდზე (www.nationalgeographic.ge/boss), რომელიც არა მარტო დაგეხმარებათ სტატიის დაწერაში, არამედ მნიშვნელოვანია კონკურსში მონაწილეობის მისაღებად!

NATIONAL GEOGRAPHIC საქართველო

boss UK BUCKSWOOD OVERSEAS SUMMER SCHOOLS

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი National Assessment and Examinations Center

Lufthansa









თეატრალური უნივერსიტეტის ალმოჩენილი „პატარა ვაჟა“

ავტორი: ქეთი ქვიტატიანი
ფოტო: ჯემალ ქასრაძე

წელს, ცნობილ მწერალს, კინორეჟისორსა და სცენარისტს გოდერძი ჩოხელს 60 წელი შეუსრულდებოდა.

უმაღლეს სასწავლებელში მიღების ახლმა მოდელმა შესაძლებლობა მისცა აბიტურიენტებს საკუთარი უნარებისა და ცოდნის წყალობით გაეგრძელებინათ სწავლა. ერთიანმა ეროვნულმა გამოცდებმა მართლაც დაამსხვრია ის სტერეოტიპი, რომ „ჩაწყობის“ გარეშე ძალიან რთულია ნებისმიერ ინსტიტუტში მოწყობა. რომ არა ეს მანკიერება, იმდროეინდელ „ზეპირ გამოცდას“ ნამდვილად ჰქონდა ერთი არაჩვეულებრივი მხარე – აბიტურიენტთან პირისპირ შეხვედრისა და გასაუბრების შესაძლებლობა. გამოცდის ეს მეთოდი ცალსახად სუბიექტურ, გამომცდელის სიმპატიებზე დამოკიდებულ შეფასებას გვაძლევდა, მაგრამ ზოგჯერ „პატარა ტალანტების“ გამოვლენის საუკეთესო საშუალებაც იყო. ასე იპოვა 70-იან წლებში თეატრალურმა უნივერსიტეტმა გოდერძი ჩოხელიც. გამოცდაზე მას რუსული ფილმი აჩვენეს, რომლის განხილვაც უნდა დაეწერა. გოდერძის რუსული ცუდად სცოდნია და თითქმის ვერ გაუგია ფილმის შინაარსი. რა ექნა, რამე ხომ უნდა დაეწერა და გადაწყვიტა ლექსად მოეთხრო როგორ ჩამოვიდა „ბარად ირემი“, რომელსაც მთა უყვარს და უჭირს ახალ გარემოსთან შეგუება. მისი ლექსი დავალებას სრულებითაც არ პასუხობდა, მაგრამ კომისია იმდენად აღფრთოვანდა აბიტურიენტის შემოქმედებითი პოტენციალით, რომ გადაწყვიტა ჩაერიცხა ინსტიტუტში „პატარა ვაჟა-ფშაველა“ – ასე უწოდა გოდერძი ჩოხელს მაშინ თეატრალური უნივერსიტეტის რექტორმა ილია თავაძემ და თან დააყოლა: „ახლა ჩაგრიცხავთ, მაგრამ ქალაქმა არ გაგაფუჭოსო!“

როგორ გაიცნო გოდერძი ჩოხელმა „კინო“

60-იანი წლების დასაწყისში, სოფელ ჩოხში, პირველად ჩაუტანიათ ფილმი „ჯარისკაცის მამა“, მაშინ სოფელში კი-

ნოს შესახებ თითქმის არაფერი იცოდნენ, ფიზიკის მასწავლებელს ბავშვებისათვის უთქვამს, ფილმს ძალიან მაღალი ხმა აქვს, ყურები დაიცავით, თორემ შეიძლება დაყრუვდეთო. პატრა გოდერძი ისე გატაცებით უყურებედა თურმე ფილმს, რომ სულ გადაავიწყდა ყურებიდან თითების გამღება და როცა გაახსენდა, უკვე ფილმი მთავრდებოდა,ზუსტად ამ მომენტში მთავრი გმირი უყვიროდა შვილს: „შვილო, გოდერძი, გოდერძი!“ – ამ შეძახილზე გოდერძი ჩოხელი წამომხტარა და ყვირილი დაუწყია: „აქ ვარ, აქო!“ – ღიმილით ყვება ჩვენთან საუბარში გოდერძი ჩოხელის მეუღლე ქ-ნი ნინო მელაშვილი. ქმრის გარდაცვალების შემდეგ მეასედ, მაგრამ სიამოვნებით იხსენებს მის უცნაურ სიყვარულს კინოსადმი „ბოლოს დეპრესია დაემართა, კინოს გადაღება მინდა და საქართველოში კი დიდხანს აღარ იქნება კინოო – იძახდა... საერიოზული დეპრესია ჰქონდა, ამბობდა: „ფერებს ფეღარ ვხედავ, არაფერი აღარ მახარებსო“, სოფელშიც კი აღარ მიდიოდა. მეგობრები ეუბნებოდნენ: „წერა ხომ შეგიძლია, წერე და დახარჯე შენი შემოქმედებითი ენერგიაო.“ „არ შემიძლიაო! ფილმები თუ არ გადავიღე, წერაც არ გამომდისო!“

„ᲓᲐᲛᲔᲠᲬᲛᲣᲜᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝ ᲜᲘᲜᲝ, ᲩᲕᲔᲜ ᲐᲠ ᲑᲕᲔᲧᲝᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲑᲝᲓᲔᲠᲫᲘ ᲩᲝᲮᲔᲚᲘ!“

„ᲕᲐᲠᲓᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲙᲐᲪᲘ“ ᲑᲐᲜᲣᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ

ნინო მელაშვილი, გოდერძი ჩოხელის მეუღლე: „გოდერძი ახერხებდა ძალიან სწრაფად და მოკლე დროში გადაეღო ფილმები. „სამოთხის გვრიტები“ თითქმის ორ კვირაში დაასრულა. ჩვენც ჩართულები ვიყავით ზოგჯერ კინოსესიებში, „ლუკას სახარებაში“ ჩვენი ვაჟი მთავარ როლს თამაშობს, მეც დამიყოლია ერთ-ორ ეპიზოდურ როლზე: „ამ პატარა კადრებისათვის ვინ შევაწუხო ახლაო“, ჩამაცვა და გადამიღო.

– ქ-ნო ნინო, რისი გადაღება ვერ მოასწრო გოდერძი ჩოხელმა?

– ბევრი რამე ვერ მოასწრო და უფრო ვერ მოახერხა ფინანსების არქონის გამო. ყველაზე სერიოზული პროექტი და გოდერძის განუხორციელებელი ოცნება იყო სცენარი „ვარდისფერი კაცი“. მის გადაღებას მთელი სოფლის აშენება სჭირდებოდა. სცენარის მიხედვით შავ-თეთრ, ღარიბ სოფელში ჩადიოდა კაცი, რომელიც ღებავდა ძაფებს. გოდერძი ძალიან ლამაზი კადრების შექმნას გეგმავდა, შავ-თეთრი ფილმი თანდთან უნდა „გაფერადებულიყო“, უნდა მორთულიყო ფერადი ხალიჩებითა და მშვენიერ ტანსაცმელში გამოწყობილი ადამიანებით. მთავარ გმირს ვარდობის თვეში ჰყავდა მეუღლე გარდაცვლილი და მხოლოდ ვარდისფერ საღებავს არ იყენებდა, ამიტომ ეს ფერი მკვეთრ აქცენტად მხოლოდ ბოლოს გამოჩნდებოდა, როცა „ცხვარში“ მყოფი მამაკაცები დაბრუნდებოდნენ სოფელში და ძაფების მღებავს ვარდისფრად დაჯღაბნიდნენ. ფილმის დასასრულს, მდინარეში გადასროლილი უკვე „ვარდისფერი კაცი“ გაციების გამო იღუპება და კინოს კადრებიც ნელ-ნელა შავ-თეთრი ხდება.

„სიკვდილის თემა სულ გასდევს გოდერძის შემოქმედებას, ოღონდ არა როგორც შიში, არამედ როგორც სიცოცხლის ნაწილი“ (ლ.ღოღობერიძე).

ბოდერძი ჩოხელისათვის „შექმნილი” კინოსარეჟისორო ფაკულტეტი

„ჩემი ოცნება კინოა!“ (გ. ჩოხელი).

თეატრალურ ინსტიტუტში გოდერძი ჩორელს ქ-ნი ნათელა ურუშაძისათვის ერთხელ უკითხავს: „ფილმების გადაღებას, როდიდან დავიწყებთო?“
– რას ამბობ გოდერძი, შენ კინომცოდენობის ფაკულტეტზე სწავლობ და რა ფილმებზე მელაპარაკებიო!
– ფილმს თუ არ გადავიღებ, აბა რისთვის ჩავაბარე აქო?!. – შეწუხებულა გოდერძი. ამ ფაქტმა თეატრალური ინსტიტუტის რექტორატზე ძალიან იმოქმედა, ისედაც აპირებდნენ კინოსარეჟისორო ფაკულტეტის გახსნას და მეტიც არ უნდოდათ, წერილი აფრინეს მოსკოვში. დიდი ძალისხმევით, როგორც ამბობენ ბ-ნი ედუარდ შევარდნაძის ჩარევით, ეს ფაკულტეტი მალევე გახსნეს, ოღონდ ჩაბარება უკვე ინსტიტუტდამთავრებულ, დიპლომირებულ ადამიანებს შეეძლოთ. გოდერძი თავისუფალ მსმენელად მიიღეს. ლანა ღოღობერიძისა და ომარ გვასალიას ჯგუფში მოხვდა. მისი ჩარიცხვის ამბავი აქაც ერთმა „შემოქმედებითმა ნაწერმა“ გადაწყვიტა. „სტუდენებს დავავალე რამე დაეწერათ, ვხედავ, ერთი ნამუშევარი რაღაც სხვანაირია, აი ისეთი, ქერში რომ მარგალიტს გამოარჩევ, განსაკუთრებული. ვიფიქრე, ეს ვინ დაწერა, როგორი აწყობილი ამბავია, ალბათ შემთხვევით გამოუვიდა-მეთქი და კიდევ დავავალე, ისევ ძალიან კარგი რამ დამიწერა“ (ლანა ღოღობერიძე). „გოდერძის ეგონა, რომ ლანა უწუნებდა ნაწარმოებებს, ალბათ სხვების მოეწონა და მარტო მე ამიტომ მაწერინებსო – ფიქრობდა, ლანამ კი შეაგროვა ეს ნომველები და „ცისკარში“ დასაბეჭდად მიიტანა.“ – იხსენებს გოდერძი ჩოხელის მეუღლე. „იცით, მე და გოდერძი მერე ძალიან დიდხანს ვლაპარაკობდით ამ ადამიანებზე, ის მათი მადლიერი იყო, ამ პატარ ბიჭს საღამოც კი გუკეთეს ტელევიზიაში, ცდილობდნენ რეალიზაციის საშუალება მიეცათ მისი ნიჭისათვის, მაშინ სულ სხვანაირი დამოკიდებულებები და ურთიერთობები იყო და რომ არა ეს დამოკიდებულება, გოდერძი შეიძლება ვერც თეატრალურის სტუდენტი გამხდარიყო და ვერც ფილმები გადაეღო, ძალინ დიდი მადლობა ყველას ასეთი მხარდაჭერისა და სტიმულისათვის. ერთხელ ნიკო კეცხოველმა უთხრა გოდერძის: „შენს „ცასწავალა“-ს დიდი ვაჟა ფშაველა მოაწერდა ხელსო!“ დიდი მნიშვნელობა აქვს, როცა ახალგაზრდის ნიჭს ცნობილი ადამიანები შეამჩნევენ და შეეცდებიან პოპულარიზაცია გაუწიონ მის შემოქმედებით პოტენციალს.

„ადამიანთა სევდის შემგროვებელი”

„დარდი №1675
სამხარაული

– რა გადარდებს?
– ძალიან მადარდებს გუდამაყრის მივარდნილობა.
– როგორ თუ მივარდნილობა?
– ისა რომა, ისტორიულად და გეოგრაფიულად მივიწყებული და მოუხვედრელი ადგილია. ხევსურებს იცნობენ, ფშავლებს იცნობენ, თუშებს იცნობენ, მთიულებს იცნობენ, მოხევეებს იცნობენ და რომ სთქვა, გუდამაყრელი ვარო, ყველა სიცილით მოკვდება.
– რატომ?
– აბა, რა ვიცი, რა არის გუდამაყარიო. იშვიათად თუ ვინმემ იცის, რომ მსოფლიოში, საქართველოში არსებობს ხეობა, რომელზეც შავი არაგვი მოდის და ხეობას ჰქვია გუდამაყარი, სადაც გუდამაყრელები ცხოვრობენ. რომ გუდამაყრელები ძველთაძველი და მეომარი ხალხია, რომ იმ სამასი არაგველიდან, კრწანისის ველზე რომ დაეცნენ, უმეტესობა გუდამაყრელები იყვნენ. რომ იმათ სარდლობდა ათნოხელი ნინია აფციაური და რომ პირიმზის ხატში დაიფიცეს სათემო ხატზე და აქედან წაიღეს საბრძოლო დროშები. არავინ დღემდე არ იცის, რომ ჩოხის ზემოთ, მთის წვერზე, ბერების ნასაყდრალებია და ამ მთას ბერების მთას ეძახიან, რომ პირიმზე ახალციხიდან მოუბრძანებიათ ერთ-ერთი ბრძოლის დროს... გუდამაყარიიი... დროა, ბოლოს და ბოლოს, მსოფლიომ გაიგოს, რომ არსებობს ხეობა, რომელსაც გუდამაყარი ჰქვია...
– ეე, შენ, როგორც გეტყობა, ბევრი რამ გადარდებს, აი! – შეაწყვეტინა გამიხარდაიმ სამხარაულს, რომელიც ისე სწრაფად ჰყვებოდა თავის დარდებს, გამიხარდამ ორი სიტყვის ჩაწერაც ვერ მოასწრო. სამხარაული გაჩუმდა.“
(„ადამიათა სევდა“, გოდერძი ჩოხელი).

გოდერძი ჩოხელის ნაწარმოებებში ხშირად შეხვდებით დიალოგს, იმის შესახებ, თუ როგორი კორესპონდენტი იყო იგი, ქ-ნი ნინო მელაშვილი გვიყვება: „გოდერძი არ იგონებდა, მართლა ესაუბრებოდა ადამიანებს და იწერდა მათ აზრებს, განცდებსა და დამოკიდებულებებს სხვადასხ-

ვა პრობლემის მიმართ, რა თქმა უნდა, ამის შეფუთვასა და ფორმაში მოყვანას ნიჭი სჭირდება, მაგრამ თანამედროვე მთის ხალხის ნააზრევის გაგება თუ ვინმეს სურს, გოდერძის „ადამიანთა სევდა“, „სიყვარულის რაობისათვის“, „9 შეკითხვა სიყვარულზე“ და ა. შ. უნდა წაკითხოს. ჩემი დიდი სურვილია მისი მოთხრობები სკოლაშიც ისწავლებოდეს, რადგან მათი თემატიკა ძალიან ეროვნული და თან ზოგადსაკაცობრიოა.

– ქ-ნო ნინო, როგორ მუშაობდა გოდერძი ჩოხელი, როდის წერდა?

– არ ვიცი, არ მინახავს. ღამე წერდა ხოლმე, არ გვაკითხებდა. რომ გამოქვეყნდებოდა, მერე გვაჩვენებდა და მერე „ვეცნობოდით მის შემოქმედებას“.

„– ბ-ნო გოდერძი, თქვენი მეუღლე რას საქმიანობს?
– ნინო? ნინო ჩემს დარდებს უძღებს...“
(„ჩემი სიზმრები საზვერეებს ჰგავს“... ეთერ მონასელიძე, ჟურნალი „მისია“, 20. 09. 2005 წ.)...

2008 წელს, სამების საკათედრო ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში გამართულ გოდერძი ჩოხელის საღამოზე, მსახიობმა ზურაბ ქაფიანიძემ მადლობა გადაუხადა მწერლის მეუღლეს და აღნიშნა: „დამერწმუნეთ, რომ არ ყოფილიყო ნინო, ჩვენ არ გვეყოლებოდა გოდერძი ჩოხელი!“

1982 წლის 2 ოქტომბერს ნინომ და გოდერძიმ სამთავროს დედათა მონსტერში დაიწერეს ჯვარი „ძალიან სიმბოლურია, გოდერძი ამ ეკლესიის ეზოში რომ არის დაკრძალული.“ – ამბობს მწერლის მეუღლე, – „ასეთ პატივზე ვერც ვიოცნებებდით, დედა პარასკევას უნახავს წინა ღამით სიზმარი, მამა გაბრიელი ეძახდა ვიღაცას: „გოდერძი, აქ მოდიო!“ ჩვენ ვაპირებდით თავის საყვარელ სოფელში, ჩოხში დაგვეკრძალა, უცნაური რამ მოხდა, ერთმა ჩვენმა ახლობელმა გვითხრა: „თქვენს ხატებთან რომ ვიდექი, თითქოს ჩამესმა, სამთავროს მონასტერში წაასვენეთო.“ დავფიქრდით ამაზე, ხომ იცით, შემთხვევით არაფერი ხდება. პატრიარქისაგან თანხმობა მივიღეთ და ახლა მის საფლავს მონასტრის დედები დიდი სიყვარულით უვლიან.“

გოდერძი ჩოხელს ბუნებასთან კონტაქტის უცნაური ნიჭი დედისაგან დაჰყოლია „ლელა წიკლაური ძალიან მგრძნობიარე და შემოქმედებითი ქალი იყო“ – იხსენებს ქ-ნი ნინო. „ჩვენ ზოგჯერ გვეცინებოდა, როცა გვეტყოდა, ახლა ეს მოხდება, ახლა ისო. როცა ვკითხავდით, საიდან იცოდა ეს ყველაფერი, გულწრფელაად გვეტყოდა, რომ ყვავმა მიანაშნა ან სულაც ჩიტმა ამბავი მოუტანა. ბალახს არ თიბავდა, ეცოდებოდა, ფრთხილად დადიოდა, რომ ყვავილებისათვის ფეხი არ დაედგა. საოცარი ქალი იყო, მას არ ჰქონდა განათლება, თორემ ალბათ ისიც ცნობილი მწერალი იქნებოდა. 4 წლის იყო გოდერძი, მამამ რომ მიატოვა, ორ შვილს მარტო ზრდიდა.“

გოდერძი ჩოხელი: „სალოცავის მოედანზე ვიცი ერთი ადგილი, სადაც კაცებიც კი ვერ მიდიან, მარტო ბალღებს მიგვესვლებოდა და სწორედ იმ ადგილას აღმოვაჩინე ბავშვობაში ჩემი უცნაური შესაძლებლობა: თუ იმ ადგილას მუხლმოდრეკილი ვილოცებდი, იმ ღამეს სიზმარში ვნახულობდი, რაც შემდეგ დღეს უნდა მომხდარიყო. თავიდან მართობდა ეს აღმოჩენა, მაგრამ მერე ისე დავიტანჯე, ახლოს აღარ ვეკარებოდი იმ ადგილს. საშინელება არის, როცა წინასწარ იცი, რაც მოხდება. ეს ისეთი დამღლელი და დამთრგუნველი გრძნობაა, ცხოვრების ხალისს გაკარგვინებს... ამიტომაც ვერიდებოდი ამ ადგილს და მხოლოდ ერთხელ თუ ორჯერ გამოვიყენე, როცა წამოვიზარდე. ორივეჯერ „ბაკურციხელი ხევსურის“ გადაღებაზე ვილოცე იქ. მაინცდამაინც იმ ზამთარს არ მოვიდა თოვლი და გადაღებისთვის აუცილებელი იყო თოვლი. მე წავიღე სანთლები, ხავიწის ქადები და ვილოცე. იმ ღამეს დიდი თოვლი მოვიდა. ეს ამბავი ჩემი კინოს მონაწილეებმა შემთხვევითობას მიაწერეს და დამცინოდნენ კიდეც. გაზაფხულის პირი იდგა და თოვლი მალე აშრა, ჩვენ კი ფინალის სცენა დაგვრჩა გადასაღები. მთელი გუდამაყარი და ხევსურეთი შემოვიარეთ, რომ სადმე, სოფელთან შემორჩენილი თოვლი გვენახა. ყველგან მწვანე ბალახი ბიბინებდა.

– აბა, ეხლაც სთხოვე ღმერთს და მოგიყვანოს თოვლი, ტყუილებით რო აგვიკელი! – ირონიით მითხრა ოპერატორმა, როცა ხევსურეთის ყველაზე მაღალ სოფელში ავედით და იქაც მწვანე ბალახი დაგვხვდა.

– კარგი. წავიდეთ! – ვთქვი დარწმუნებულმა და წამოვედით გუდამაყარში.

ახალი ჩოხი დაბლა, არაგვის ჭალაზეა. იქ ცხოვრობდა მაშინ დედაჩემი. გამოვაცხობინე ხავიწის ქადები, ჩამოვახვიეთ სამი სანთელი და შევუყევი აღმართს.

– ნახევარ მეტრზე მეტი არ გვინდა-თქო! – შემომძახოდა სიცილით აივანზე გადმომდგარი ოპერატორი.

– იქნებ ცოტა შაქარიც გამოურიოს! – მომაძახა ვიღაცამ.

– ფქვილიც, ფქვილიც!

– ღომის ღერღილი უკეთესია!

სანამ გორას მოვეფარებოდი, მანამდე მეძახდნენ და დამცინოდნენ. ავედი იმ ადგილზე.

ავანთე სანთლები.
ჯვარედინად დავსერე ხავიწის ქადები და დავიწყე ლოცვა.
ისეთი რწმენით ვთხოვდი ღმერთს თოვლს. ისე ვევედრებოდი, რომ მისი სიყვარულით და იმედით მთელ ტანში ჟრუანტელი მივლიდა. ვერც კი შევამჩნიე, როგორ ჩამოწვა ნისლი ჩემს გარშემო და მთელს ხეობაში. თოვლის ფიფქი ჯერ სანთლის ალს დაეცა და აშიშინდა, მერე ხელზე დამეცა, მერე შუბლზე, მერე იმხელა ფანტელები წამოუშინა, უცებ გადათეთრდა მიდამო. შეშინებული წამოვდექი, ხელში ანთებული სანთლები მეჭირა და ვკანკალებდი, ფეხის გადადგმას ვეღარ ვბედავდი. ძალა მოვიკრიბე, სანთლები ქვაში გამოთლილ ჯვარს მივაკარი და სახლისკენ დავეშვი სირბილით. სახლშიც შეშინებულები დამხვდნენ.
– ვაა, ო! ვაააა, ტო! – მარტო ამ ორ სიტყვას გაიძახოდა ოპერატორი. გარეთ ხელისგულისტოლა თოვლის ფანტელებს ბარდნიდა ზეცა.
– ვაა, ოო, ეს რა ქნა?! როგორც იქნა, დაამატა თავის ორ სიტყვას კიდევ ორი სიტყვა ოპერატორმა.
დაბინდებამდე მუხლამდე მოვიდა თოვლი და კიდევ ხვავრიელად ბარდნიდა. საღამოთი დედაჩემმა დამიმარტოხელა და გაფითრებული სახით მითხრა:
– შვილო, მე ვიცი, რომ მართლა შეგისრულა ღმერთმა თხოვნა, მაგრამ ხო შენი დედა ვარ, მეც შემისრულე ერთი თხოვნა, აღარასოდეს აღარ მიხვიდე იმ ადგილზე და არაფერი სთხოვო ღმერთს.
– რატომ დედი?!
– იმიტომ, რომ ღმერთი დიდია და შენ სურვილზე არ უნდა ატარო. ღმერთს თავისი წესი და რიგი აქვს.
– მე ხომ კეთილი საქმე ვთხოვე?
– შენთვის რაც კეთილია, სხვისთვის რომ არ არის კეთილი, შვილო? აბა, რა იყო ეხლა ამ თოვლის მოსვლა: რამდენი ყვავილი ჩაჭკნება შიგ, რამდენ მწერს გაუმწარდება ცხოვრება, რამდენი კიდევ სხვა რამე აირია ამ თოვლის მოსვლით. გთხოვ, შვილო, აღარასოდეს მიხვიდე იმ ადგიზე.“



„დედამიწა არის მზითა და მთვარით განათებული დიდი წიგნი, საღაც უამრავი ცოცხალი მოთხრობა დაწერილა.“

ბოლო ინტერვიუ

„ახლა რას გრძნობთ?
– თითქოს ვიღაცამ გამძარცვა...
– აღარ წერთ?
– არა, რაც დავწერე ეგ იყო...“ („ჩემი სიზმრები საზვერეებს ჰგავს“... ეთერ მონასელიძე, ჟურნალი „მისია“, 20. 09. 2005 წ.)
წელს, 2 ოქტომბერს ცნობილ მწერალს, კინორეჟისორსა და სცენარისტს გოდერძი ჩოხელს 60 წელი შეუსრულდებოდა.

SHUTTERSTOCK

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲐ, ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ᲐᲕᲢᲝᲠᲘ: ᲜᲐᲗᲘᲐ ᲐᲜᲓᲚᲣᲚᲐᲫᲔ

განათლების მკვლევართა შორის დიდი ხანია მიმდინარეობს კამათი ქვეყნის მიერ განათლებაზე გაწეული ხარჯების მოცულობასა და ქვეყანაში განათლების ხარისხს შორის კავშირის შესახებ. მკვლევრები თანხმდებიან იმაზე, რომ განათლებაზე გაწეული ხარჯები არ არის ქვეყანაში განათლების ხარისხის განმსაზღვრელი ერთადერთი და ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი. ქვეყნებს შორის განსხვავებები უკავშირდება ზოგად კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ ფაქტორებსა და საგანმანათლებლო სისტემის მოწყობას. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, ქვეყნის მიერ განათლებაზე გაწეული ხარჯები მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს განათლების ხარისხს. როგორც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ 2012 წელს ჩატარებული კვლევა აჩვენებს (PISA, 2012), კავშირი განათლების ხარისხსა და ერთ მოსწავლეზე დახარჯულ თანხას შორის მკაფიოდ იკვეთება დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყ-



ნახაზი 1: მოსწავლეზე დანახარჯები და მოსწავლეთა მიღწევები მათემატიკაში. წყარო: OECD, 2013. PISA 2012. ნახაზი 4.1.8

ნებში (ყირგიზეთი, აზერბაიჯანი, ლიტვა, თურქეთი, რუსეთის ფედერაცია). ქვეყანა, რომლის განათლებაზე გაწეული ხარჯები დაბალია, როგორც წესი, დაბალ შედეგებზე გადის და, პირიქით. თუმცა იგივეს ვერ ვიტყვით მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნების შესახებ.

განათლებაზე ქვეყნის მიერ გაწეული ხარჯების ზომის შესაფასებლად ყველაზე ხშირად სამ ინდიკატორს იყენებენ:

1 მთავრობის მიერ განათლებაზე გაწეული ხარჯების წილი მთავრობის ხარჯებში. ეს ინდიკატორი აჩვენებს, მთავრობის მიერ გაწეულ ხარჯებში რა წილი მოდის მთავრობის მიერ განათლებაზე გაწეულ ხარჯებზე.

2 მთავრობის მიერ განათლებაზე გაწეული ხარჯების წილი მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ). ეს უკანასკნელი წარმოადგენს ფულად ერთეულში გამოხატულ ქვეყნის მიერ წლის განმავლობაში გაწეულ დანახარჯებს.

3 ქვეყნის მიერ განათლებაზე გაწეული ხარჯების წილი მთლიან შიდა პროდუქტში. აქ განათლებაზე გაწეულ ხარჯებში შედის როგორც სახელმწიფოს, ასევე ოჯახების (ასევე კერძო კომპანიების) მიერ განათლებაზე გაწეული ხარჯები.

მაღალი შედეგების მქონე ქვეყნებში ვხვდებით ქვეყნებს, რომლებშიც მაღალია მთავრობის მიერ გაწეული ხარჯები და ოჯახები ხარჯავენ ცოტას (ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნები); ასევე ქვეყნებს, რომლებშიც სახელწმიფოს მიერ გაწეული ხარჯები დაბალია, მაგრამ კომპენსირდება ოჯახების მიერ განათლებაზე გაწეული მაღალი ხარჯებით (სამხრეთ აზიის ქვეყნები). მაგრამ მაღალი შედეგების მქონე ქვეყნებში ვერ ნახავთ ქვეყანას, რომელშიც სახელმწიფოც ცოტას ხარჯავს და ოჯახიც.

განათლებაზე გაწერულ ხარჯებთან ერთად გასათვალისწინებელია, როგორ ნაწილდება ქვეყნის მიერ განათლებისათვის გამოყოფილი რესურსები. როგორც ბოლოდროინდელი კვლევები აჩვენებს, განსაკუთრებით მნიშვნელოვან ფაქტორად იკვეთება მასწავლებლის ხელფასი. ზოგადი განათლების სფეროში რესურსების განაწილებისას განათლებაზე ხარჯების ზომის განმსაზღვრელ ორ ძირითად კატეგორიას – მასწავლებლის ხელფასსა და კლასის ზომას – შორის არჩევანის გაკეთება უწევთ ქვეყნებს. ქვეყნების ნაწილი კლასის ზომის შემცირებაზეა ორიენტირებული. მაგრამ ყველაზე წარმატებულ სისტემებში პრიორიტეტს მასწავლებლის ხელფასის ზრდას ანიჭებენ კლასის ზომის საშუალო ან საშუალოზე მაღალი ზომის შენარჩუნების პირობებში.

ამ სტატიაში საქართველოში არსებული მდგომარეობის ანალიზისას ზემოთ განხილული სამი საკითხის – განათლებაზე დანახარჯების, მასწავლებლის ხელფასისა და კლასის ზომის შესახებ შემოგთავაზებთ შედარებით ანალიზს.



ᲜᲐᲮᲐᲖᲘ 2: ᲥᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲑᲘᲣᲯᲔᲤᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐᲖᲔ ᲓᲐᲜᲐᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲨᲞ-ᲡᲗᲐᲜ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲗ, 2008 ᲬᲚᲘᲡ.
ᲬᲧᲐᲠᲝ: ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲗᲐ ᲑᲐᲖᲐ.
ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ: ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ 76 ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘ, ᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ 2008 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ, ᲮᲝᲚᲝ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲖᲔᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘ – 2007 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲑᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐᲖᲔ

გამოყოფილი დაფინანსება მნიშვნელოვნად ჩამორჩება არა მხოლოდ ევროპის განვითარებული ქვეყნებისა და აღმოსავლეთ ევროპის ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებსა და ბალტიის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს, არამედ ყოფილი საბჭოთა ქვეყნების საშუალო და დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნების საშუალო მაჩვენებელსაც.

უფრო მკაფიო სურათს მივიღებთ, თუ აქვე გავითვალისწინებთ ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტის წილს მშპ-სთან მიმართებაში: ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტის მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნება. ქვეყანაში ეკონომიკის ზრდასთან ერთად იზრდება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებიც. ერთ სულზე მშპ 2000 წლიდან 2011 წლამდე 690 დოლარიდან 3215 დოლარამდე გაიზარდა, სახელმწიფო ბიუჯეტი კი – 12%-დან 32%-მდე. 2005-2009 წლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი მშპ-სთან მიმართებაში აღემატებოდა ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ქვეყნების საშუალო, ასევე ყაზახეთის (17% 2009 წ.), აზერბაიჯანის (15% 2008 წელს) და სომხეთის (24% 2009 წელს) იმავე მაჩვენებლებს. მაგრამ, ამავე დროს, სახელმწიფო ბიუჯეტში განათლების წილი 2000 წლიდან 2011 წლამდე პერიოდში 11.7 %-დან 8.3%-მდე დაეცა.

ქვეყნები, რომელთა სახელმწიფო დანახარჯები საქართველოსას უსწორდება, საშუალოდ დაახლოებით ორჯერ მეტს ხარჯავენ განათლებაზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქვეყნის სახელმწიფო ხარჯების გათვალისწინებით,

საქართველო იმაზე ორჯერ მეტს უნდა ხარჯავდეს განათლებაზე, ვიდრე ამ ეტაპზე ხარჯავს. მაგალითისათვის, ლატვიასა და ესტონეთში ასევე საშუალოზე მაღალია სახელმწიფო დანახარჯები (29% ლატვიაში, 31% ესტონეთში და 29% საქართველოში), მაგრამ საქართველოში განათლებაზე დანახარჯების წილი მშპ-სთან მიმართებაში 2.9%-ია, ლატვიასა და ესტონეთში კი – 5.7%.

ქვემოთ მოცემული ნახატი ასახავს სახელმწიფო ხარჯებისა და განათლებაზე გამოყოფილი სახელმწიფო ხარჯების ურთიერთმიმართებას. გაანალიზებულია 77 ქვეყნის მონაცემები და საილუსტრაციოდ რამდენიმე ქვეყანაა დატანილი სურათზე. როგორც ვხედავთ, ქვეყნების ნაწილს დაბალი სახელმწიფო ბიუჯეტი და განათლების დაბალი დანახარჯები აღენიშნება. ასეთი ქვეყნის მაგალითია სინგაპური, სადაც განათლებაზე ხარჯების წილი 3%-ია მშპ-სთან მიმართებაში, მაგრამ ასევე დაბალია სახელმწიფო ბიუჯეტიც (12% მშპ-სთან მიმართებაში). აქ მოცემული ქვეყნების ნაწილში საშუალოზე მაღალი სახელმწიფო ხარჯები და საშუალოზე მაღალი განათლების ხარჯები აღინიშნება. მაგალითისთვის, ახალი ზელანდიის სახელმწიფო ხარჯები მშპ-სთან მიმართებაში 32%-ია, განათლების ხარჯები კი 6%-ზე მაღალი.

მასწავლებლის ხელფასი

მასწავლებლის ხელფასი განსაზღვრავს პედაგოგიურ პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების აკადემიურ მზაობასა და მასწავლებლის პროფესიაში დარჩენის მოტივაციას და, შესაბამისად, მასწავლებლთა კორპუსის ხარისხს ქვეყანაში. მასწავლებლის ხელფასი საქართველოში ძალიან დაბალია როგორც სხვა ქვეყნებთან, ასევე საქართველოში სხვა პროფესიებთან შედარებით.

თუ მასწავლებლის ხელფასს სხვა სფეროებში დასაქმებული პირების ხელფასს შევადარებთ, ვნახავთ, რომ მასწავლებელთა ხელფასი ყველა სხვა სფეროში დასაქმებულთა საშუალო ხელფასებზე დაბალია. მეტიც, 1998 წლიდან 2012 წლამდე ხელფასების ზრდას თუ დავაკვირდებით, განათლების სფეროში დასაქმებულთა ხელფასები ყველაზე ნაკლებად გაიზრდა.

სხვა ქვეყნებს თუ შევადარებთ, ვნახავთ, რომ ქვეყნების უდიდეს ნაწილთან შედარებით საქართველოში მასწავლებელთა ხელფასი დაბალია. მოსწავლეთა მიღწევების საერთაშორისო კვლევაში (PISA 2009) მონაწილე ქვეყნებს შორის, მხოლოდ ხორვატიაშია მასწავლებლის ხელფასი საქართველოზე უფრო დაბალი. როგორც ქვემოთ მოცემულ ნახატზე ჩანს, თუ 2008 წლის მონაცემებით, 10 წლის გამოცდილებისა და მინიმალური აკადემიური ხარისხის მქონე (საქართველოში აღებულია ბაკალავრის ხარისხი) მასწავლებ-

ნახაზი 3: მასწავლებელთა ხელფასები ერთ სულზე მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში, 2007-2008 წლები
წყარო: PISA 2009, OECD. ცხრილი IV.3.21a





ᲜᲐᲮᲐᲤᲘ 4: ᲓᲐᲥᲘᲠᲐᲕᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲗᲕᲘᲣᲠᲘ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ 1998 ᲓᲐ 2012 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ
ᲬᲧᲐᲠᲝ: ᲡᲐᲥᲡᲢᲐᲢᲘ, 2014

ლების ხელფასებს შევადარებთ, ფინელი მასწავლებლის ხელფასი ქართველი მასწავლებლის ხელფასზე ორჯერ მეტია.

საქართველოში 2007 წელს 10 წელზე მეტი გამოცდილებისა და ბაკალავრის დიპლომის მქონე, სრული დატვირთვით მომუშავე მასწავლებლის ხელფასი მთლიანი შიდა პროდუქტის 48% იყო . შედარებისათვის, საბაზო საფეხურის მასწავლებლების ხელფასები ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ქვეყნებში ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის 118%-ია. ხელფასები ერთ სულზე მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში ყველაზე მაღალია ჰონგ-კონგში, კორეაში, ტაილანდში, შანხაიში და გერმანიაში. ყველაზე დაბალი – ხორვატიაში, ყატარში, ესტონეთსა და ნორვეგიაშია.

საქართველოში მასწავლებლის ხელფასი ფინეთისას რომ გათანაბრებოდა, 10 წელზე მეტი გამოცდილებისა და მინიმალური პროფესიული მომზადების მქონე მასწავლებლის ხელფასი 2012 წელს 557 ლარი უნდა ყოფილიყო, ხოლო ჰონგ-კონგელი მასწავლებლის ანალოგიური ხელფასი – 1133 ლარი, სინგაპურელის – 809 ლარი, კორეელის – 973 ლარი, შანხაელისა კი – 828 ლარი იქნებოდა.

თუ საჯარო სექტორში დასაქმებულთა ხელფასს შევადარებთ, საქართველოში განათლების სფეროში საშუალო ხელფასი საჯარო სექტორში დაქირავებულთა საშუალო ხელფასზე 190 პროცენტით ნაკლებია. ეს მაჩვენებელი ბულგრეთში 29%, ლატვიაში – 40%, დანიაში – 11%, ირლანდიაში კი – 4 პროცენტია.

ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲖᲝᲛᲐ

საქართველოში კლასში საშუალოდ 19 მოსწავლეა. კლასში მოსწავლეების მინიმალური რაოდენობა 1 და მაქსიმალური 35-ია. საქართველოში მოსწავლეების 13% სწავლობს კლასში, რომელშიც 10-ზე ნაკლები მოსწავლეა და მოსწავლეების იგივე წილი სწავლობს კლასში, რომელშიც 25-ზე მეტი მოსწავლეა. დანარჩენი



ნახაზი 5: ძლასის ზომა ქართულ ენასა და ლიტერატურაში. წყარო: PISA 2009

74% სწავლობს კლასში, რომელშიც 11-დან 25 მოსწავლემდეა (იხილეთ ნახატი 5).

როგორც ქალაქში, ასევე სოფლად გვხვდება ძალიან მცირე და შედარებით დიდი კლასები. მაგრამ სოფლად კლასში საშუალოდ უფრო ნაკლები მოსწავლეა, ვიდრე დასახლების სხვა ტიპებში. სოფლად კლასში საშუალოდ 15, დაბებსა და მცირე ქალაქებში – 20, ქალაქებში – 21, თბილისში კი – 22 მოსწავლეა (იხ. ნახატი 6).

საქართველოში კლასის საშუალო ზომას სხვა ქვეყნებში კლასის საშუალო ზომას თუ შევადარებთ, ვნახავთ, რომ საქართველოზე უფრო დაბალი მაჩვენებელი მხოლოდ ისლანდიაში, შვეიცარიაში, აზერბაიჯანში, ბელგიასა და ლიხტენშტეინშია. საქართველოში მოსწავლეების საშუალო რაოდენობა ახლოსაა ფინეთის (19.2), ლატვიის (19.4) და დანიის (19.4) მაჩვენებელთან. კვლევაში მონაწილე სხვა ქვეყნების თითქმის ნახევარში კლასში საშუალოდ 25 მოსწავლეზე მეტია (გაერთიანებული სამეფო, კანადა, სლოვენია, საფრანგეთი სერბეთი). კლასის ზომა ყველაზე მაღალი ჩინეთის ტაიპეიში (39.5), შანხაიში (39), მაკაოში (ჩინეთი) (38.4), იაპონიაში (37.1), ჩილეში (36.5), კორეაში (35.9) და ჰონგ-კონგშია (35.6) (იხ. ნახატი 7).

კლასის ერთ-ერთ ფუნდამენტურ მახასიათებელს კლასში ბავშვების რაოდენობა წარმოადგენს. კლასის ზომა შეიძლება მასწავლებლის სამუშაო პირობების მნიშვნელოვან ინდიკატორად მივიჩნიოთ. თუმცა კლასის ზომის შემცირებაზე გაწეულ ხარჯებს ვერ მოაქვს მისი საპირწონე შედეგები და მონაცემების გაუმჯობესების ალტერნატიული და იაფი გზები მოსწავლეთა შედეგების უფრო მაღალ და სტაბილურ გაუმჯობესებაზე გაგვიყვანს. ამასთან, კლასის ზომის ოპტიმალურობა დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა მასწავლებლის კვალიფიკაცია და კლასში მოსწავლეთა საჭიროებები .

კლასის ზომის შემცირება მაღალხარჯიანი ინტერვენციაა და თანაბრად ეფექტიანი არ არის ყველა კონტექსტისათვის. როგორც აღნიშნავენ, კლასის ზომა უფრო დიდი შეიძლება იყოს იმ ბავშვებთან, რომლებსაც აკადამიური წარმატების მისაღწევად კარგი წინაპირობა აქვთ. მაგრამ კლასის ზომის შემცირება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შესაძლოა, უფრო გამართლებული იყოს მოწყვლად ჯგუფებთან.

რეკომენდაციები

– საქართველომ განათლებაზე სახელმწიფო ხარჯები უნდა გაზარდოს. როგორც კვლევები გვიჩვენებს, განათლებაზე უკვე მაღალი დანახარჯების მქონე, განვითა-

ნახაზი 6: ძლასში მოსწავლეების რაოდენობა დასახლების ზიპების მიხედვით. წყარო: PISA 2009





ᲜᲐᲮᲐᲖᲘ 7: ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲖᲝᲛᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ
ᲬᲧᲐᲠᲝ: PISA 2009, OECD. ᲪᲮᲠᲘᲚᲘ IV.3.22

რებულ ქვეყნებში თუ განათლების დაფინანსების კიდევ უფრო გაზრდა მოსწავლეთა შედეგებზე გავლენას არ ახდენს, დაბალშემოსავლიანი ქვეყნების შემთხვევაში განათლებაზე გაწეული ხარჯები არსებით გავლენას ახდენს მოსწავლეების მიღწევებზე. საქართველო სწორედ ამ, მეორე ჯგუფს მიეკუთვნება. თუმცა საქართველოს მიერ განათლებაზე გაწეული ხარჯები დაბალი საშუალო და დაბალი შემოსავლების ქვეყნების საშუალო მაჩვენებელზეც კი დაბალია.

– როგორც განათლებაზე სახელმწიფო დაფინანსების გაზრდის, ასევე სტატუს ქვოს შენარჩუნების შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, რომ სწორად განისაზღვროს დაფინანსების პრიორიტეტები. კლასის ზომის შემცირების ან გაზრდისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ: 1) კლასის ზომის შემცირება არ არის თანაბრად შედეგიანი ყველა კონტექსტში. მცირე კლასები გამართლებულია არაჰეგემონურ და მოწყვლად ჯგუფებთან, მაგრამ, შესაძლოა, ნაკლებად მომგებიანი აღმოჩნდეს მაღალი სასკოლო მზაობისა და შედარებით მაღალი მიღწევების მქონე მოსწავლეებთან. შესაბამისად, კლასის ზომის გაზრდასთან ან შემცირებასთან უნიტარული მიდგომა არ არის გამართლებული. 2) კლასის ზომის შემცირების ალტერნატივა მასწავლებლის ხელფასის გაზრდაა, რომელიც, როგორც კვლევები აჩვენებს, უფრო მეტი ალბათობით გაზრდის მოსწავლეთა მიღწევებს. მეორე მხრივ, საქართველოში მასწავლებელის პროფესია სხვა პროფესიებთან შედარებით კონკურენტული არაა, რაც მოქმედებს არა მხოლოდ მასწავლებელთა არსებული კორპუსის მოტივაციაზე, არამედ ამ პროფესიის მიმართ პოტენციური მასწავლებლების ინტერესზეც ახდენს გავლენას.

CONTACT

აპრილიდან – ჟურნალი CONTACT – ყოველთვიური ჟურნალი სილქნეტისგან წარმატებაზე და ცხოვრების სტილზე. ყველაფერზე, რაც აუცილებელად უნდა იცოდეთ, ნახოთ, წაიკითხოთ და მოისმინოთ.

ტექნოლოგიები / კულტურა / სპორტი / მეცნიერება / გეოპოლიტიკა / ინტერვიუები წარმატებულ ადამიანებთან / საავტორო სვეტები / გიდი მოგზაურებისა და გურმანებისთვის

ᲡᲥᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘ

ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ: ᲜᲘᲜᲘᲙᲝ ᲠᲝᲑᲐᲥᲘᲫᲔ
ᲛᲐᲘᲐ ᲬᲘᲙᲚᲐᲣᲠᲘ
ᲤᲝᲢᲝ: ᲗᲝᲠᲜᲘᲙᲔ ᲖᲘᲖᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

„ბავშვობიდან მინდოდა ჟურნალისტი ვყოფილიყავი. სულ მაინტერესებდა ეს პროფესია. ჩემს პროფესიულ არჩევანს არ ვნანობ და ვიცი, მე ჟურნალისტი გავხდები," – ამბობს დათო ჭუმბურიძე. დათო კავკასიის უნივერსიტეტის მედია სკოლის მეორე კურსის სტუდენტია და პირველად მაშინ დაფიქრდა საკუთარ სქესსა და პროფესიულ არჩევანს შორის არსებული უხილავი ძაფების შესახებ, როდესაც ლექციებზე შემოსულ ლექტორებს მედია სკოლის სტუდენტებს შორის ბიჭების დანახვისას სახე სიხარულით უბრწყინდებოდათ.

„ძლივს ბიჭები! – ეს არის თითქმის ყველა ლექტორის შეძახილი გოგონებით სავსე აუდიტორიაში რამდენიმე ბიჭის დანახვისას," – ამბობს თენგო ტაბატაძე, დათოს ჯგუფელი და ასევე მომავალი ჟურნალისტი – „არ ვიცი ეს რატომ ხდება, მაგრამ ფაქტია, რომ ჩანთაგადაკიდებული ბიჭების დანახვა მომავალ ჟურნალისტებს შორის თითქმის ყველას აკვირვებს და ბევრს ახარებს კიდეც. თუმცა მე არ მახსენდება, ოდესმე ჩემთვის ვინმეს ეთქვას, რომ ბიჭი რადგან ვარ, სხვა პროფესია უნდა ავირჩიო".

თენგოს და დათოს გაუმართლათ, გარშემომყოფების სტერეოტიპებმა მათ პროფესიულ არჩევანზე არ იმოქმედა. თუმცა ამ სტერეოტიპებს მაინც ყოველ ფეხის ნაბიჯზე აწყდებიან: „მაგალითად, თითქმის წარმოუდგენელია, რომ გოგო იყოს ოპერატორი. რატომ? ვერანაირ რაციონალურ არგუმენტს ამ სტერეოტიპის ასახსნელად ვერ იპოვით. ვერ დავიჯერებ, რომ კამერის უკან დგომა არცერთ გოგოს არ აინტერესებს, მგონი აქ ზუსტად პროფესიებისა და სქესის მიმართ სტერეოტიპული დამოკიდებულება წყვეტს ყველაფერს," – ამბობს თენგო.

ყველაზე ზედაპირული დაკვირვებაც რომ ჩაატაროთ,

„ბოგონების აკადემიური მოსწრება მეცნიერების, ტექნოლოგიების, საინჟინრო და მათემატიკის საბნებში, უფროდება ან უსწრებს ბიჭების აკადემიურ მოსწრებას.“

ან თუნდაც ქუჩის მოკლე გამოკითხვა, აღმოაჩენთ, რომ სქესის მიმართ ერთი შეხედვით აბსტრაქტული სტერეოტიპები ხშირად ადამიანების ცხოვრებაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან არჩევანს – პროფესიას განსაზღვრავს. „მოდელი“, „ექთანი“, „ასტროფიზიკოსი“ – ამ პროფესიების ჩამოთვლისას, შეიძლება სრულიად გაუაზრებლად, მაგრამ ჩვენი უმრავლესობა კონკრეტული სქესის ადამიანებს წარმოიდგენს. ამ ზედაპირულ დაკვირვებას ზურგს საფუძვლიანი კვლევაც უმაგრებს.

საქართველოში, გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში ჩატარებული კვლევის, „საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში“, მიხედვით, უმაღლესი განათლება საქართველოში უფრო მეტ ქალს (37%) აქვს მიღებული, ვიდრე – კაცს (31%). თუმცა დასაქმებულების 41% მამაკაცია, ქალი კი მხოლოდ 33%. გამოდის, რომ განათლების მიღების შემდეგ ქალების ნაწილი ვეღარ ახერხებს საკუთარი ცოდნისა და შესაძლებლობების რეალიზებას.

ამის მიზეზი ისიცაა, რომ გამოკითხულთა დიდი ნაწილის აზრით, ქალს კონკრეტული პროფესიები შეეფერება. გამოკითხულთა უმრავლესობა თვლის, რომ სამსახურმა ქალს ხელი არ უნდა შეუშალოს მეუღლისა და შვილების მოვლაში. ამიტომაც, ქალის სამსახური და პროფესია მარტივი უნდა იყოს და არც დიდ დროს უნდა მოითხოვდეს. ყველა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები, მათ შორის სტუდენტებიც, თვლიან, რომ ქალისათვის შესაფერისი საქმიანობა მასწავლებლის, ფარმაცევტის, ექიმის, ჟურნალისტის, ბანკის ოპერატორის, დიზაინერის, მუსიკოსის, მკერავის პროფესიებია. ქალი შეიძლება არასამთავრობო სექტორის მუშაობასა და მცირე ბიზნესშიც ჩაერთოს, თუმცა ოჯახისათვის საკმარისი დრო უნდა დარჩეს.

მართალია, კონკრეტულად ეს კვლევა საქართველოში ჩატარდა, მაგრამ სქესით განსაზღვრული პროფესიული არჩევანის პრობლემა საქართველოსთან ერთად ბევრ განვითარებულ ქვეყანასაც აწუხებს. ამერიკული და ევროპული საგანმანათლებლო სისტემის მკვლევრები ცდილობენ გაარკვიონ, თუ როგორ შეუძლიათ ოჯახს, სკოლასა და საზოგადოებას საკუთარი როლი ითამაშონ გოგონების პროფესიული შესაძლებლობების მიმართ ნეგატიური წინასწარგანწყობების გაქრობაში. ასეთი მოძრაობა მიზნად ისახავს გოგონების დაინტერესებას იმ პროფესიებით, რომლებზეც დასაქმების ბაზარზე დიდი მოთხოვნაა.

განათლების სფეროს ექსპერტები უკვე დიდი ხანია შეთანხმდნენ, რომ აუცილებელია გოგონების ინტერესების მოტივაციისათვის ხელის შეწყობა, რათა მათ განუვითარდეთ საკუთარი თავის რწმენა და იმ პროფესიებშიც მოსინჯონ თავიანთი ძალები, რომლებიც, საზოგადოების აზრით, შეიძლება ქალს სულაც არ შეეფერება.

„ვიცი, რომ შეიძლება ჩემს ჯგუფში ერთადერთი გოგო ვიყო, მაგრამ ეს ჩემთვის პრობლემა არ არის, ზუსტად ვიცი, რაც მაინტერესებს და ჩემს არჩევანს არ შევცვლი,“ – ამბობს ელენე. ელენე 17 წლისაა, წელს აბიტურიენტია და ინფორმაციული ტექნოლოგიების შესასწავლად ემზადება. „ჩემი ოჯახის წევრებს ვერ წარმო-

ედგინათ, რომ ამ პროფესიას ავირჩევდი. რატომღაც სულ ეგონათ, რომ ექიმი გავხდებოდი, მაგრამ მე ვგრძნობ, რომ ყველაზე მეტად თანამედროვე ტექნოლოგიები მაინტერესებს. მართალია, ვერ ვიხსენებ ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტ ქალს ჩემს ირგვლივ, მაგრამ მე თუ ვიქნები ერთ-ერთი, შეიძლება სხვა გოგოებმაც იფიქრონ, რომ კომპიუტერი მხოლოდ კაცის საქმე არ არის," – ამბობს ელენე.

შეიძლება ბევრს ჰგონია, რომ ე. წ. ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო პროფესიებში ბიჭების წარმატებას კონკრეტული და რეალური საფუძველიც აქვს, მაგრამ კვლევები ამტკიცებს, რომ ეს კიდევ ერთი მითია. 2013 წელს საქართველოში ათასწლეულის გამოწვევის ფონდმა მარკეტინგის ინსტიტუტთან ერთად „მეცნიერების, ტექნოლოგიების, საინჟინრო და მათემატიკის (STEM) საგანმანათლებლო პროგრამებსა და პროფესიებში მონაწილეობის ბარიერებისა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნების კვლევა" ჩაატარა. კვლევამ ცალსახა შედეგები აჩვენა: განათლების მიღების თითქმის ყველა ეტაპზე, რომლებიც სკოლიდან იწყება, და დასაქმების ეტაპამდე გრძელდება, გოგონების აკადემიური მოსწრება და მიღწევები საბუნებისმეტყველო, ტექნოლოგიების, საინჟინრო და მათემატიკის საგნებში, მინიმუმ უტოლდება და ხშირად უსწრებს ბიჭების აკადემიურ მოსწრებასა და მიღწევებს. თუმცა, საბოლოო ჯამში, ბიჭებთან შედარებით, ამ პროფესიებში უფრო ნაკლები გოგონა აგრძელებს კარიერას. რაოდენობრივმა და ხარისხობრივმა კვლევამ აჩვენა, რომ გოგონები ნაკლებად აფასებენ საკუთარ შესაძლებლობებს ამ სფეროში, ვიდრე ბიჭები. გარდა ამისა, პროფესიული სასწავლებლებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტები აღნიშნავენ, რომ ოჯახის გავლენა კვლავ მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ მიერ მომავალი პროფესიის შერჩევაში.

„საზოგადოების დამოკიდებულება სტერეოტიპების მიმართ ადამიანების ინდივიდუალური პრობლემა არ არის. ეს იმ გარემოს პრობლემაა, რომელშიც ვარსებობთ," – ამბობს გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენელი, დირექტორი სოფიო ქემხაძე.

„შეიძლება დღეს არ მაძლევს კონკრეტული სტერეოტიპი თვითრეალიზაციის საშუალებას, მაგრამ ხვალ უკვე მე თავად ვხდები ამ სტერეოტიპის დამცველი და სხვას არ ვაძლევ თვითრეალიზაციის საშუალებას", – ამბობს ქემხაძე – „შეიძლება ახალგაზრდა თავის დროზე ეწინააღმდეგებოდა საზოგადოებაში გამჯდარ სტერეოტიპებს, მაგრამ რაღაცნაირად ისე მუშაობს ეს ყველაფერი, რომ ბევრი ახალგაზრდა მოგვიანებით თვითონ ხდება სტერეოტიპის დამცველი და მისი გამტარებელი და შემდეგ სხვას ულობავს გზას, რომ გამოვიდეს ამ სტერეოტიპის ტყვეობიდან. ასე გადაეცემა ეს წარმოდგენები თაობიდან თაობას".

ქემხაძე მიიჩნევს, რომ გენდერული თანასწორობის დამკვიდრება ნებისმიერ და მათ შორის განათლების სფეროში, პირდაპირ კავშირშია ქვეყნის განვითარებასთან, რადგან თანასწორობა საზოგადოების განვითარებას აძლევს ბიძგს.

ექსპერტების აზრით, განათლების სფეროში გენდერული სტერეოტიპების დაძლევა პირდაპირ არის დაკავშირებული ქვეყანაში სამუშაო ძალის განვითარებასთან და, შესაბამისად, გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი ფაქტორია. სწორედ ამიტომ სულ უფრო მეტი უნივერსიტეტი ევროპასა და ამერიკაში მოუწოდებს გოგონებს სამეცნიერო, საბუნებისმეტყველო და ტექნოლოგიების სფეროში კარიერის გაგრძელებისაკენ.

მართალია, საქართველოში ამ პრობლემების შესახებ მსჯელობა მხოლოდ ახლა იწყება, მაგრამ აბიტურიენტები და სტუდენტები, რომლებიც თავიანთ პროფესიულ მომავალს ახლა გეგმავენ, ალბათ კიდევ ერთხელ უნდა დაფიქრდნენ, თუ რა ინტერესები აქვთ სინამდვილეში და შეუძლიათ თუ არა თავიანთი მომავალი განათლების შესახებ სქესისა და სტერეოტიპების ჩარჩოების გარეშე იფიქრონ.

adjaranet.com

KOLGA **TBILISI PHOTO**

Photo Contest - Exhibition - Education - Communication

თიბისი ბანკი TBC BANK

საპრიზო ფონდი:

10 000 ლარი

ნომინაციები:

1. დოკუმენტური სერია
2. რეპორტაჟი
3. კონცეპტუალური ფოტოპროექტი
4. ერთი კადრი
5. ჯეოსელის მობილური ფოტო

სიახლე

კონკურსზე ფოტოების ატვირთვა

25 მარტამდე ვებ-გვერდზე:

WWW.KOLGA.GE

Kodak

ჯეოსელი

ARDI INSURANCE

NATIONAL GEOGRAPHIC საქართველო

Radio Commersant FM 95.5

fotoii

GIPA

MEIDAN GROUP

PROPAGANDA

BRITISH COUNCIL

momatbilisi ZURAB TSERETELI MUSEUM OF MODERN ART

galerie lichtblick

EMBASSY OF ISRAEL IN TBILISI

ART avenue

georgian

მეამბოხე თაობა „ბებმიუერი“ რევოლუცია

ინტერვიუ ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორთან, პროფესორ თამარ ბაბოშიძესთან
ავტორი: მაია ბაბუნია

„გარდამავალი ასაკის“ ბავშვი ვერ იტანს სამ თვისებას: ფარისევლობას, გულგრილობასა და ორპირობას.

მაია ბაბუნია: **ქალბატონო თამარ, წინა ინტერვიუში სკოლამდელი და დაწყებითი სასკოლო ასაკის ბავშვების შესახებ ვისაუბრეთ, იმ სირთულეებისა თუ ფიზიური შეცდომების შესახებ მოვუყევით მშობლებს, რომლებსაც ბევრი მათბანი უშვებს. დღეს არანაკლებ საინტერესო თემა ბვაქვს – ბარდატეხის ასაკი – ძალიან რთული პერიოდი მოზარდისა და მისი მშობლებისათვის...**

თამარ ბაბოშიძე: „გარდატეხის ასაკი“ ძალიან საინტერესო და ამასთან ძალიან რთული პერიოდია მშობლისათვის, მაგრამ განსაკუთრებით ბავშვისათვის, მოზარდისათვის. ამ ასაკში ახალი ფსიქიკური წარმონაქმნები ვითარდება, მაგრამ ჯერ მომწიფებული და ჩამოყალიბებული არ არის. გარდატეხის ასაკში კი ისიც, რაც უკვე განვითარებულია, მიღწეულია და კონსტანტირებულია დაშლას იწყებს, ახალი კი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია. მოზარდს ახალი რესურსები ჯერ კიდევ არ ჰყოფნის, ძველი შესაძლებლობებით ვერ ახერხებს ურთიერთობას გარემოსთან და შედეგად კრიზისული სიტუაცია იქმნება. მანამდე თითქოს ყველაფერი წესრიგშია, ერთ მშვენიერ დღეს კი მშობელი აღმოაჩენს, რომ ბავშვი აბსოლუტურად შეიცვალა და აღარ ჰგავს მის შვილს. ეს არ არის მხოლოდ „გარდამავალი ასაკის“ პრობლემა, განვითარების პერიოდში რამდენიმე კრიტიკული პერიოდია. ასეთი პერიოდი აქვს როგორც სამი წლის ბავშვს, ასევე ექვსი და თერთმეტი წლის ბავშვსაც. მოდით გამოვყოთ ცალ--ცალკე კრიტიკული პერიოდები.

მაია ბაბუნია: **იქნებ მკითხველს ბანვუმარტოთ, თუ რას ნიშნავს კრიტიკული პერიოდი ბავშვის ბანვითარების პროცესში....**

თამარ ბაბოშიძე: კრიტიკულ პერიოდში ხდება

როგორც სერიოზული ფიზიკური და ფიზიოლოგიური, ასევე ფსიქოლოგიური ცვლილებები. გარკვეულ ეტაპამდე პროცესები ლატენტურად მიმდინარეობს, არ ჩანს, თუმცა მწიფდება გარკვეული უნარი, ფუნქცია, რომლითაც ინდივიდი ჯერ ვერ სარგებლობს. არადა ის უკვე იმ უნარებითაც ვერ სარგებლობს, რომლებიც ადრე გააჩნდა, რადგან, თუ შეიძლება ასე ითქვას, უნარები, რომლებიც ჰქონდა, თითქოს მოძველდა, გარემო კი მას ახალ მოთხოვნებს უყენებს, გარემოს მოთხოვნა უკვე სხვაა, ახალი, ამ მოთხოვნების შესაბამისი უნარები კი ჯერ მომწიფებული არ აქვს. ეს არის სერიოზული რევოლუცია. ბავშვის ცნობიერებაში თითქოს ყველაფერი ინგრევა. მშობელი ბავშვს ვერ ცნობს. პირველი ასეთი პერიოდი ჯერ კიდევ სამი წლის ასაკში დგება, როდესაც ბავშვი მშობელსაა მიწებებული და ამავდროულად იწყებს საკუთარი დამოუკიდებლობის გაცნობიერებას. სწორედ ამ დროს იწყება ცნობილი „სიჯიუტის სტადია“. მომდევნო კრიტიკული პერიოდი სკოლაში შესვლისას დგება – ამ პერიოდში განსაკუთრებულად ვითარდება ნებელობის პროცესები, როდესაც ბავშვი „უნდასა“ და „მინდას“ შორის არჩევანის გაკეთებას სწავლობს. შემდეგი კრიტიკული პერიოდი თერთმეტი წლის ასაკში იწყება, დღევანდელ პირობებში უკვე ათი წლის ასაკში, რადგან ბავშვის მომწიფება დროზე ადრე ხდება.

„პუბერტატი“, ასე ვთქვათ, „გარდატეხის“ ასაკის პერიოდი თერთმეტი წლიდან სადღაც ჩვიდმეტ წლამდე შეიძლება გაგრძელდეს. გოგონებში ეს ასაკი 10-11 წლიდან იწყება და 15-17 წლისათვის მთავრდება, ბიჭებში კი 11-12 წლის ასაკში იწყება და 16-17 წლისათვის მთავრდება. ეს არის ზუსტად ის კატეგორია, რომელსაც „თინეიჯერებს“ უწოდებენ. ამასთან შედარებით სხვა პერიოდები მშობლებისათვის თითქოს ნაკლებად შესამჩნევია, თუმცა იმ დროსაც ექმნებათ შვილებთან პრობლემები. „გარდატეხის პერიოდი“ კი მართლაც ხანგრძლივია, ამ დროს რადიკალურად იცვლება მოზარდის როგორც ფიზიოლოგიური, ისე ფიზიკური მხარე. ენდოკრინოლო-

გიური სისტემის მომწიფება, სქესობრივი ჰორმონების გააქტიურება აბსოლუტურად ცვლის მას.
ამ დროს ცვლილებები ორი, ე. წ. ფიზიკური და ემოციური მიმართულებით ხდება. ბავშვის ემოციური რეგულაცია უახლოვდება მოზარდისას: უკვე კარგადაა განვითარებული წარმოსახვა, ასევე განზოგადების უნარი. ფსიქოლოგიურადაც ამ პერიოდში იწყება დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა, ეთიკური დილემების გადაწყვეტის მცდელობა, საკუთარი თავისა და სხვა ადამიანების შემეცნების მცდელობა.

მაია ბაბუნია: ანუ მოზარდს ბარდაზეხის ასაკისათვის დამახასიათებელი ქცევები და ემოციები ბუნებრივი პროცესის შედეგია?

თამარ ბაბოშიძე: რეალობა ასეთია: ბავშვი, რომელიც აქამდე არ იყო, ასე ვთქვათ, „წინააღმდეგობრივი“, რასაც ეუბნებოდნენ, ასრულებდა, გახდა საშინლად გაღიზიანებული, არაფერი მოსწონს, ყველას ებრძვის, მისთვის ავტორიტეტი არ არსებობს. რადიკალურად შეეცვალა გარემოსადმი დამოკიდებულება. ეს კი იმიტომ მოხდა, რომ საკუთარ თავზე შეეცვალა შეხედულება, რაშიც აქამდე დარწმუნებული იყო, ახლა აღარ არის, რაც ადრე მოსწონდა, აღარ მოსწონს, უფრო სწორად, არ იცის რა მოსწონს. ბავშვს, ასე ვთქვათ, ძიებითი დამოკიდებულება აქვს ღირებულებების მიმართ. შემეცნებითი დამოკიდებულებები მას მანამდეც აქვს, ანუ კითხვას „რატომ“ ორი წლის ბავშვიც სვამს. სამყაროს მიმართ ცნობისმოყვარეობა ძალიან მნიშვნელოვანია მცირეწლოვან ასაკშიც კი, მაგრამ მერე იწყება ღირებულებების გაცნობიერება, დამოკიდებულებების ჩამოყალიბება: „რატომ ასე და არა სხვანაირად; რატომ ასეთი ქცევა და არა ისეთი“. ჩნდება ავტორიტეტებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება, აქამდე დედა და მამა „შეუვალი“ ავტორიტეტები არიან, სხვა საკითხია სარგებლობენ თუ არა ისინი ამით. სამწუხაროდ, როცა ბავშვი მცირეწლოვანია, მაშინ ავტორიტეტების თემა მშობლებისათვის ნაკლებად მნიშვნელოვანია. მოზარდობის ასაკში ამის გაცნობიერება მშობლების მხრიდან უკვე გვიანაა და აზრს კარგავს, რადგან ბავშვობის „ოქროს პერიოდი“, როგორც მშობელმა, უკვე დაკარგე. ის პერიოდი, როცა საჭირო იყო ბავშვის თავისუფალი ნების პატივისცემა, მისთვის არჩევანის გაკეთების სწავლება და ავტორიტეტის თავისუფალ არჩევანზე დაფუძნება, როგორც მშობელმა, არ გამოიყენე. ავტორიტეტისათვის ძალიან მძიმეა მისი დაკარგვა და რთულია სტატუსის შენარჩუნება იმ საშუალებებით, რომლებითაც მშობელი აქამდე ახერხებდა. შესაბამისად, ავტორიტეტის არსებობისათვის კითხვის ნიშნის დასმა ნიშნავს, რომ ბავშვი იბრძვის დამოუკიდებლობისათვის, საკუთარი აზრისა და შეხედულების დაცვისათვის. ბავშვობაში ამას ყურადღებას არავინ აქცევდა, რადგან მშობლებზე დამოკიდებულებაც უფრო ძლიერი იყო. გამოდის, რომ მშობელმა უნდა შეცვალოს ქცევის სტრატეგია, პირდაპირი მითითების შესრულება იქნება ეს თუ სტერეოტიპული რეჟიმი. მცირეწლოვანი ასაკის ბავშვები მეტნაკლებად ითხოვენ ჩარჩოს და ეგუებიან კიდეც მას, მაგრამ გარდატეხის პერიოდი ჩარჩოებს ვერ იტანს. მთელი ხელოვნება ისაა, რომ მშობელმა შეძლოს და ეს ჩარჩო შეინარჩუნოს, მაგრამ ნაკლებად საგრძნობი, თითქოს უხილავი, ასე ვთქვათ, „შიგნით გადასული“, ინტერიორიზებული გახადოს. „შიგნით“ გადასვლას კი დრო და მაგალითი სჭირდება. კოლბერგის „მორალური განვითარების თეორია“ სწორედ ამას გვიჩვენებს, რა ასაკშია ეფექტიანი ავტორიტეტის მოთხოვნა, წახალისება-დასჯა თუ გარიგება და რა ასაკში – უკვე აღარ. მორალური განვითარების პირველი სტადია წინა კონვენციურია, როდესაც ბავშვი მოქმედების მორალურობაზე მსჯელობს მისი შედეგის მიხედვით. ანუ მორალურია ის, რაც არ არის დასჯადი. მორალური განვითარების ეს

რით შეიძლება იყოს ბედნიერი ბავშვი ამ მაფერიალურ საზოგადოებაში?

სტადია ეფუძნება მორჩილებასა და სარგებელს ამ მორჩილებისათვის. მცირეწლოვანი ბავშვები სწორედ ასე აღიქვამენ ქცევის მორალურობას – მორალურია ის, რის გამოც მშობელი არ გსჯის და რასაც შენთვის სარგებელი მოაქვს. მორალური განვითარების შემდეგი სტადია კონვენციური სტადიაა, როდესაც ბავშვი ქცევის მორალურობის შესახებ მსჯელობს სოციალური ნორმისა და კონფორმულობის საფუძველზე. „კარგი ბავშვი/ცუდი ბავშვი“ ფასდება სოციუმისათვის, ავტორიტეტებისათვის მისაღები ქცევების განხორციელებით და ბავშვიც ცდილობს ავტორიტეტის მოლოდინი გაამართლოს. ეს წინაპუბერტატის ბავშვობის ხანაა, როდესაც ბავშვი სოციუმში ამ გზით, მისაღები ქცევებით ცდილობს თავის დამკვიდრებას. შემდეგი სტადია კი პოსტ-კონვენციურია, როდესაც ინდივიდი აცნობიერებს განსხვავებებს ღირებულებათა, ნორმათა და შინაგან მოტივაციათა შორის. ამ სტადიაზე ხდება ეთიკური არჩევანის გაკეთება არა გარეგანი, თავსმოხვეული წესებითა და ნორმებით, არამედ შინაგანი მოთხოვნილების საფუძველზე. გარდატეხის ასაკში დგება სწორედ ის მომენტი, როდესაც ინდივიდი იწყებს ქცევის ნორმებისა და ღირებულებების გადაფასებას, ამჩნევს გარეგან, კონფორმულ ქცევასა და შინაგან მოტივაციებს შორის განსხვავებას.

შენ თვითონ უნდა გქონდეს შიგნით ღირებულება, რომელიც არ მოგცემს უფლებას, რომ „სხვა“ არჩევანი გააკეთო. აკეთებ ისეთ არჩევანს, რომელიც შენს ღირებულებას შეესაბამება. ღირებულებითი და მორალური კატეგორიების თანმიმდევრობა ამ ეტაპზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ეს არის პერიოდი, როდესაც ავტორიტეტები ნაკლებად მოქმედებენ და უკვე შიგნით, ასე ვთქვათ, შენს მიერ ჩამოყალიბებული მოდელით აკეთებ არჩევანს არა იმიტომ, რომ დედაშენმა აგიკრძალა ან ამხანაგი თვლის, რომ ეს ცუდია, არამედ იმიტომ, რომ შენთვის არის მიუღებელი. ეს არის ის პერიოდი, როდესაც ყალიბდება ე. წ. „გაცნობიერებული მორალური კატეგორიები“ – რატომ ვიქცევი მე ასე და არა სხვანაირად.

მაია ბაბუნია: ღირებულებების ჩამოყალიბება ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა ბარიერების პერიოდს ბევრი საფრთხე ახლავს თან. ამის შესახებ რას იტყვით?

თამარ ბაბოშიძე: ეს პერიოდი ძალიან ბევრ რისკთანაა დაკავშირებული, ბავშვს ყველაფრის ექსპერიმენტირება უნდა, უნდა გამოცადოს ყველაფერი და „გაიმდიდროს“ გამოცდილება. ეს ექსპანსიის პერიოდია. მცირეწლოვანი ბავშვი ამ რისკზე ვერ მიდის, რადგან რესურსი არ ჰყოფნის, 11-12 წლის მოზარდს კი ამის შესაძლებლობა აქვს: შეუძლია აწაარმოოს გარემოს ექსპანსია, ჩაატაროს ექსპერიმენტები, მიიღოს გამოცდილება. ამას ვერაფრით შეცვლი, ეს არ არის მინუსი, პირიქით, პლუსია. სწორედ ამიტომაა უმნიშვნელოვანესი აღზრდის პრინციპი – ეს პლუსი მინუსად არ უნდა იქცეს იმის გამო, რომ მშობელს არ სცალია, არ სცალია სკოლას ან ეშინია, რომ ბავშვს აუხსნას ის, რაც მას აინტერესებს. ე. წ. „პუბერტატის“ ასაკთან ურთიერთობა მშობლის გამოცდაა, მისი მოთმინების, მისი გაგების უნარის, იმის, თუ რამდენად შეუძლია შვილს ძალადობის გარეშე მისცეს არჩევანის გაკეთების საშუალება, მაგრამ ეს უნდა იყოს ინფორმირებული არჩევანი, რათა საკუ-

თარი თავისათვის სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღოს. ეს გვასწავლის პუბერტატთან ურთიერთობას არაძალადობრივი მეთოდით, იმას, თუ როგორ არის შესაძლებელი ადამიანს ვასწავლოთ დამოუკიდებლად არჩევანის გაკეთება და მორალური კატეგორიების შეთვისება. სხვათა შორის, ეს არის ერთადერთი, რასაც ამ ასაკში მოზარდი აფასებს. ამ პერიოდში პიროვნების ჩამოყალიბების ფუნდამენტი იქმნება, ჩანს პიროვნების ღერძი. როგორ ტიპადაც ჩამოყალიბდება ადამიანი ამ ასაკში, ისეთივე დარჩება – შემდგომში მას ვერ გადავაკეთებთ. არის ხასიათის ნიშნები, რომლებსაც ჩვენ ვერ მოვსპობთ და ვერ შევცვლით. ზოგიერთი ადამიანი ცოტა უფრო ეჭვიანია, ზოგიერთი – ანჩხლია, გულადია, მშიშარაა, დამთმობია, უკომპრომისოა – ეს არის ხასიათის კონსტიტუციური მოცემულობა, რომელსაც ვერ შეცვლი. აღზრდის ამოცანაა ეს მინუსები პლუსებად აქციოს, რათა ეს ხასიათობრივი ნიშნები სასარგებლო მიმართულებით წარიმართოს. იყოს შეურიგებელი და ანჩხლი უსამართლობების მიმართ; ეშინოდეს იმის, რაც საშიშია; იყოს ეჭვიანი, მაგრამ იცოდეს კითხვის დასმა და არა ყველაფრის ეჭვით აღქმა და ა. შ. ამის გაკეთება დიდ ძალისხმევასთანაა დაკავშირებული და მარტივი ნამდვილად არ გახლავთ.

მაია ბაბუნია: ბევრ რამეს შეეხეთ, მაბრამ მაინც რომელი ფაქტორია ყველაზე უფრო მტკივნეული თუ მნიშვნელოვანი ამ ასაკში?

თამარ ბაბოშიძე: ყველაზე დიდი სირთულე „გარდატეხის ასაკისათვის“ არის მაინც ავტორიტეტების ნგრევა და ამ დროს შეიძლება მოხდეს თვითდესტრუქცია – მოზარდი თვითონაც მოჰყვეს ამ ნანგრევებში. მანამადე რაც არსებობდა მის ცხოვრებაში, ყველაფერი ინგრევა. ბავშვი ამ დროს უნდა გრძნობდეს მშობლის, ახლობლის, მასწავლებლის მხარდაჭერას – მისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია. მხარდაჭერა და არა ჰიპერმზრუნველობა, როცა შენს მაგივრად შენი მშობელი აკეთებს ყველაფერს. მხარდაჭერა და არა ყველაფრის უფლების მიცემა, როდესაც მშობელი ყველა სურვილს უსრულებს. დამოუკიდებლობის სწავლება გარდატეხის ასაკში დაგვიანებულია. თოთხმეტი წლის ბავშვს სულ ელემენტარული რაიმის, ჩაცმისა და ჭამის გამო მშობელი უკან არ უნდა დასდევდეს.

რას ვერ იტანს მოზარდი? გულგრილობას. ის თვითონაა „ცხელი“, არაფრის მიმართ არ არის გულგრილი. რა დროს იწყება მოზარდისათვის დამახასიათებელი ცინიზმი? როცა ის ხედავს თავის გარშემო ცინიზმით აღსავსე უფროსებს, რომელთაც არაფერი ადარდებთ საკუთარი თავის გარდა, გულგრილები არიან. პუბერტატის ასაკში ბავშვი ძალიან, ძალიან მგრძნობიარეა სხვისი გულგრილობის, ცინიზმის, ფარისევლობის მიმართ. უფროსები კი თავის გულგრილობას ვერ ამჩნევენ, ვერ ხედავენ თავიანთ გამომყენებლობით დამოკიდებულებას ერთმანეთის მიმართ. მოზარდისათვის ეს არის ტესტი – ის ძალიან კარგად გრძნობს, ვის აქვს ასეთი დამოკიდებულება გარშემომყოფების მიმართ. ამიტომ, მოზარდი ცდილობს, რომ თავი დაიცვას და თვითონაც გულგრილობის „აბჯარი“ აისხას ხოლმე. მოზარდთა მშობლები ხშირად ჩივიან, რომ მათი შვილი საშინლად უგრძნობი, გულგრილი გახდა, არაფერი აინტერესებს. სინამდვილეში კი ეს თავდაცვაა.

ერთადერთი „ანკესი“, რომელიც შეიძლება მას მოვდოთ, არის ჩვენი გულწრფელი, არაგულგრილი დამოკიდებულება მისი პიროვნების მიმართ. მხარდაჭერა არ ნიშნავს ყველაფერზე დათანხმებას. იგულისხმება კონტროლიც, მხარდაჭერაც და დისკუსიაც.

პუბერტატის ასაკში ბევრი შეკითხვა აქვთ, აინტერესებთ, ინფორმირებულები არიან, მით უმეტეს ახლა „საშინელი

ინფორმირებულობის ხანაში“, როცა მშობლებისაგან დამოუკიდებლად ბავშვები უამრავ და, მათ შორის, ნეგატიურ ინფორმაციას იღებენ. ამიტომ მშობელი ყველაფერს ვერ გააკონტროლებს, მაგრამ ბავშვს ყოველთვის უნდა ჰქონდეს განცდა, რომ მის გვერდით მშობელია. კონტროლი ნიშნავს გულწრფელ დაინტერესებას, თუ რა ხდება ბავშვის თავს. მაგალითად, ერთგვარი ვარჯიშია ყოველ საღამოს დღის ამბების ურთიერთგაზიარება. ეს უნდა იყოს გულწრფელი, ემოციური გაზიარება. თქვენმა შვილმა უნდა იცოდეს, რა გაღელვებთ, რა გაბრაზებთ, რის მიმართ არ ხართ გულგრილი. ეს მისთვის ერთგვარი მოდელია.

მაია ბაბუნია: ქონფლიქტი ახლენეთ, ამავდროულად ფაქტია, რომ ეს ბამალიზიანებელია ბავშვისათვის, მითუმეტეს ამ ასაკში, რობორ მოიქცეს მშობელი?

თამარ ბაბოშიძე: არის ორი უკიდურესობა: ერთი – მუდმივი კონტროლი, ტელეფონით კავშირი, ხშირი შენიშვნები და მეორე, როცა საერთოდ არ აინტერესებს მშობელს, თუ რა უნდა ბავშვს. შეუძლია, რაც უნდა ის გააკეთოს. ეს ორი უკიდურესობაა და ცუდია. პუბერტატის ასაკში მნიშვნელოვანია ზომიერების დაცვა. მისთვის საინტერესო საკითხების შესახებ ღია დისკუსია, გულწრფელი დაინტერესება, არგუმენტაცია – რატომ ასე და არა სხვანაირად. არაა საჭირო მყიფე, მოუქნელი და ზედაპირული ტექსტები. მიუხედავად ავტორიტეტების უარყოფისა, მშობლის ავტორიტეტი არაა შელახული და ამ ასაკშიც მუშაობს. ერთია თანაგრძნობა, მეორე მისი აზრის არგუმენტირებული პატივისცემა – შენ ითვალისწინებ და პატივს სცემ მის აზრს, რაც მან უნდა იცოდეს. პიროვნების აღზრდის აუცილებელი პირობაა, როცა პირველ პირში ეუბნება მშობელი ბავშვს: „მე არ მომწონს ეს, ეს და ეს, ამიტომ და ამიტომ“ და ამის არგუმენტი მოჰყავს. არ უნდა შეგვეშინდეს, რომ ეს მოზარდთან კონფლიქტს გამოიწვევს.

ამ დროს ექსპერიმენტირება უნდათ, რისკიანები არიან, უნდათ ყველაფერი მოსინჯონ. მოზარდის წარმოდგენაში ეს დამოუკიდებლობისაკენ გადადგმული დიდი ნაბიჯია. პრევენცია რაში მდგომარეობს? პრევენცია ნიშნავს რაღაცეებზე საუბარსა და შესაბამისი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას. ღია საუბარი ბავშვთან მისთვის საინტერესო საკითხების, პასუხგაუცემელი კითხვების შესახებ ბავშვისათვის ემოციური „ვენტილაციაა“ და ამავე დროს მისთვის ახლობელი ადამიანის პოზიციის გაგებაცაა. რისკი ძალიან დიდია იმიტომ, რომ ბავშვები ამ ასაკში ძალიან ცნობისმოყვარეები არიან. თუმცა იმის ახსნა, რა არის კარგი და რა – ცუდი, აუცილებელია, მითუმეტეს დღეს, როცა ინტერნეტი ხელმისაწვდომია. ინტერნეტის სასარგებლოდ გამოყენება სავსებით შესაძლებელია, რადგან ადვილია არგუმენტების, ფაქტების მოძიება გარკვეული პოზიციის სასარგებლოდ. ამ ასაკში გარეგნულად თითქოს გულგრილ და ცინიკოს ბავშვებსაც კი სურთ გაიგონ სხვადასხვა აზრი მათთვის საინტერესო საკითხების შესახებ.

სამწუხაროდ ხშირად მშობელი ცდილობს დამალოს ემოციური დამოკიდებულება, ფიქრობს, რომ ბავშვისათვის ასე უკეთესი იქნება. თუმცა მოზარდებს სწორედ გულწრფელობა იზიდავთ. მათ უნდათ, მშობლებმაც გაუზიარონ თავიანთი ემოციები, ფიქრები. სწორედ ამიტომ მშობლებს ურჩევენ, რომ თუ ბავშვს გამოხატვის პრობლემა აქვს, გულჩათხრობილია, არ ჰყვება, რა ხდება მის თავს, დაელაპარაკონ მათ, თავად გულწრფეალად გამოხატონ ემოცია თავის პრობლემასთან დაკავშირებით. მოზარდი ისე იქცევა, თითქოს არაფერი აინტერესებს, ამ დროს კი შიგნიდან „დუღს“, მაგრამ გარეთ ვერ ან არ გამოაქვს.

როგორ ფიქვადაც ჩამოყალიბ-ება ადამიანი ამ ასაკში, ისეთივე დარჩება – შემდგომ-ში მას ვერ გადავაკეთებთ.

მშობლებს ურჩევენ, რომ შექმნან „გაზიარების მოდელი“. ეს არის ერთ-გვარი ფსიქოთერაპია – დღის ამბე-ბის მარტივად მოყოლა, მოვლენების, ემოციების გაზიარება.

მაია ბაბუნია: ასეთ შემთხვევაში მოზარდი თავადაც ბულწრ-ფელი ბახდება?

თამარ ბაბოშიძე: საინტერესო ისაა, რომ თავიდან ბავშვი არ აჰყ-ვება მშობელს, მისთვის ეს ძალიან რთულია, თანაც ხვდება, მშობე-ლი მის მიმართ გულწრფელია თუ არა. გულწფელობის შემთხვევაში კი მოზარდი თანდათან ერთვება ამ პროცესში. ასე ნელ-ნელა მოზარდი ეჩვევა გაზიარებას, არა მარტო თავი-სი, არამედ სხვისი გულისტკივილის გათვალისწინებას. კატეგორიულ მოთხოვნასა და ულტიმატუმებს არათუ ბავშვი, არამედ უფროსიც ვერ იღებს.

მაია ბაბუნია: ქაფებორიული მოთხოვნა ავტომატურად წარ-მოშობს პროტესტს?..

თამარ ბაბოშიძე: დიახ, როცა გეუბნებიან „არას“ და ამ სიტყვით იწყება საუბარი, ეს იწვევს ადრე-ნალინის აწევას, მაგრამ როგორც კი ფორმა იცვლება, დამოკიდებუ-ლებაც განიცდის ცვლილებას. მოზარდმა უნდა იცო-დეს, რომ მშობელი თავს დადებს მისთვის. მოზარდებს აღიზიანებთ გულგრილობა, მაგალითად, როცა ბავშვი გასულია სახლიდან „ოცდაოთხი საათის“ განმავლობაში, მშობელს კი ეს არ ადარდებს. ასეთი მოზარდისათვის, სხვათა შორის, მნიშვნელოვანია იმის აღმოჩენა, რომ მშობელი მის გამო „კარებსაც გადაეფარება“. თუმცა ულტიმატუმებითა და მუქარით კონტროლი დროის აბ-სოლუტურად ფუჭი კარგვაა, ეს კიდევ უფრო ამძაფრებს მოზარდის ნეგატიურ რეაქციებს.

შედარებით იოლია ე. წ. „ვაჭრობის გზით“ რაღაცების მოგვარება. ვთქვათ, კომპიუტერთან დიდხანს ჯდომის პრობლემა, როცა ბავშვი ევაჭრება მშობელს, რომ ამდე-ნი და ამდენი ხნის ჯდომის შემდეგ ის გააკეთებს ამას და ამას. მან თვითონ უნდა ისწავლოს მართვა. ეს შეუძლია ჰიპერაქტიურ ბავშვსაც კი. ის „არჩევანის წინაშე“ დგას – გვერდზე უდევს ის „მაცდუნებელი ელემენტი“, თუმცა იცის, რომ ჯერ დავალება უნდა შეასრულოს და მერე დაუთმოს დრო კომპიუტერს. მორალური განვითარების ეს კონვენციური სტადია ჯობს ბავშვმა გაიაროს, მაგრამ ამაზე არ უნდა გავჩერდეთ. „ვაჭრობასაც“ ზომიერება სჭირდება, ყველა შემთხვევაში ამ ტაქტიკის გამოყენება არ არის მიზანშეწონილი, რადგანაც მოზარდმა შეიძლება „ვაჭრობა“ თვითმიზნად აქციოს და ამით მანიპულირება დაიწყოს. ჯობს „ვაჭრობა“ ისეთ შემთხვევაში გამოვი-ყენოთ, როდესაც ვიცით, რომ სხვანაირად მოზარდის მოტივირება შეუძლებელი იქნება.

პიროვნების ჩამოყალიბების დროს მნიშვნელოვანია, ვინ არის მისთვის მოდელი. მშობელმა ჯერ საკუთარი თავი უნდა გაზარდოს. მას შეუძლია მოზარდის წინაშე იყვი-როს, დააგვიანოს სადმე, მოიტყუოს, სიგარეტი მოწიოს, ბავშვს კი ეს ყველაფერი აკრძალული აქვს. მოზარდი

უყურებს უფროსის ქცევას, მაგალითი ვერ იქნება ის, ვინც თვითონ ორპირობს, იტყუება, ძალადობს, გულგრილია. ავტორიტეტის ნგრევა სწორედ ამიტომ ხდება. „გარდამავალი ასაკის“ ბავშვი ვერ იტანს სამ თვისებას: ფარისევლობას, გულგრილობასა და ორპირობას. პუბერტატის პერიოდში ადამიანი არის შეურიგებელი, შემდეგ უკვე “ბლაგვდება“. მიმტევებლობას ვერ ასწავლის ის მშობელი, რომელიც თავად არის შეურიგებელი და გულგრილი.

რეალურად ქცევა არჩევანია, მაგრამ მშობელი არ აჩვევს ბავშვს, როგორ უნდა გააკეთოს ცნობიერი არჩევანი – რატომ არ უნდა მოიპაროს, არ მოწიოს, არ მიიღოს ნარკოტიკული საშუალებები. ეს უკანასკნელი ხომ „სიყვარულის ნაკლებობის“ შედეგია, რასაც ბევრი მეცნიერი და განსაკუთრებით ფსიქოანალიტიკოსი უსვამს ხაზს. მატერიალურად უზრუნველყოფილ ბავშვებს აქვთ ურთიერთობის დეფიციტი, ხშირად სწორედ მათ უჩნდებათ მსგავსი პრობლემები. რატომ არის „ექსტაზი“ „უსაზღვრო ბედნიერების მომგვრელი“? შენ თუ რეალურად ბედნიერი ხარ, რად გინდა კიდევ „ბედნიერების აბი“? არის მილიონი სხვა საშუალება, რომელთა მეშვეობითაც შეიძლება ბედნიერი იყო. ჩვენ არ ვაჩვენებთ ბავშვებს ამ საშუალებებს. რით შეიძლება იყოს ბედნიერი ბავშვი ამ მატერიალურ საზოგადოებაში, სადაც უფროსების ცნობიერება „შოვნით, უზრუნველყოფითა და გადარჩენით“ არის დაკავებული? არაფრით. უყიდი ბავშვს ტანსაცმელს, წაიყვან და გაართობ, აჩუქებ სანუკვარ ნივთს და ესაა ბედნიერება? მაგრამ მზის ამოსვლას რომ ერთად უყუროთ, ერთად სათევზაოდ წახვიდეთ, ეს არაა ბედნიერება? ამისათვის არავის სცალია. უბრალოდ რომ გაისეირნოთ და ნაყინი მიირთვათ, არაა ბედნიერება? ეს ცოტა უფრო ადრეულ ასაკს ეხება. სამწუხაროდ, დღეს უფროსები მატერიალურს ისე არიან მიწებებულნი, რომ ამას ბავშვიც ხედავს. ხშირია ტექსტი: „აი, ჩვენ შენს სწავლაში თანხას ვიხდით, ამდენ ინვესტიციას ვდებთ, შენ კი არაფერს აკეთებ, მომავალი არ გექნება, წარმატებული არ იქნები“ და ა. შ. ანუ სწავლა გახდა ერთგვარი ინვესტიცია, რომელიც უნდა ამოიღო. სწავლა აღარ არის სიამოვნება. მთელს მსოფლიოში ეს ტენდენციაა, არა მარტო ჩვენთან. ადამიანის უსაზღვრო მიჯაჭვულობა საგნებზე – პოსტინდუსტრიული უბედურებაა, რადგან მატერია ძალიან მძიმეა, რაც უფრო მეტი გაქვს, მით უფრო მეტი გინდა და არ კმაყოფილდები. დაუკმაყოფილებელი ადამიანი კი ვერ იქნება ბედნიერი. გაჩნდა კომუნიკაციის პრობლემაც. შეიძლება, რომ შვილები და მშობლები, ახლობლები „ფეისბუკით“ ურთიერთობდნენ? მოზარდს ისედაც უჭირს ურთიერთობა, მას ისედაც ჰგონია, რომ ყველა მას დასცინის, ეჩვენება, რომ ცუდია, ანუ თვითშეფასება აქვს დაბალი, ურთიერთობის არქონა კი დამატებით პრობლემას უქმნის. ფეისბუკში კი ოცნებების ასრულებაც შეიძლება, თავსაც განსხვავებულად მოაჩვენებ, იქნები ის, ვინც სინამდვილეში არ ხარ. ასე გიცვლის ვირტუალური სამყარო რეალურს და შემდეგ მხოლოდ ვირტუალურზე დამოკიდებული ხდები. ბედნიერების მატერიალური ფორმულა მარტო „ექსტაზი“-ში არ არის, ეს ფორმულა სოციალურ ქსელშიცაა. სინამდვილეში კი ორივე ბედნიერების სუროგატია, ანუ მოჩვენებითი ბედნიერებაა. ამიტომ სიცარიელეს კი ავსებს, მაგრამ სულ უფრო მეტი დოზა გინდა ამ სიცარიელის შესავსებად, რადგანაც ის ხომ სინამდვილეში არ ივსება! სხვათა შორის, ეს მხოლოდ მოზარდებს კი არა, ჩვენ, უფროსებსაც გვეხება.

მაია ბაბუნია: და რა უნდა ქნას ამ ეპოქაში ბავშვმა ან მშობელმა?

თამარ ბაბოშიძე: პუბერტატის პერიოდია სწორედ ის ასაკი, როცა ის ირჩევს მარჯვნივ წავიდეს თუ მარცხნივ. საით წავა, ეს მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მშობელზე და საზოგადოებაზე. დღევანდელობაში გულგრილობა კიდევ რაში ჩანს? უფროსისათვის ყველაფერი ნაცრისფერია, პოზიცია არ ჩანს – რა არის კარგი, რა – ცუდი, რა – კეთილი, რა – ბოროტი. ეს მკაფიო კატეგორიები არ არის საზოგადოებაში. პოსტმოდერნისტულ ეპოქაში ყველაფერი შესაძლებელია: თეთრი შეიძლება შავი იყოს, შავი კი – თეთრი, კეთილი – ბოროტი და პირიქით. ორაზროვნება, რომელიც დამახასიათებელი იყო საბჭოთა ცნობიერებისათვის, დღესაც შემორჩა და ვერ ვგრძობთ, როგორ გადავედით სხვა სიტუაციაში იმავე აზროვნების ოპერაციებით.

დღეს რომ იტყვიან: „ყველაფერი მოსულა“ – სწორედ ამას ვერ იტანს მოზარდი გარდატეხის ასაკში იმიტომ, რომ მისთვის აუცილებლად არსებობს შავი და თეთრი. ეს მინუსი არაა, ეს პლუსია. მას სჭირდება მკაფიო დაყოფა. მისთვის ტრაგედიის ტოლფასია: უსიყვარულობა, უთანასწორობა, ფარისევლობა, გაუგებრობა – ქვეყნის დასალიერია! პუბერტატი „დუღს“, სწორედ ეს უნდა გამოვიყენოთ აღზრდისათვის, აქცენტები სწორად უნდა დავსვათ. თუკი ამას არ გავაკეთებთ, მოზარდის ეს თვისებებები განსხვავებულ კალაპოტში განვითარდება და არასწორად იქნება გამოყენებული.

ერთი რამით გავამხნევებ მშობლებს – მათ უნდა უხაროდეთ, რომ „გარდამავალი“ პერიოდი ძალიან რთულად, მღელვარედ და მძიმედ მიდის. ამ შემთხვევაში ნეგატიური ფონი პლუსია. თუ ეს პერიოდი მდორედ გადის, ეს მომავალში გამოიწვევს აფეთქებას და მოჰყვება პრობლემები. პუბერტატის ასაკი უნდა იყოს მღელვარე, უბრა-

ლოდ მშობელს ღლის ასეთი დაძაბულობა, როდესაც ყველაფერი უნდა აუხსნა, როდესაც ბავშვი უკვე აღარ იღებს შენს ნათქვამს უკრიტიკოდ და როდესაც მას ყოველთვის მხოლოდ დამოუკიდებლობა უნდა. ჯობს ამის გვეშინოდეს 15 წლამდე, ვიდრე 18-19 წლის ასაკში. ეს არის პოსტუბერტატი, რომელიც ძალიან მძიმე შედეგებს იწვევს – „დაგვიანებული კუდები“, დაგვიანებული გადაფასებები ძალიან ცუდად გამოვლინდება, მწარედ განიცდება. ამიტომ ამ ასაკში საჭიროა მშობლის მიშველება. მშობელს კი არ მოსწონს „ავტორიტეტის განხილვის“ პროცესი, ეშინია მოზარდის ცინიზმის, გულგრილობის, რომლებიც სინამდვილეში დაცვითი რეაქცია და ნიღაბია.

მაია ბაბუნია: ამ პერიოდში სწავლაშიც იჩდება სირთულეები?...

თამარ ბაბოშიძე: დაწყებით კლასებში ხშირად მასწავლებლები ძალადობენ ბავშვებზე, რასაც ბავშვები შემდგომში უკან უბრუნებენ. გარდატეხის ასაკში ძალიან ადვილია ბავშვის დაინტერესება მისთვის სასურველი თემით და არა კლასიკური რეპეტიტორული სწავლებით. ამ ასაკში ეს არ მუშაობს. გარდამავალ ასაკში მშობლები ძალადობენ ბავშვებზე. მოზარდს უნდა მისცე არჩევანი: სად ჩააბაროს, რა ურჩევნია, რა ტიპის საგანი უფრო მოსწონს, რომელ წრეზე ურჩევნია სიარული – ამას მშობელი არ უნდა უსაზღვრავდეს და მოზარდიც უნდა იყოს ჩართული გადაწყვეტილების მიღებაში. იკვეთება ამგვარი დამოკიდებულება: „მე გადავიხადე თანხა და კერძო სკოლაში გასწავლი“; აქ მხოლოდ იმის შესახებ არაა საუბარი, რომ კერძო სკოლაში ბავშვს სწავლასთან დაკავშირებული ბევრი პრობლემა, მაგალითად, უსაფრთხოების პრობლემა ეხსნება, ხშირად პრაგმატული ხედვა იჩენს ხოლმე თავს: „მას ეყოლება გავლენიანი და მდიდარი მეგობრები, რაც მას გამოადგება“. ამის გამო ძალიან ბევრ ბავშვს უჩნდება პროტესტის გრძნობა უშუალოდ სკოლისა და მშობლის მიმართ. ეს პროტესტი ნამდვილად სამართლიანია. მოზარდი ხედავს, რომ მშობელი არჩევანის უფლებას არ-თმევს, არ აქცევს ყურადღებას მის მიდრეკილებებს, ის თვითონ განსაზღვრავს, რა არის სასარგებლო და კარგი მისი შვილისათვის. ბავშვები დღეს „მენეჯერობანასა“ და „ოფისობანას“ თამაშობენ, რადგან პრაგმატულმა ხედვამ მოიტანა ის, რომ ეს არის პრიორიტეტული.

ჩვენ ვიღებთ საინტერესო სიტუაციას: მაშინ, როდესაც ბავშვს მისი მიდრეკილებების, ნიჭისა და ინტერესების შესაბამისად არჩევანის სრული თავისუფლება უნდა მივცეთ, მასზე ვძალადობთ. როდესაც ჩვენი მკაფიო პოზიცია უნდა გამოვხატოთ ეთიკური და მორალური საკითხების შესახებ, საერთოდ მიჩუმათებულები ვართ და ამას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ. ჩვენთვის მთავარი განათლებაა, რაც, თავისთავად, შესანიშნავი ღირებულებაა. მაგრამ დაისმის კითხვა – როგორია ეს განათლება და რის ფასად? რას ვაკეთებთ საიმისოდ, რომ სწავლა-სწავლების პროცესი სასიამოვნო და საინტერესო იყოს? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მნიშვნელოვანია, რადგან გარდატეხის ასაკში წამყვანი აქტივობა სწავლაა და ხშირ შემთხვევაში მოზარდები პროტესტს აცხადებენ სწავლების მიმართ, არ დადიან სკოლაში, აღარ ამზადებენ გაკვეთილებს. თუ სკოლა ვერ მოახერხებს მათ დაინტერესებასა და მოტივირებას, მხოლოდ ოჯახი ვერაფერს გახდება. ამ ბოლო დროს დაწყებით კლასებში შფოთვითი აშლილობის ფორმა მოხშირდა – სასკოლო შფოთვა, როდესაც ბავშვი უარს ახცადებს სკოლაში წასვლაზე, ეს კი ნამდვილად დასაფიქრებელი ტენდენციაა.

RADIO IMEDI
FM
რადიო იმედი
ყოველ სამშაბათს
14 საათსა და 10 წუთზე
წარმოგიდგენთ გადაცემას
„გამოცდებიდან-გამოცდებამდე"
თეიკო ანჯაფარიძესთან ერთად!
ისევ ჩვენ ერთად ვიქნებით!
დრო გამოცდებიდან გამოცდებამდე
ჩვენთან ერთად გადის!
ინფორმაციო მხარდამჭერი
ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის
ეროვნული ცენტრი
WWW.NAEC.GE
გადაცემის სპონსორი
კავკასიის
უნივერსიტეტი
CAUCASUS UNIVERSITY
WWW.CU.EDU.GE

FM
რადიო იმედი
ვუსმენთ ერთმანეთს
105.9 FM თბილისი
100.9 FM ქუთაისი
100.2 FM თელავი
100.1 FM ბათუმი
100.0 FM გორი
/RADIOIMEDI
პირველი სოციალური რადიოჟურნალი

ბუხრის შენახული

სერია გადაღებულია აჭარის მთიან რეგიონში მოგზაურობისას, რომელიც გადმოსცემს ეთნიკურად ქართველი რელიგიური უმცირესობების ცხოვრებას.

პატარა ფატიმა და გივი მთიანი აჭარის სოფელ კოკოტაურში დაიბადნენ. თითქმის არ საუბრობენ და არ თამაშობენ. სათამაშოები ბუხრის თავზე შეუნახეს. შიგადაშიგ უფროსებთან ერთად თუთუნის დამუშავებაში მონაწილეობენ. ვერ გავიგე, ამით თამაშობენ, თუ უფროსების დავალებას ასრულებენ – ისინი არ დამელაპარაკნენ. ფატიმა და გივი ერთმანეთის მეგობრებიც არიან. მეტი მეგობარი არ ჰყავთ. სხვა გზა არ აქვთ, სოფელში მათი თანატოლი არ ცხოვრობს.

ქეთო ბებია, გარდა პატარების ქომაგობისა, უგემრიელეს ყავას ადუღებს. არ იფიქროთ მისი მოდუღებული ყავის გარეშე მას თავი დააღწიოთ.

ფატიმას ყველა თოჯინა ნარგიზი დეიდამ აჩუქა. ფატიმას თოჯინები არასოდეს გახდებიან ავად. არასოდეს მოკვდებიან. ისინი ბუხრის თავზე არიან შენახულები. მტვერი თუ დაედოთ და დაბანისას გაცივდნენ, ისევ ბუხრის თავზე შეათბობენ.

თავზე თოჯინები

ავტორი: მიშა ბიორგაძე
სურამის მე-2 საჯარო სკოლის დირექტორი

„საბას“ ლაურეატი

ლიტერატურული კონკურსის „საბა“ ლაურეატი „შეფასებისა და გემოცდების ეროვნული ცენტრის“ თანამშრომელი მარინა ელბაქიძე გახდა ნომინაციაში „წლის საუკეთესო პროზაული დებიუტი“. ავტორის სადებიუტო კრებული ხუთი მოთხრობისგან შედგება. მოთხრობების ნაწილი სხვადასხვა დროს ლიტერატურულ პერიოდიკაში დაიბეჭდა.

გაცვლა (გაბრძოლება)

მეორე დღეს ....

იდუმალებით აღსავსე ხმით და სახით უნდა ეთქვა, თუ უბედურების გამომხატველით.

გოგის გაეცინა, ლამის გადაიხარხარა, მერე გაჩუმდა და ასე იყო დიდხანს. ქეთიც დუმდა, ხმას არ იღებდა, სკამზე იჯდა და წინ და უკან ირწეოდა. ბიჭს რომ რამე დაემართოს, ვერ გადაიტანს, შეშინდა გოგი.

პირველად დაფიქრდა, რომ ერთ პატარა ქვეყანაში შეიძლება ერთ კუთხეში ისროდნენ და ერთმანეთს ხოცავდნენ და იმავე დროს მეორეში – სპექტაკლს თამაშობდნენ და მის საყურებლად დადიოდნენ. სამი დღის შემდეგ ამბავი ჩამოიტანეს ფრონტის ხაზიდან, ბიჭი ტყვედ ჩავარდა და ჯერჯერობით ცოცხალი და უვნებელიაო. სახლში ნაცნობი და უცნობი ხალხი გადიგამოდიოდა, ტელეფონი გამუდმებით რეკდა და მი აგნეს ვიღაც პაატას, რომელიც რაღაც კომისიას, ანუ ტყვეთა გაცვლას ხელმძღვანელობს. ორი დღით აფხაზეთიდან, ომიდან ჩამოსული პაატა მალე ისევ ომში მიდიოდა. ფული, კიდევ ფული და კიდევ ყველა ამქვეყნიური სიკეთე შესთავაზეს ბიჭის დაბრუნების სანაცვლოდ. პაატამ, არავითარი ფული, ეს ჩემი საქმეაო. მოკლედ, თქვენი ფული ერთ ადგილასო!.. და გოგიმ ასევე მოკლედ – მეც წამოვალო. პაატა დაეთანხმა, შემეშველებიო. გოგის შეუვალმა სახემ დაითანხმა თუ მართლა რამეში გამოადგებოდა, არ იცის გოგიმ.

მეორე დღეს, დილაადრიან პაატასთან ერთად ახმაურებულ აეროპორტში აღმოჩნდა, უფრო სწორად, სადღაც სხვა სამყაროში. ზურგზე შვილის მომცრო ზურგჩანთა ეკიდა, უფრო დიდი, ნამდვილალპინისტური თან წაიღო

ბიორბი მაღანია, 8 წლის

საომრად მიმავალმა. პირველად აეროპორტში გაუჩნდა განცდა, რომ ფილმის გადასაღებ მოედანზე მოხვდა. და მერე პერიოდულად ისევ ეჩვენებოდა, რომ ახალი სცენის გადაღებაზე გაჰყავდათ. აეროპორტში გაიფიქრა, რომ თვითონ აქამდე იმ ფილმში მონაწილეობდა, თბილისი რომ ჰქვია, მეორე ფილმი – ომი და აფხაზეთი, თვითონ თუ არ შერგავდა თავს ან, ომის შესახებ ფილმზე ბილეთს თუ არ აიღებდა, სულ არ ეხებოდა! კიდევ იფიქრა, რომ შეცდომით ორი, ერთსა და იმავე ინტერიერში (აეროპორტში) გადაღებული ფირი დაადეს ერთმანეთს და ამიტომ აღმოჩნდნენ ერთად ერთ კადრში ავტომატიანჭრელფორმიანი კაცები და შორტებბრიჯებიანი გოგობიჭები. ჰო, ეს ორი ჯგუფი ჩარჩა მეხსიერებაში: აშხეფებული შამპანური, გოგობიჭები ვიღაცას აცილებენ უცხოეთში და გამეხებული სამხედროები, აქოთებული. ასე მოეჩვენა მაშინ.

– ამათი დედა!.. თითქოს ომი კი არა, ქეიფია მთელ ქვეყანაში, – თქვა რომელიღაც ავტომატიანმა. – ამათთვის ომი მარტო ტელევიზორშია, ჩვენი ბიჭები კი იხოცებიან. აქედან მოყოლებული გოგისათვის ეს სამი დღე კადრებად და სცენებად ნაწილდება. სცენა პირველი: თვითმფრინავი. ხმოვანი მხარე – განუწყვეტელი გინება, ვიღაც პოლიტიკოსების ნაცნობია, უცნობი და ტელევიზორში გაგონილი გვარები, სამხედრო ნაწილების სახელები: „ავაზა“, „ავღანელები“, „თეთრი არწივი“ და სხვა ეგეთები; ვიზუალური ნაწილი – ძირითადად წვერიანი, ფორმიანი და უფორმო, მეომრები და მოხალისეები, სოხუმელები და ვიღაც გორელები და კიდევ თელაველები, კიდევ პაატა და წვერმოშვებული, მხრებში მოხრილი ცისფერთვალა კაცი, რომელიღაც დაღუპული ჯარისკაცის მამა. სცენარის ძირითადი სიუჟეტური ხაზი – აქეთა მხრიდან პაატა და იქითა მტრული მხრიდან ვიღაცა შეთანხმდნენ და რამდენიმე აფხაზი ტყვე უნდა გაცვალონ ქართველების ერთ საძმო საფლავზე და სამ ცოცხალზე. დაღუპული ჯარისკაცის მამა მიჰყვება პაატას, რომ საფლავი გათხაროს და ჩამოუსვენოს შვილები დანარჩენ მამებს და დედებს. და თავისიც. გოგიმ შიშით ჩამოდგა ფეხი სოხუმის აეროდრომზე, ავტომატების კაკანისა და ყუმბარების ბათქაბუთქის მოლოდინში.

– ყველაფერი იქნება, – შეჰპირდა პაატა. – ახლა ტაიმაუ-

ტია. ისე, ყოველ წუთას შეიძლება დაიწყოს.
სოხუმი ქართველებს ეკავათ. ალაგალაგ დანგრეული სოხუმი, დანგრეულიც რომ არ ყოფილიყო, ტანკებითა და კარისკაცებით სავსე, უკვე აღარ ჰგავდა იმ ქალაქს, სადაც ზაფხულობით დადიოდა და თავისი ახალგაზრდობის მხიარული დღეების სიმბოლოდ თვლიდა.
სერგო პირველად აეროპორტში ნახა, რაშივით რომ შემოაგელვა თავისი დანჯღრეული ვილისი აეროდრომზე. ისე დაამუხრუჭა, თითქოს ლაგამი დაქაჩა ძლიერად. მთიელი სერგო და მისი ვილისი მისწრებაა პაატასთვის ტყეღრეში და სოფლებში განლაგებულ ნაწილებში სასიარულოდ. სხვას მაინც არაფერს არ აძლევენ. და დაიწყო „ექსკურსია“ – შტაბები, გენერლები და ჯარისკაცები, ზოგი განრისხებული, ზოგი გაბოროტებული, ზოგი საბრძოლველად შემართული და ზოგი წამხდარი, სხვადასხვაგვარად. მთვრალი, ჭკვიანი, ნარკომანი, დარდიანი, დასაბმელი გიჟი ან თავდადებული ნეტარი – ყველანაირი სახე დააფიქსირა გოგის წარმოსახვითმა კამერამ, კიდევ პაატას ტელეფონით და რაციით რუსულ-ქართული ნაწყვეტნაწყვეტი საუბრები, პაატას იშვიათი ყვირილი და კიდევ უფრო იშვიათი გინება. საყოველთაო ქაოსის ფონზე მანიაკლურ პედანტობად ჩანდა პაატას სხვადასხვა ფერის კალმები, მელნის! და სამ ფერში აჭრელებული დავთარი. აბნეული ასოებით, მაგრამ აკურატულად შევსებული დავთარი, ძირითადად ლურჯი მელნით, ალაგალაგ წითელი ჩანართებით და არეებზე გამოტანილი მწვანე მინაწერებით, ხან ტელეფონით ლაპარაკისას, ხან კაბინეტებში, ხან ნაწილში ყოფნისას ამოანათებს შავი ჩანთიდან, ხან ისევ უჩინარდება. გოგიმ არ იცის, რა სისტემით იყენებს პაატა ფერად კალმებს, მაგრამ ის კი გაიგო, რომ ამ დავთარში იყრის თავს ყველა დაკარგულის, დატყვევებულის, გაუპატიურებულისა და დასახიჩრებულის სახელი. მისი შვილის სახელიც წერია იქ. იქით, მეორე მხარეზე მეორე „პაატა“ – ბატალ ტბარი – ავსებს ასეთივე დავთარს. მერე რაციით თანხმდებიან შეხვედრაზე და გასაცვლელ გვამებზე და ტყვეებზე. აქეთიქიდან კი უამრავი დედა, მამა, ცოლი თუ ქმარი იხვეწება ვიღაცის პოვნას, ცოცხლის ან მკვდრის დაბრუნებას.

ᲑᲘᲝᲠᲑᲘ ᲛᲐᲦᲐᲜᲘᲐ, 8 ᲬᲚᲘᲡ

ის მეორე „პაატა“ და ეს პაატა ათიოდე წლის წინ მოსკოვში ასპირანტურაში ერთად სწავლობდნენ, საერთო საცხოვრებელში ერთ ოთახში ბინადრობდნენ და მეგობრებიც იყვნენ, ოდესღაც. ახლა სხვადასხვა მტრულ ბანაკში აღმოჩენილნი პერიოდულად ხვდებიან ერთმანეთს, დავთრებს ადარებენ და შეთანხმებულ მკვდარცოცხალს თვლით იბარებენ.

ნაწილიდან ნაწილში მიჯაყჯაყებდნენ, რომელიღაც სოფლის რომელიღაც შარაგზას ერიდებოდნენ, დანაღმული იქნებაო. გზები, ოფიციალური და არაფორმალური სამხედრო ნაწილები და რაზმები, სწრაფი კადრებივით იცვლებოდა. ხანდახან სროლა იწყებოდა და უკან ბრუნდებოდნენ, ან შედარებით უსაფრთხო ადგილას შეტევის დამთავრებას ელოდნენ. მოძებნის ბიჭს და წავა, ეს ბოევიკი და ხიჩკოკი გოგის საქმე არ არის! მაგრამ კინოსეანსი ხანგრძლივი აღმოჩნდა, ჯერ არ მთავრდება, არ ჩანს ეკრანი დიდი წარწერით „ჰეპი ენდ“.

პაატა კი გამუდმებით იწერდა, ითვლიდა, ადარებდა, რეკავდა და ადგენდა, რამდენს რამდენში, სად და როდის და როგორ გადაცვლიდნენ. ცოცხალი აფხაზი თუ ჰყავთ ტყვედ, უკეთესია, მეტი შანსია, სანაცვლოდ ცოცხალი ქართველი ტყვე გამოითხოვოს. მალე წონით გადაცვლიან, ფიქრობს გოგი და თავისდა გასაოცრად, საკუთარი ცინიზმი არ აოცებს. ხანდახან პაატა თავისიანებზე ცოფდება, მაგრამ ცდილობს, ბრაზი დაფაროს – პარტიზანულ და არაფორმალურ ნაწილებში ტყვეებს უმალავენ, იმ შემთხვევისათვის ინახავენ, თუ მათი ნაწილის რომელიმე მეომარი იქნება ცოცხალი ან მკვდარი გამოსახსნელი ან გამოსათხოვი მტრისაგნ. იმავეს აკეთებენ იქით აფხაზები. არ აცლიან კაცს მუშაობას, ირონიულ არხზე ერთვება გოგი, რომ არ გადაირიოს სიბრაზისაგან.

პირველი დღის ბოლოს აფხაზურ ზონასთან მდგარ ნაწილში გავიდნენ. დავთარში დღის განმავლობაში ჩაწერილი ინფორმაციის მიხედვით, იქ ვიღაც ჩრდილოკავკასიელი თუ სლავურსისხლნარევი ტყვე ჰყავდათ. მისმა მფლობელებმა, ანუ დამტყვევებლებმა, ვერ დაადგინეს, ვინ იყო, საბუთიც ვერ უნახეს და ასეთი ამომწურავი ცნობა მიაწოდეს პაატას. შვილის გვამის მაძიებელი მამა სოხუმში დატოვეს, ამას მერე საფლავის გათხრისას წამოვიყვანთო, თქვა პაატამ, ახლა ეს ცოცხალი მიცვალებულია და მისი თანხლება მხოლოდ ტვირთიაო. ნაწილის შტაბი თუ ხელმძღვანელობა სოფლის საბჭოს შენობაში იყო დაბანაკებული. წელზევით შიშველი, ავტომატიანი კაცები ისხდნენ შენობის წინ. ვა, მშვიდობის მტრედი მოფრინდა! ასე შეხვდა მეზღვაურისმაისურიანი წვერებიანი ახალგაზრდა კაცი პაატას. გოგის ჯერ კიდევ დაუღეჭავ და სუფთა, ტილოს შარვალპერანგს, ცალ მხარზე გადაკიდებულ მომცრო ზომის ზურგჩანთას დაცინვით შეავლო თვალი. მის თვალში უიარაღო მშვიდობის მტრედი და შვილის მაძიებელი მამა კაცები არ იყვნენ. მეზღვაურისმაისურიანს მამუკა ერქვა. მხარზე ავტომატი ეკიდა, ქამარში პისტოლეტის ტარი უჩანდა. შენობაში შეუძღვა ორივეს, გოგი მოსაცდელისმაგვარ ოთახში შეაჩერა. ოთახში ფეხმონგრეული წაფერდებული მაგიდა იდგა, იქვე საკამი ეგდო. გოგიმ ყურდღებით შეისწავლა და დაასკვნა – სკამი მთელია! მამუკამ მეორე ოთახში გამავალი კარი ფეხისკვრით შეაღო და ღია დატოვა. გოგი შეღებული კარის გასწვრივ კედელს მიეყრდნო. კარის ჩარჩო კადრივითაა, თითქოს გაჩერებული კამერით გადაღებულ სცენას უყურებს.

– ეს არის, – ამბობს მამუკა, ავტომატი შეისწორა მხარზე. ხის მაღალზურგიან მასიურ სკამზე (ჩუქურთმებიანი ფეხებითა და საზურგით) ზორბა კაცი ზის, უფრო სწორად, დევს ზორბა სხეული. გრძელსახელოიანი მაისურის ცალი სახელო ჩამოგლეჯილი აქვს, ერთ ფეხზე შარვლის ტოტი ახეულია და მუხლსზევით ჭუჭყიანი სახვევი ადევს, ალბათ, მაისურის სახელო. მეორე ფეხი გვერდულად და მოწყვეტით ჰკიდია. ორივე ფეხში დაჭრილია, ხვდება გოგი. ხელები, უზარმაზარი ტორები, მუხლებზე კი არ უდევს – უყრია. ხელი რომ გაჰკრას ვინმემ, გადაუცვივდება, უცხო სხეულივით. სიცოცხლის არანაირი ნიშანი, თავი მკერდზე ჩამოვარდნილი, ქუთუთოები ოდნავ შეღებული, მაგრამ ვერ ხედავს ვერაფერს. მოკლედ, მკვდარია კაცი, გული კი ისევ ფეთქავს და ატრიალებს სისხლს გულის პარკუჭებიდან კაპილარის ბოლო წერტილამდე და უკან. გული ცემს, მაგრამ ვინ იცის, რა არის სიცოცხლის და სიკვდილის ზღვარი?! უზარმაზარი სხეული, კუნთები უმიზნოდ ინარჩუნებს ფორმას. სხვა დროს ამ სამივე მაყურებელს და მათ მსგავს კიდევ რამდენიმეს რომ მოენდომებინა, ალბათ, ერთი ხელის მოძრაობით მოსტეხდა ხერხემალს და კისრებს. მაგრამ ახლა დევს უსუსური ხორცის მასა წითური წვერით და თავზე წითური უსწორმასწორო ბუჩქით.

– აი, მოვიდა შენი მხსნელი, – ქართულაქცენტიანი რუსულით დამცინავად ეუბნება მამუკა მკვდარცოცხალს.

– იცი, ეს ვინ არის? მშვიდობის მტრედი, ტყვეებს არ ურტყამს, არ ხვრეტს. შენისთანა დამპლებს ადამიანთა სიაში წერს და მერე ჩვენ ბიჭებში ცვლის, შენისთანა დამპლებს, შენი დედა.. მე თავს მოვიკლავდი, შენისთანა ნეხვში გასაცვლელი რომ ვიყო. აი, ყველაზე დიდი გადმცვლელი. შენ უნდა გადაგარჩინოს, ცოცხალს გაგიშვებს, გაგცვლის... ეს დიდი გადამცვლელი. – სიტყვა „გადამცვლელს“ ისეთი ბოღმით წელავს, გინებას ჰგავს. დაჭრილი არ იძვრის, არ ირხევა. მართლა მკვდარია, შფოთავს გოგი. ამასაც უნდა უშველონ, ამ ხორცის გროვას. აფხაზი არ არის, მაგრამ მათთვის იბრძოდა, ჰოდა,

ისინიც გაიმეტებენ ერთ ჩვენიანს ცოცხალს ან გარდაცვლილს. ისე, აფხაზებისათვის იბრძოდა თუ ფულისათვის? იდეა მაინც ჰქონოდა, ფანატიკოსი გიჟი მაინც ყოფილიყო და გმირულად მომკვდარიყო. ფულისთვის კლავდა ხალხს და ახლა მძორივით დევს, ფაქტობრივად მკვდარი.

მამუკა არ ცხრება, – ერთხელაც იქნება, ამ მშვიდობის მტრედსაც გააფრთხობინებენ სულს აფხაზები, რომ აღარ დასჭირდებათ მერე, და მის თავს გამოგვიგზავნიან. მე მაგათი!..

პაატას გახედა და მაინც მესამე პირში გააგრძელა: – ამას ჰგონია, ჩვენ მხეცები ვართ და თვითონ ანგელოზია. მაგასაც ვნახავ, მაგის თავს რომ გამოგზავნიან. შვილო, პაატა!.. გიორგი სააკაძე იცი?

მამუკა ცნობიერების თავისუფალ ნაკადს მიჰყვება. მისი ცნობიერება კი ასოციაციების ჯაჭვში იხლართება. ტყვეს მიუბრუნდა: – იცი, ვინ იყო გიორგი სააკაძე? შვილი გაწირა სამშობლოსათვის. შენ რა გეცოდინება?! კინოც არ გაქვს ნანახი, შენი დედა!.. სამშობლო, იცი, რა არის?

გოგი იძაბება, ეშინია. პაატას ზურგს ხედავს, გაჩერებული კამერა ზურგიდან იღებს პაატას, დაჭრილს ანფასით, ავტომატიანი ხან გადის კადრიდან, ხან შემოდის, ვერ ისვენებს. ხვდება, პაატა აცდის ავტომატიანს, ბოღმისაგან დაიცლოს. როგორც იქნა, მამუკა მწვანე ფერის, დალაქავებული გადასაფარებლით შემოსილ მაგიდის კიდეზე ჩამოჯდა და დადუმდა. ამ მაგიდას არც ისე დიდი ხნის წინ ალბათ სოფლის საბჭოს თავმჯდომარე უჯდა ამაყი და ღირსეული სახით. დამლაგებელი მწვანე მაუდის გადასაფარებელს ალბათ ყოველდღე პატივისცემით ფერთხავდა. მამუკამ ბათინკიანი ფეხი შემოდო ზედ. პაატამ მშვიდად დაიწყო ახსნა – ვინ არის, რატომ მოვიდა. მამუკა ირონიულად იღიმება. გოგი პაატას ზურგს უყურებს, კეფას და მის დაღლილი სახეს ხედავს, თითქოს მეორე კამერა ჩართეს. თვითონ გაუძლებდა ასეთებს? არ იცის, ამაზე მერე იფიქრებს, ახლა შვილი უნდა იპოვოს. ამასაც უნდა უშველონ, ამ ხორცის გროვას, სადღაც რომ გაჰპარვია აზრი, გონი და გრძნობა. ჭრილობას და ტკივილს აღარც კი გრძნობს, ალბათ. რატომ უნდა უშველონ, მის ბიჭში ან ჩვენებში რომ გადაცვალონ? თუ ისედაც? ეს ხომ პროფესიონალი კაცისმკვლელია?!

– რა ჯანდაბად გინდა, გზაში მოკვდება და აყროლდება! – ისევ ჩაირთო მამუკა.

პაატამ თავისი დავთარი ამოიღო და ფერადი კალმები. მამუკას არ პასუხობს და ისევ ტყვეს მიმართავს, აფხაზებთან შესათანხმებლად სჭირდება მისი სახელი, გვარი, სად იბრძოდა, ვისთან. მხარზე დაადო ხელი. დაბალი, თბილი ბარიტონი აქვს პაატას, ასეთი ხმით სუფრაზე უნდა ღიღინებდეს და ქალებს აბამდეს, ან შვილებს უყვებოდეს ზღაპარს გამოთქმით, თავდადებულ გმირზე. რბილი ხელები აქვს, მაგრამ კაცური, აკურატულად დაჭრილი ფრჩხილები; ესეც არ ჯდება საერთო ფონში და კადრში, კონტრასტია. იქნებ ამ ფერადკალმებიანი პედანტობის და პაატას ხმის დამსახურებაა, მუხლებზე დაყრილი ტორები რომ შეირხა. პაატა კადრიდან გავიდა და სკამიანად დაბრუნდა. წინ ჩამოუჯდა ტყვეს, დავთარი ჩამოიდო მუხლებზე.

ტყვემ ქუთუთოები ასწია და გოგიმ მისი თაფლისფერი, დაწითლებული თვალები დაინახა. იმედი აცოცხლებს ადამიანს.

– რაღა ქრისტე, მიცვალებულს რომ აცოცხლებს და რაღა შენ, – ჩაიცინა მამუკამ.

პაატამ ერთი გახედა და ისევ ტყვეს მიუბრუნდა. პაატას სახეს ვერ ხედავს, მაგრამ ხვდება, მისი ზურგით და კისრით ხვდება, არ სწყინს, არც აწუხებს მამუკას სიტყვები. არ აინტერესებს! მას ახლა მხოლოდ ამ ნახევრად ცოცხალი სხეულის დახსნა სჭირდება.

– არ დამხვრეტენ? – ძლივს გასაგონად იკითხა გაცოცხლებულმა მიცვალებულმა.

პაატა უხსნის, რომ ქართველები და აფხაზები ტყვეებს და მიცვალებულებს ცვლიან.

– რა ჩემ ფეხებად უნდათ აფხაზებს ეს ნაბიჭვარი, გინდა ცოცხალი, გინდა მკვდარი. უცხო თესლი და დაქირავებული მკვლელი, ფული მიეცი და ხვალ იმათ დახოცავს.

– არ დამხვრეტენ? – ისევ იკითხა მიცვალებულყოფილმა, თითქოს ამისთვის მობრუნდა ამ ქვეყანს, რომ ეს ერთი კითხვა დაესვა. მხრებშიც კი შესწორდა ოდნავ.

– რა ჯანდაბად გინდა ეს მძორი, აფხაზები ამაში არავის მოგცემენ, – რატომღაც შეშფოთდა წითური გოლიათის მეტამორფოზით მამუკა.

– მაგაზე პასუხს მე ვაგებ. – ამბობს პაატა.

– შენ აგებ პასუხს ამ დამპალზე? მე ვიცი რომ არავის არ სჭირდება. – კადრში მთლიანად შემოვიდა მამუკა, ქამარში ჩაჩრილი პისტოლეტი ამოიღო და საფეთქელზე დაადო ტყვეს. ეს რა თამაშია? პირი გაუშრა გოგის. მეტის გაფიქრება ვერ მოასწრო – გასროლა გაისმა. არ აპატია გაცოცხლება, დაიმედება.

კედელზე მიყუდებული გოგი მოწყვეტით ჩასრიალდა, ჩაჯდა იატაკზე. შვილის ზურგჩანთა გულში ჩაიხუტა. შენელებულ კადრში დაინახა, როგორ ავარდა რაღაც შადრევანი, როგორ გადაბრუნდა სკამიანდ ზორბა სხეული, დაცემის ხმა ყრუდ და შორიდან მოესმა. პაატა ზურგითაა, მაგრამ ხედავს, თითქოს კამერამ მოინაცვლა, მის შეძრწუნებულ სახეს, ტუჩებიც უკანკალებს.

მერე პაატა მოტრიალდა და მართლა დაინახა აცახცახე-

ინდიკო ხაჟომია, 14 წლის

ბული ხელებიდან ჟურნალი და ფერადი კალმები როგორ დაუცვივდა. სახეზე რაღაც ჰქონდა შეშხეფებული, ალბათ, ტვინი. შეშინებული პაატა დაინახა.

მერე ბიჭები შემოცვივდნენ. მერე გოგი ისევ გაოცდა, როცა ცოტა გონს მოვიდნენ და პაატამ საქმიანად თქვა, უსახელო, უპატრონო და სხვა ქვეყნიდან მოსული უკვე მკვდარი მეომარი არავის სჭირდებაო. ბიჭებს სთხოვა, დამარხეთო, ადგილი მიუთითა, რაღაცეები ჩაიწერა და წამოვიდნენ. გზაში ხმა არ ამოუღიათ, მარტო ის უთხრა, მამუკა აფხაზეთში ცხოვრობდა და მთელი ოჯახი ამოუხოცესო.

იმ დღეს სოხუმში ვეღარ ჩავიდნენ, დაუღამდათ და რომელიღაც ნაწილში დარჩნენ ღამის გასათევად. ნაწილი სკოლის შენობაში იყო დაბანაკებული. პაატა ისევ თავის დავთარს ჩაჰკირკიტებდა, გოგი გაოცების უნარის ბოლო ნარჩენებს ემშვიდობებოდა. უბრალოდ ეჩვენებოდა, რომ კინოშია, ან უნდოდა, ასე ჰგონებოდა. ატრიალებდა დღის განმავლობაში ნანახ კადრებს, ამონტაჟებდა და ერთ მთლიან ჯაჭვში ვერ აქცევდა. სულ პატარა ბიჭები გიტარით და ბითლზის არცთუ ურიგო ჟღარუნით, ასაკიანი, ჭაღარა სოლიდური კაცები, გინების უკვე შე-მოქმედებით რანგში აყვანილი ნაირნაირი ვარიანტები, ფორმის და იარაღის უსისტემო და არასტანდარტული აღკაზმულობა; ვიღაც ბიჭის ხელში გუმილიოვის ლექსების კრებულსაც კი გადააწყდა, პატარა ჯიბის გამოცემას (რომელიღაც მიტოვებული სახლიდან წამოღებულ ერთადერთ ნადავლს). გუმილოვის წიგნისათვის წამოვიდა აქ? საჯარო ბიბლიოთეკაში ვერ ნახავდა?

სულელური კითხვების თავიდან გასაფრთხობად პაატას მიუბრუნდა: – ყურებს მართლა აჭრიან?

– სხვა რამეებსაც. – თითქმის დაცინვით ამბობს პაატა. ისევ დაუნდობელია. – ეს ომია, ჩვეულებრივი ომი, თავისი სიდამპლით და ხადახან, შიგადაშიგ კეთილშობილების გამოვლენით.

გადასარევად გასაგები და მარტივი განმარტებაა, გაბრაზდა გოგი. ამას ჭკუასუსტი ხომ არ ჰგონია?

– ომის ყველა განმარტება ბითურობაა, – უთხრა პაატამ. – ომში წასასვლელად ყველას თავისი მიზეზი და მიზანი აქვს: ზოგი საშოვნელადაა, ზოგი სამშობლოს დასაცავად. ზოგი პატრიოტული გრძნობებით ანთებული მოხვდა აქ, ზოგი სისულელით და ზოგი უსაქმურობით. ჰო, ზოგისთვის კიდე სამუშაო და მოვალეობაა აქ ყოფნა.

ყველასთვის საერთო კი ის არის, რომ ნებისმიერი მათგანი ნებისმიერ დროს შეიძლება გატრუპონ.
ისე, პაატა ბერდიაევს ეთანხმება. კაცობრიობა ომის გარეშე ვერ არსებობს. ფაქტია! ომი საზოგადოებას და კოლექტიური ცნობიერებას განვითარებისაკენ უბიძგებს. ომი, სუპერსტრესული სიტუაცია, ადამიანებს სჭირდებათ, რომ დაინახონ, რა შესაძლებლობები აქვთ, რომ შეუძლიათ, გმირები იყვნენ; ან პირიქით, დაინახონ, როგორი ნეხვები არიან. კაი ტიპი რომ გგონია თავი და მერე საკუთარი ტყავის გადა-სარჩენად მეგობარს თხასავით გაყიდი, ან საკუთარი ხელით მიახვრეტ. დაინახო, სიცოცხლის ფასი კაპიკია და ამაზე ძვირფასი არაფერი გაგაჩნია. და საერთოდ, ომი ინსტინქტია, კაცური ინსტინქტი, ვაჟკაცობის, ღირსების დამტკიცების საშუალება. ყველა თაობის კაცი უნდა მოხვდეს ომის ველში, კაცური საწყისი რომ არ დაჩიავდეს.
გოგი ვერ ხვდება, სად მთავრდება ბერდიაევის ფილოსოფია და სად იწყება პაატას ირონია. მაგრამ უნდა, ახლა აქ კაცური თვალით შეხედოს ამ ყველაფერს და ის გაიგოს, რაც შორიდან არ ჩანდა. რა შორიდან? რაღაც ორიოდე ასეული კილომეტრია თბილისიდან ომამდე და მას თითქოს არ ეხებოდა. ისე, ტელევიზორში შეავლებდა ხოლმე თვალს ომის ამბებს, როგორ გადადიოდა სოფელი ტამიში ტენისის ბურთივით ქართველებისგან აფხაზებთან, მერე აფხაზებისგან ქართველებთან, მერე ისევ უკან და პირიქით... ხანდახან მიაგინებდა აფხაზებს, წინაპრების მიწას რომ ართმევენ და მორჩა! თუმცა ბოლომდე ვერ ხვდებოდა, ვინ ვის და რას ართმევდა. ახლა მისი შვილი რომ აღმოჩნდა ომში, უცებ გახდა ყველაფერი მნიშვნელოვანი. მისი შვილი სახლში რომ მჯდარიყო, თვითონაც ხომ არ მოხვდებოდა აქ? პაატას რაღა უნდა, რას დაეძებს ამ საგიჟეთში, რა კითხვაზე რა პასუხს? რას ამოწმებს, თავის გამძლეობას თუ ღირსებას? როგორ შეუძლია ახლა ძილი, როცა დღეს ვიღაცის ტვინსისხლის შადრევანი აეშხეფა სახეზე. მაისურზე ლაქა ისევ ეტყობა. მაგრამ ვიღაც, რომელიღაც პაატა ხომ უნდა იყოს აქ! რატომ უნდა იყოს? მისი შვილი რომ მოძებნოს და დააბრუნოს, ცოცხალი და უვნებელი.
იატაკზე წვანან, ლეიბის რაღაც ნაგლეჯზე, ტანსაცმლიანი. გოგის თავქვეშ შვილის ზურგჩანთა უდევს. ცოტა

მათე ახალაია, 10 წლის

ხნის წინ არაყი დალიეს. პაატა მშვიდად ფშვინავს. გოგი ვერ ისვენებს. გვერდები ძალიან დაეჟეჟა ხმელ იატაკზე და, ვითომ კინოში მიღებენო, აღარ შველის. იქვე მოშორებით მეომრები ფხიზლობენ, ქალებზე ლაპარაკობენ, მარტივი და ერთი და იმავე წინადადებებით, ემოციებიც კი ერთი და იგივე აქვთ. ერთმანეთს უმტკიცებენ, რომ უფრო მეტი და უფრო მაგარი ქალი ჰყავდათ, – „აუ, რა ტრაკი ჰქონდა, აუ, რა ძუძუები...“

გოგი გვერდზე გადაბრუნდა და ყურზე ზურგჩანთის კუთხე ჩამოიმხო. ჩვენ ბოდიში, ვერ გაუძლო თქვენმა დახვეწილმა სმენამ ასეთ ჯარისკაცულ უხამსობას? ისევ გულაღმა ამოტრიალდა. ახლა, თითქოს აღარც ესმის ჯარისკაცების ხმადაბალი ხორხოცი და ვნებიანად ნათქვამი – აუ, რა ტრაკი... რაღაც უფორმო დუდღუნად იქცა ეს ხმები და ისევ იმ ქალს მიაწყდა ფიქრი. ნეტა ამათგან რომელიმეს ისე თუ ჰყვარებია, როგორც მას...

ისე, რა არის სიყვარული? ახლა რაღაც გაებნა აზრი, გრძნობა... ის, რომ ოცი წლის შემდეგ ახსოვს ელის კისერი, ტუჩები, მკლავები... არ ავიწყდება ელის ლამაზი სხეული, მკერდი, მარცხენა ძუძუსთავი ოდნავ უფრო გვერდზე აპრეხილი. ის, რომ მერე, ქალისგან ქალთან რომ ინაცვლებდა, მოზომილი სიზანტით რომ აფცქვნიდა სამოსს, სულმოუთქმელად რაღაც ნაცნობის დანახვას რომ ელოდა, რაღაც ელისეულს და გულისფანცქალით რომ აშიშვლებდა... ხანდახან საკუთარი დაუოკებელი მონატრებით, დაუკმაყოფილებელი ვნებით გაბეზრებული ფიქრობდა, ელი აღარაა ის პატარა გოგო, ალბათ მკერდიც მოემჩვარა და უკანალიც. ჰაჰა! და ეჰ! – როგორღაც ხომ უნდა გააუფასუროს ადამიანმა მოუხელთებელი...

ისევ ჯარისკაცებს მიუგდო ყური. თვითონაც უყვარს ქალებზე ლაპარაკი და ცოტა ტრაბახიც. არც მალავდა თავის რომანებს, მით უმეტეს, თუ ქალიც არ იყო წინააღმდეგი. ცოლის ისტერიაში გადასულ ბრაზს კი უმანკო, უცოდველ სახეს ახვედრებდა, რას ამბობ, არაფერი სერიოზული სხვა ქალთან არ მაქვსო. როლში შედიოდა, არწმუნებდა, თან თავის მსახიობურ ნიჭს ავარჯიშებდა. დასცინოდა. რას ერჩოდა? აი, ელიზე კი სიტყვა არ დასცდებოდა, მხოლოდ ზაზასთან მოიკითხავდა. ზაზა ის რგოლი იყო ელისთან რომ აერთებდა, ელის მეზობელი და გოგის მეგობარი, უფრო ელის მეზობლობის გამო. სხვებთან არც კი ახსენებდა. აშინებდა იმის აღიარება, რომ უარყოფილია? არა, არ ემეტებოდა თავისი ვნებები საჭორაოდ გასამზეურებლგამოსაფენად. ზაზამ რომ ამცნო, ელი გათხოვდა და ქმართან გადაბარგდა საცხოვრებლადო, მთელი ღამე სვამდა, სხვებს ეგონათ, ლაღად ქეიფობდა, ერთი სიტყვაც არ დასცდენია ელიზე. გოგი ზაზასაც ისე, სხვათა შორის ჰკითხავდა ხოლმე ამბებს, ზაზაც ინდობდა და თვითონაც სხვათა შორის უყვებოდა სიახლეებს ან იმავეს. გოგი დამშეულივით ისრუტავდა ყველა წვრილმანს.

ამ გაზაფხულზე ქუჩაში მოჰკრა თვალი, ავტობუსის გაჩერებაზე, შვილთან ერთად ახლად შეკვირტული ცაცხვის ხის ქვეშ იდგა და იცინოდა. შვილი რაღაცას უყვებოდა და იცინოდა ელი. გოგიმ შორიდანვე მოჰკრა თვალი, მანქანა მოშორებით შეაჩერა და უყურებდა, უყურებდა და ნატრობდა, დიდხანს მდგარიყო ელი გაჩერებაზე. მზიანი დღე იყო, ელის ცალ მხარზე პიჯაკი ჰქონდა დაუდევრად გადაკიდებული, მეორეზე ჩანთა. ბიჭი აწელილი, დედის სიმაღლეს მიტანებული, რაღაცას ყვებოდა და ელი იცინოდა. მერე საყელო შეუსწორა შვილს და ლოყაზე აკოცა. შეშურდა კიდეც. გოგის გამალებით უცემდა გული, ხელები თითქოს უხილავ საცეცებად დაუგრძელდა და მისწვდა, მოეხვია. ელიმ რაღაც იგრძნო, აშკარად იგრძნო, კისერზე მოისვა ხელი და გაღიმებულმა უმისამართოდ გამოხედა ქუჩას. გოგის გული აუჩუყდა, გაეხარდა, ისევ ისეთია, შვილზე ოდნავ უფროს გოგოს ჰგავს. გაეხარდა, გული აუჩუყდა, რომ მისი სანატრელი ქალი ისევ ისეთი იყო, ისევ შეეძლო, ვნებიან ოცნებებში ჩაძირულიყო და ისევ სდომებოდა აი, ეს! და არა სხვა ქალი.

ისევ ისეთი ლამაზია და ისევ მისია ეს ქალი, როგორღაც, რატომღაც, მასზე გაბრაზებული და სწორედ ამიტომ მისი, რომ სწორედ მასზეა ასე გაბრაზებული.

ის შორეული ზაფხული ფერშეუცვლელად ახსოვს, სიყვარულით და ვნებით სავსე. არა, თვითონ ელის ბრალია ყველაფერი – რა ჯანდაბად წავიდა იმ ზაფხულს თბილისიდან, თანაც მთელი ერთი კვირით?! არ შეიძლებოდა ერთხელ გამოეტოვებინა ეს რაღაც ოჯახური ზეიმი? ელის დიდი სახლი, ძველ თბილისურ ეზოში, მუდამ ხალხით იყო სავსე. ყველას თავისი სტუმარი ჰყავდა ოჯახში ბებიაბაბუას, დედმამას, დაძმებს, მუდამ ჟრიამული იდგა. ზაფხულობით მთელი სანათესაო თუშეთის რომელიღაც სოფელში იკრიბებოდა რაღაც საგვარეულო წარმართული ზეიმის აღსანიშნავად. მთიელთა დღეობები წარმართულია, აბა რა არის?! არა, რას წავიდა, რას დატოვა გოგი თბილისში უპატრონოდ? ისე, მაშინ გოგიც დაპატიჟეს, უფრო სწორად, დაპატიჟებაც კი არ სჭირდებოდა, ყველა მოხალისე მეგობარს შეეძლო შეერთებოდა დღეობას.

შეუერთდნენ კიდეც. მაგრამ გოგი რატომღაც დასიცხულ თბილისში დარჩა და წყნეთშიც აღმოჩნდა საკუთარი აგარკის მეზობელ აგარკზე და ვიღაც წითელსარაფნიან გოგოსთან ლოგინში. თანაც როგორ?! გვერდით ოთახში გავიდნენ და... და იმღამინდელი ღრიანცელის ყველა

თხუთმეტამდე მონაწილემ იცოდა, რისთვის გავიდნენ. ცუდად და უსიამოდ გაეჭედა ის ღამე გოგის სულში. ბიჭების შურნარევი შეძახილიც კი „ვა, რა მაგარი ხარ, რა ნაშა შეაბი!“ – ვერ შეირგო და ვერც ის წითელკაბიანი ნაშა. ელი კი ძალიან მოენატრა. ერთ კვირაში დაბრუნდა ელი, როგორც შეჰპირდა. სკვერში, ხის ძირას იდგნენ. ელი დუმდა და არაფერს ამბობდა. არაფერს ამბობდა, მაგრამ თვალებში კითხვა ისე გამჭვირვალედ ედგა, არშემჩნევა არაფრით გამოდიოდა და გოგის როგორღაც თავისით დასცდა, რომელიღაც ფილმში გაგონილი ფრაზა, „ეს უბრალოდ სექსი იყო“.

გოგი ახლაც ხედავს თავის თავს იმ შუშის თვალებში. ელის სახეს კი – ვერა. მერე იყო შემოქნეული ხელი, მოუქნელი, მწარე გარტყმა. ის გოგო – ელი, ხელს იქნევს, გოგი არ გრძნობს ტკივილს, მხოლოდ ხედავს, როგორ იბზარება მისი სახე ელის გაფართოებულ გუგებში და ნაწილნაწილ იშლება, როგორც ფილმში შენელებულ კადრში ჩამომსხვრეული მინა. ასე შეინახა მისმა წარმოსახვამ ეს სცენა მეხსიერებაში.

მერე ელი გატრიალდა და წავიდა, თითქმის გაიქცა. გოგი იდგა და უყურებდა, ვერ გაბედა გასდევნებოდა. იქნებ, მაშინ უნდა გასდევნებოდა, მუხლებში ჩავარდნოდა ან გულში ჩაეკრა და ეთქვა, რომ ძალიან, ძალიან უყვარს, რომ მართლა ნანობს წყნეთის იმ წყეულ ღამეს. არა, ასეთი რა რისხვა და ბოღმა აღმოაჩნდა მხიარულ, გულღია ელის, რით ვერ აპატია?

ერთხანს გრძელ ტექსტებს თხზავდა, რა ეთქვა, როგორ მოებრუნებინა, მაგრამ როცა ურეკავდა, ხმას ვეღარ იღებდა. ელი გულთმისანივით უნდა მიმხვდარიყო მის ნაფიქრალს. ელი კი დუმდა. მერე გაბრაზდა, რა გახდა ასეთი ეს ელი, მაგას რა ჰგონია, სხვას ვერ იპოვის, თუ? და იპოვა ქეთი, კარგად აღზრდილი, კარგი ოჯახის შვილი, ლამაზი და მუდამ საბანკეტოდ გამოწყობილი, ლამის ლოგინშიც. აი, სიყვარული კი... ჯანდაბას სიყვარული, მაგრამ მეგობრული სიახლოვეც კი არ გამოვიდა. გოგის ძალიან არც შეუწუხებია ამისთვის თავი. იცოდა, ქეთისათვის თვითონაც რაღაც თავის მოსაწონებელი სამკაული უფრო იყო – გამოპრანჭულგამოწყობილი თამამად და ამაყად გაივლიდა, მისი ქმარი ცნობილი ექიმის შვილი, ცნობილი მსახიობია. ქეთის რას ერჩის, თვითონაც ეგეთი არ იყო? მანქანაში ქეთი გვერდით რომ ეჯდა, თავდაჯერებულად გრძნობდა თავს, კაცად, ლამაზი ქალი, თავისი საკუთრება რომ ახლავს. თუ ქეთი არ იყო, უნდოდა ვიღაც მჯდარიყო მის გვერდით მანქანაში, თუნდაც შემთხვევით გამვლელი ქალი. ასე უფრო ლაღად გრძნობდა თავს. მერე, ბიჭი რომ დაიბადა, ისიც კი ლამის თავიანთი აღკაზმულობის ნაწილად აქციეს და მიმტევებელი ღიმილით იღებდნენ ბიჭის მიმართ გამოჩენილ ყურდღებას. „დედააა, რა ბავშვია, რა ლამაზია, ტაკუნები, კუტუნები, პაწიპუწი!“ – „აბა, რა იქნება ასეთი დედმამის პატრონი?!“ – სახეზე ამაყი თავდაჯერებულობა ეხატათ გოგის და ქეთის. ელი კი მაინც არ ავიწყდებოდა და გაჯიუტებული იმასაც ცდილობდა, იმ საერთო სუფრებზე თუ ზეიმებზე აღმოჩენილიყო თავის ლამაზ ცოლთან ერთად, სადაც ელი იქნებოდა, ეჩვენებინა, რომ მის გარეშეც მშვენივრად ცხოვრობს.

მერე დაიღალა ელის ძებნით, მისი დასჯის სურვილით, დანებდა – რაკი ასე მოხდა, ასე უნდა მომხდარიყოო. მოკლედ, ბედი და მისთანები. ერთიორჯერ გადაეყარნენ ერთმანეთს რაღაც საერთო მეგობრულ ზეიმზე ზაზასთან. ელიმ – გამარჯობაო. და გოგის გულმა და მთელმა სხულმა ბოლომდე იგრძნო დედამიწის მიზიდულობის ძალა, იმ წუთას იმ ქალში რომ გადანაცვლებულიყო მთლიანად. მაგრამ ელის შეუვალ მზერას დაეჯახა – ეს მხოლოდ ზრდილობის თამაშია, მაყურებლებისათვის. ფარისეველი! ამ ნიღბის მიღმა რა იყო – სიძულვილი, რისხვა? არა, ახლა იცის, ელის თვალებში იმდენივე სურვილი და მონატრება იდგა, რაც თვითონ მასში და შიში – ამას ვერ მოერევა. არა, ელი ძალამ და რისხვამ კი არა, უმწეობამ გააქცია, მზად არ იყო ღალატისათვის. როდის არის ადამიანი მზად ღალატისათვის? არა, ეგეთი ელი არც უნდოდა, ღალატს და შეურაცხყოფას რომ ჩაყლაპავდა. ელის რომ გაეკეთებინა და ეთქვა იგივე, თვითონ აპატიებდა? არა, არც ეგეთი ელი უნდა.

უნდა გაჰკიდებოდა მაშინ, გულში ჩაეკრა და ეთქვა, რასაც გრძნობდა. კარგია სინდისის დასამშვიდებლად, რაკი ასე მოხდა, ასე უნდა ყოფილიყოო. მაგრამ ახლა მისი შვილი რომ დაიკარგა, მის შვილს რომ რამე მოუვიდეს და ვინმემ უთხრას, რაკი ასე მოხდა, ასე უნდა მომხდარიყოო – მოკლავს!

იმ ღამეს გოგის ელი ესიზმრა, ხის ქვეშ იდგა და ტიროდა. გარშემო უამრავი ხე იდგა და გოგის უკვირდა, ტყეში რა გვინდაო. დილით გაიფიქრა, რატომ შვილი არ დამესიზმრაო. პაატას ჰკითხა: – სიზმარი ნახე? პასუხად: – არა, სიზმრებს არ ვხედავ.

– სიზმრებს ყველა ხედავს, არ გახსოვს.

– ალბათ. – უშფოთველად დაეთანხმა პაატა.

იპოვის ბიჭს, წაიყვანს თბილისში და შეხვდება ელის, აუცილებლად შეხვდება. ისე, ატირებული ელენე ცხადში არასოდეს უნახავს.

მეორე დღე ისევ პაატას დავთრის შევსებაგაფერადებას შეეწირა. ჰოსპიტალიდან დაიწყეს. ჯერ ქირურგები გაიცნო. სულ ახალგაზრდა ბიჭები, მთავარმა ექიმმა და მათმა ავტორიტეტმა – ბატონმა არჩილმა წამოასხა. ამათ რაღა უნდათ აქ? საჭიროები კი არიან, ჭრიან და კერავენ დაჭრილებს, ვინც მოხვდებათ ხელში. იკითხა,

ნინი შარუხია, 8 წლის

ევალებათ ბიჭებს ომში ყოფნა თუ მოხალისეები არიან. მოვალეობა? ვინ ასრულებს ამ ქვეყანაში მოვალეობას, თუ არ გინდა – არ წახვალ. ვახ, ესენიც იდეინად არიან აქ?! ომობანანათამაშევ ბიჭებს საკუთარი თავის გამოცდა უნდათ – ომის რომანტიკა უხმობთ! არა, რაში აინტერესებს, ვინ რაზე ფიქრობს, ფეხებზე არ ჰკიდია?! მთავარია, თავისი ბიჭი იპოვოს.

გოგისთვის ახლა აქ, ჰოსპიტალში ყველაზე მნიშვნელოვანი დაჭრილი აფხაზი ტყვე რომა ინალიფაა. დაველა-პარკებიო, არჩილს სთხოვა. ბიჭი ფერდში და მარცხენა ხელშია დაჭრილი და ამიტომ თითქმის სანახევროდ შებინტული. გოგიმ ბევრი არაფერი იცის აფხაზებზე, აკაკი წერეთელი ახსენდება – „ინალიფას ლურჯი ლაფშა...“ დაჭრილი ინალიფა ძირითადი კოზირია – მისი შვილი, კიდევ ორი ბიჭი და კიდევ თერთმეტკაციანი სამარხი რომ დაუთმონ აფხაზებმა. ინალიფას ქართული მხრიდან კიდევ ერთი აფხაზი ტყვე და სამიც მიცვალებული ემატება.

ინალიფა ოციოდე წლის ბიჭია, წვერებიანი, კარგად დაკუნთული, მაგრამ მაინც ეტყობა – ჯერ უმწიფარი კაცია. მკვახედ, უხიაგად გამოხედა, მაგრამ აქაც ეტყობა უმწიფრობა. სიგარეტი ხომ არ გინდაო, ყველაზე კაცური და ნეიტრალური ჰკითხა თავისი ჭკუით გოგიმ. წადი შენი, შემოუღრინა იმან. რა დიდ გულზეა დაჭრილი და თანაც ტყვე?! გმირს თამაშობს, ბოლომდე თუ ითამაშებს? აბა, მამუკა დაადგეს ავტომატით, თუ შერჩება კიდევ ღირსება? აქ არჩილთან და პაატასთან გასდის გმირობანა. მაგრამ პატარა ბიჭია და, ალბათ, კარგიცაა, გმირად ყოფნა რომ უნდა. ისეთივე ბიჭია, როგორც მისი, რაღაცით თითქოს ჰგავს. რით? ორივე ომობანას, გმირობას თამაშობს, სამშობლოს იცავენ და ორივეს სჯერა, რომ მართალია. მისი შვილი როგორ არის ახლა, ვინმე ხომ არ ჩაგრავს, მაგათი!.. მაგრამ ინალიფას შემოღრენა არაფრად ჩაუთვალა და უთხრა, ჩემი შვილიც ტყვეა და უნდა გაგცვალოთო. ასაკი ჰკითხა. ყალყზე შემდგარი ინალიფა რატომღაც ჩაცხრა, ოცის ვხდებიო. ომი რომ არ ყოფილიყო, შენ და ჩემი შვილი შეიძლება ერთმანეთს შეხვედროდით და მეგობრები ყოფილიყავითო.

– ომი თქვენ დაიწყეთ, მე ჩემ სახლს ვიცავ! მე არვის მივ-ვარდნივარ, თქვენ მოხვედით აფხაზეთში, ჩვენ ხომ არ მოგივარდით საქართველოში. – თითქოს თავი იმართლა ბიჭმა.

– რამ გაყო აფხაზეთი და საქართველო? – გულწრფელად გაიკვირვა გოგიმ.

– ჩემთვის გაყოფილია. – ისევ გაუმკვახდა ხმა აფხაზს.

– კარგი, შვილო, ღმერთმა გიშველოთ შენც და ჩემ შვილსაც. – ისევ რაღაც მისთვის უჩვეულო წამოსცდ-

და – სიტყვა „შვილო“. უმცროსებთან მამაშვილური არა, უფრო მეგობრულბიჭური ეჭირა. ახლა რა ეტაკა, მისი შვილი რომ არ იყოს ტყვედ, თუ იქნებოდა ასეთი შემნდობი და მამური?

ბიჭი კი მოლბა, ერთი ღერი მომეციო, ისე, დიდი მწეველი არა ვარო.

– არც მე, მაშინ ვეწევი, როცა ვსამ. და კიდევ ომში. – ჩაიცინა. მერე მთლად მშობლად იქცა. – რამე ხომ არ გჭირდება?

– გეშინია, არ მოვკვდე და უსარგებლო ნივთად არ ვიქცე? – ისევ დაიღრინა ბიჭმა, მაგრამ უფრო რბილად, მოვალეობის მოხდასავით. – ისე, მე მკვდარიც ძვირი ვღირვარ, ინალიფა ვარ. – თითქოს ირონია შეერია ხმაში.

– ცოცხალ ადამიანთან ლაპარაკი მირჩევნია და, თუ ძვირად ფასობ, მით უკეთესი, ჩემი შვილიც ცოცხალი მინდა დამიბრუნდეს.

– არც მე მინდა ომი, – თქვა ბიჭმა, – სტუდენტი ვარ, მოსკოვში სამსახიობოზე ვსწავლობ.

ეჰ, კოლეგა!

მერე გოგიმ არჩილს ჰკითხა, ინალიფას რაც საჭიროა, თუ გაუკეთეთო. არჩილმა იწყინა კიდეც, – მე ექიმი ვარ, ეს ჩემთვის დაჭრილია, პატარა ბიჭი. ორ კვირაში კაჟივით იქნება. დამთავრდება ეს საგიჟეთი, სიკეთე გაახსენდება და კაცი დადგება.

ვინ იცის?!

ინალიფასთან გაბაასებიდან ერთი საათის შემდეგ პაატასთან ერთად სოფლის შარაგზას მიუყვება. პაატას მხარზე ბოსტნიდან ამოძრობილი სარი აქვს გადებული, ზედ თეთრი ნაჭრის ნაგლეჯით. მშვიდობის, ზავის თუ რაღაც ამდაგვარის ნიშანი. ოდნავ ირხევა დროშა ნიავის შემოქროლვაზე, კარგია რომ აბრეშუმისაა, უფრო კარგად ერევა ნიავი. ჯერ ეგრეთ წოდებულ ქართულ ზონას, ქართულ ნაწილებს გასცდნენ, მერე ქართველი ძაღლების ყეფამ და ადამიანების ხმამ თანდათან იკლო და ბოლოს ნიავის შემოტანილ შორეულ ძახილად იქცა. მერე შარაგზა სულ დაცარიელდა, ჭრიჭინების ჭრიალი აუტანელი გახდა და მაშინ იკითხა: – შეიძლება გვესრო-

ᲡᲝᲤᲝ ᲭᲐᲜᲭᲚᲐᲕᲐ, 7 ᲬᲚᲘᲡ

ლონ? და მაშინ წამოსცდა, ბოსტნებით წავიდეთო. მერე ძაღლების ყეფა გაძლიერედა, აფხაზი ძაღლების, ძროხის ზმუილიც მოესმა, ნაღვლიანი.
ეს გზა არაერთხელ გაუვლია პაატას, ან ამდაგვარი. როგორ მიდიოდა მარტო? რაღაცნაირი მარტოკაცია. შეიძლება ბევრი მეგობარიც ჰყავს, მაგრამ მარტოკაცია მაინც. ბავშობაში ალბათ რბილი იყო, მეოცნებე და მფრთხალიც. მარტოობაში გამოჭედა თავისი სიძლიერე. მაგრამ ამასაც უნდა თბილი და საიმედო, ერთგული ადგილი, სადაც ღიად და დაუფარავად, თამაშის გარეშე იტყვის ყველაფერს. ადგილი, სადაც შეგიძლია, ჩუმად იყო და უხერხულად არ იგრძნო თავი. ამასაც უნდა ხანდახან ჩარგოს თავი სადმე საიმედო კალთაში და ატირდეს! ფუ! რა ლაჩრული სიტყვაა „ატირდეს“. ჰოო?!
– იარაღს რატომ არ ატარებ
– რა აზრი აქვს, რას მიშველის?!
– ერთ მტერს მაინც გაიყოლიებ.
– გავიყოლიებ რა, ქეიფში მივდივარ? მირჩევნია, ამ ქვეყანას ვიყო და გაყოლიებაზე უარს ვიტყვი.
გოგის შეუძლია აქ დარჩენა და ბრძოლა? შეიძლება ესროლოს კიდეც ვინმეს, მაგრამ ჯერ ბიჭს გაიყვანს. მერე შეიძლება დაბრუნდეს, ომი ამ პატარა ბიჭების საქმე არ არის. იქნებ პაატას მიეხმაროს დაკარგულების, დატყვევებულების მოძებნაში ან სულაც საფლავების გათხრაში. ბოლო ყველაზე დამთრგუნველია, მაგრამ ვიღაცამ ხომ უნდა გათხაროს, რომელიმე ნეკროფილიმა. კარგი, არ იქნება ლაჩარი, მაგრამ ვის ებძოლოს, აფხაზებს? რატომ? ვინ იცის, ვინ არის მართალი, ან საერთოდ არის ვინმე მართალი? ვინ იცის, რატომ ითელება და ვიწროვდება ხანდახან მიწა ადამიანებისათვის, რატომ ვეღარ ეტევიან ხოლმე? არჩილის და მისი ბიჭების ესმის, ექიმები არიან, დაჭრილებს შველიან. თვითონ იმ აფხაზ ბიჭზე რატომ იზრუნა, იმ იმედით, რომ სადღაც იქით მის შვილსაც ვიღაც დაინდობს და უპატრონებს?! თუ ისე, ზოგადად სიკეთის გამო?
– რაში გვჭირდებოდა ეს ომი?
– რომ დავამტკიცოთ, ჩვენ კარგები ვართ და ისინი ცუდები, ჩვენ მართლები და ისინი მტყუანი.
– იმათ?
პაატამ ცერად გადმოხედა, ოდნავ ჩაიღიმა, – რომ დაამ-ტკიცონ, რომ ისინი არიან კარგები და ჩვენ ცუდები, რომ ისინი არიან მართალი და ჩვენ მტყუანი.
ეკაიფება? არაფერში არ გვჭირდება ეს ომი, გაიფიქრა. პაატა მშვიდად მიაბიჯებს, ჟუვაჩკას ღეჭავს.
– რა გაღეჭინებს ამ სიცხეში? – შეუღრინასავით.
კიდევ კარგი, შემახსენეო, გაეცინა და ღონივრად გადაუფურთხა. ბერდიაევიო, ჟუვაჩკა კი ისე ღონივრად გადაფურთხა. ისე, რას უშლიან ჟუვაჩკა და ბერდიაევი ერთმანეთს? არც არაფერს.
მერე შეთანხმებულ ადგილზე, ქლიავის ხესთან, შეხვდნენ ბატალ ტბარს. ოდესღაც მეგობრები ერთმანეთს ხელის ხანმოკლე ჩამორთმევით მიესალმნენ. სხვა დროსაც შეიძლება ერთმანეთს არ ჩახუტებოდნენ, მაგრამ მხარზე ხელს მაინც შემოჰკრავდნენ ერთურთს. მერე დავთრები დააძრეს და ცოცხლებისა და მკვდრების ოდენობა გადაამოწმეს. მოშორებით ბატალის თანმხლები ავტომატიანი კაცები დგანან. პაატამ ქლიავის ტოტი მოიზიდა, ჭამენ მწიფე ქლიავს, კურკებს აფურთხებენ და მეორე დღისთვის შეხვედრის ადგილს აზუსტებენ.
გოგი დამუნჯდა, ვერ იკითხა, ჩემი შვილიო? თვითონ უთხრა ბატალმა, ხვალ დილიდან ცეცხლის შეწყვეტაზე შევთანხმდებით და დღის ორი საათისთვის შენს შვილს ცოცხალს და უვნებელს ჩაგაბარებო. ისე უთხრა, თითქოს ექსკურსიაზე ან ალპინიადაზე ჰყავდა წაყვანილი და მშობლებისაგან გულდაგულ ჩაბარებული. გოგი დამშვიდდა, ჩრდილიანი მხრიდან ერთ ქლიავი თვითონაც მოწყვიტა, ჭიანი იყო. საღი ნაწილი წააკბიჩა. ასეთი გემრიელი ქლიავი, გრილი და გრილად მომჟავო, არასოდეს უჭამია.
დაღამებულზე ზღვაში ეყარნენ, გოგი წყლის ზედაპირზე ტივტივებდა და ახლა აბსურდის თეატრში ეგონა თავი – მისი შვილი სად არის, როგორ არის – არ იცის და თვითონ წყალში ჭყუმპალაობს. უცებ ცა განათდა. დიდი მრგვალი გირლანდები დაეკიდა სოხუმის თავზე.
– ამას ლუსტრას ეძახიან, – გაანათლა პაატამ, – გაგვანათეს, დაგვათვალიერეს, ახლა დაგვბომბავენ.
გოგიმ ხელები სწრაფად მოუსვა.
– არა, აქეთ არა, იქით ბომბავენ. – ქალაქის ჩრდილოაღმოსავლეთისაკენ გაიშვირა ხელი.
დაბომბვასაც უყურა, შორიდან. კარგია, რომ შორიდან. ერთ საათში აბსურდი გაგრძელდა. პაატას სოხუმელი მეგობრის სახლში ისხდნენ. პაატა ბარაქიანად უსვამდა პურზე კარაქს და ყველის ნაჭერს ადებდა. ღონივრად ღეჭავდა, ჯანმრთელად. ტუჩების რბილი ხაზი აქვს, უფრო ქალური. მსუნაგი იქნება, ტკბილეულიც ეყვარება და ქალებიც. ვნებიანი საყვარელი იქნება, მაგრამ იმ ქალთან, ძალიან რომ მოსწონს – მორცხვი და გაუბედავი. მიუწვდომელ ქალებს, ალბათ, არ მისდევს და არც გოგივით ნევროზს დაიმართებს – მთელ ცხოვრებას ერთ ქალზე ოცნებას არ გადააყოლებს.
მერე ტელევიზორს უყურებდნენ და პაატა და მისი მეგობარი იცინოდნენ, ლამის სიცილით კვდებოდნენ რაღაც უნიჭო კომედიაზე. „ტომი და ჯერიზეც“ იცინებენ ეს კრეტინები. ისე, თვითონ ამათზე უარესი იქნება, აქ რომ დარჩეს ერთორი კვირას, სროლასა და გვამებს ყოველდღე რომ უყუროს.

ის ღამეც, როგორც იქნა, გათენდა. – გადაღების მესამე დღე დაიწყო! – გამოუცხადა თავის თავს გოგიმ. დილაადრიან მიკროავტობუსის საჭეს მიუჯდა პაატა, გვერდით შავოსანი მამა მოისვა, უკან გოგი, ინალიფა და კიდევ ერთი აფხაზი ტყვე და სამიც მიცვალებული მოთავსდნენ. მშვიდობიანად გადავიდნენ ფრონტის ხაზზე, ქართველებმაც და აფხაზებმაც სიტყვა შეასრულეს – აცალეს გადასვლა. ჯერ აფხაზებს თავიანთი წილი ტყვეები და მიცვალებულები გადასცეს. გოგი შეშინდა, ჩვენები რომ არ მოგვცენო?! პაატას გაეღიმა კიდეც – ეგეთები არ მოსულა! მერე საფლავთან მივიდნენ და შვილის გვამის მაძიებელი მამა დატოვეს მის გასათხრელად, ვიდრე თვითონ მეზობელ სოფელში თავიანთ წილ ცოცხალ ხალხს ჩაიბარებდნენ – გოგის ბიჭს და კიდევ ორ ტყვე ქართველ ჯარისკაცს.

სოფლის ცენტრში, სოფლის კლუბთან თუ რაღაც ეგეთთან შეჩერდა მანქანა. რამდენიმე ქალი იდგა შენობის წინ. ტბარი შიგნით შევიდა და მალევე გამობრუნდა, ქალებს ჰკითხა, საით წავიდა მებრძოლთა რაზმი, ტყვეები უნდა გადაგვეცვალაო. გოგიზე მიუთითა, ერთი ამის შვილიაო. ქალებმა მხოლოდ ის იცოდნენ, რომ რაზმი სოფლიდან უკვე გავიდა. გოგის მზერა აარიდეს, თითქოს. დაღლილი და სევდიანი თვალები ჰქონდათ. ბატალმა, მე რაზმს მოვძებნი, ბიჭის ამბავს გავარკვევ, თქვენ კი საფლავი გათხარეთ და მიცვალებულები წაასვენეთო. რამ-დენიმე შეიარაღებული კაცი გააყოლა. უკან მიბრუნებულებს საფლავის ბორცვი ხელუხლებელი დახვდათ. შვილმკვდარი მამა იქვე იჯდა, უფრო იდო, მუხლებში თავჩარგული. ბორცვეზე ალაგალაგ ბალახი იყო უკვე ამოღერილი. რაღაც ცისფერი ყვავილებიც დალანდა გოგიმ. და კიდევ ერთი გერმანული სიტყვა გაასხენდა, ამ ცისფერი ყვავილის სახელი (დოიჩეს ნაკვალევი!) – „ფერგისმაინნიხთ“, რუსულად „ნეზაბუდკა“ ჰქვია, ქართულად? – კესანე, – დაღლილად თქვა პაატამ. გოგი მზად იყო, ყველა სისულელეზე ელაპა-რაკა, ოღონდ არ... მაგრამ საფლავი გასათხრელი იყო. შავტანსაცმლიანი შვილმკვდარი მამა მკვდარივით იდო მიწაზე. პაატამ და გოგიმ თხრა დაიწყეს. და უცებ მიხვდა, რომ თავდავიწყებით თხრის, იმიტომ რომ მისი შვილის საფლავი არ არის, ან იმიტომ, რომ დარწმუნდეს, იქ არ დევს მისი შვილის გვამი. ვერც იქნება ორი კვირის წინანდელ საფლავში, ერთი კვირის წინ წამოვიდა საომრად. მაგრამ მაინც ბედნიერი ჩახედავდა სამარხს, სადაც მისი შვილი არ იქნებოდა და ვერც იქნებოდა.

მიწა რბილი იყო და ფხვიერი. მერე ბუზების ზუზუნმა იმატა და ბარიანად გაუშეშდა ხელი. და მერე უფრო ფრთხილად აცლიდნენ მიწას, მერე ფრთხილად იღებდნენ გვამებს და თეთრ, გერმანულწარწერიან ელვაშესაკრავიან ტომრებში აწყობდნენ. და ელვაშესაკრავს, ზზზუუმპ! ერთი ხელის მოსმით კრავდა პაატა. მეთერთმეტეც ამოიღეს. ახლა მანქანაში უნდა ჩატვირთონ. ავტომატიანი კაცები დგანან მო-შორებით, მაყურებლები. შებინტული ინალიფაც მათ შორის დგას, თავისიანებში. ბარი ამოიღეო, თქვა პაატამ. საფლავში ჩარჩენილ ბარს ჩახედა, რაღაც დაუფიქრებლად ჩახტა, ზევით ამოაგდო, თვითონ წელზევით სანახევრად ამოიზიდა ორმოდან, იქ მყოფებს გადახედა – ისევ ისე გვერდზე გადავარდნილგადაწოლილი შავოსანი მამა, თეთრი ტომრები და პაატა, ავტომატიანი მკვახესახიანი კაცები...

ამოიტანა ტანი ზევით, ამოიზიდა და შეჩერდა საფლავის კიდეზე. უცებ გაბრაზდა, გაეცინა, გაცოფდა. ხახა! ახლა იწყება ჩემი არტისტიზმის გამოცდა. პუბლიკაც აქაა!

– რას მიყურებთ? – მიუბრუნდა ავტომატიან კაცებს.

– ხედავთ ამ ტომრებს, აი, აქ ნებისმიერი ჩვენგანი შეიძლება აღმოჩნდეს, იმიტომ რომ კრეტინები ვართ და ნაბიჭვრები. ჭიები კი ისე დაგვხრავენ, ვერ გაარჩევენ, რომელია აფხაზი, ქართველი ან გერმანელი. რას მომჩერებიხართ, კრეტინები ვართ, აბა, რა მინდა ახლა მე აქ, ან თქვენ რა ფეხებად გინდათ ავტომატები, საქმე გამოილია ამ ქვეყანაზე?

რომელიღაცამ ავტომატი მხრიდან ჩამოასვენა, გვერდზე გადააფურთხა და შეაყენა.

– აჰა, მესროლე! – ხელის ერთი მოძრაობით მკერდზე შემოიხია პერანგი, ღილები დაგორდა მის წინ წაფერდებულზე, თვალი მიაყოლა, ერთი ცისფერ ყვავილთან შეჩერდა. – მესროლეთ, ძაღლიშვილებო! – ასე ვამბობდი ერთ სპექტაკლში. მე, ბატონებო, არტისტი ვარ, არტისტი! ძლივს ნატურაში არ გამომადგა ჩემი პროფესია. აგერ, ბატონო, პაატას ცარიელი ტომარა აქვს გამზადებული, თუ გნებავთ, საფლავიც მზად არის, მერე რომელიმე აქოთებულ მიცვალებულში გადამცვლით.

– მესროლეთ, თქვენი... რათ მინდა ეგეთი სოცოცხლე, აყროლებული მიცვალებულიც სახვეწნი რომ გექნება. ეგ არის კაცობა, თქვენი... არ მეშინია სიკვდილის, აჰა, მესროლეთ, მაგრამ ეგ თქვენი ომი სირობაა. ვინ ვარ? ერთი უნიჭო მსახიობი, ჰამლეტი მინდოდა მეთამაშა და რევოლუციონერებს ვთამაშობდი. ახლა ვითამაშებ შექსპირს, ნახავთ ნამდვილ ტრაგედიას. ხომ, არ გგონიათ, თქვენი მეშინია ან სიკვდილის?! ყოფნა?! არ ყოფნა?! აბა, რას მომისჯით, რომელი ხართ მიქელგაბრიელი? თქვენ გგონიათ, გიჟი ვარ? მე ვიცი, რომ მსახიობობანას ვთამაშობ, თქვენ კი, ვითომ ვაჟკაცები, ხალხს ხოცავთ, მარხავთ და მერე ისევ თხრით. გიჟები თქვენ ხართ! ნეკროფილებოო!!!

ავტომატმომარჯვებულმა აფხაზმა კონდახი მხარზე მიიბჯინა. პაატა წამოიმართა, ავტომატიანებსა და გოგის

ნათია რუხაია, 13 წლის

შორის ხელგაშლილ-აღმართული ხმას ვეღარ იღებდა. მერე რომ ინალიფა აეფარა პაატას, რაღაც აფხაზურად თქვა, ხელი აუქნია ავტომატიანმა, ისევ უთხრა რაღაც ბავშვურად ხმააკანკალებულმა ინალიფამ. დაუშვა ავტომატი აფხაზმა, ისევ გადაფურთხა, გატრიალდა და წავიდა. გოგი ჩაჯდა და ატირდა. პაატამ, ახლა მაგის დრო არ არისო, ანუ ტირილის. ჰო ტირილის და გატრაკების, ახარხარდა გოგი. მის ხარხარზე გათიშული მკვდარ-შვილდაკარგული და უკვე მკვდარ-შვილნაპოვნი მამა გა-მოფხიზლდა, წამოდგა და პაატას შეეშველა ტომრების ჩატვირთვაში. ჰო, თავის გაგიჟების დრო და ადგილი არ არის, მონოლოგიც დამთავრებულია! ტაში! აპლოდისმენტები! ჩატვირთეს! გაამგზავრებენ თბილისში და ახლა იქ ჩაფლავენ მიწაში მიწიდან ახალამოთხრილებს, ისევ ერთად, არ ეცოდინებათ რომელი მიცვალებული რომლისაა. უმრავლესობა არ დაიჯერებს, რომ მისი შვილი ამ გახრწნილ გვამებს შორისაა და ჯიუტად მოსთხოვს პაატას, მოძებნოს და დაუბრუნოს შვილი. ცოცხალი! ისევ მოტრიალდა ჯგუფად მდგარი აფხა-ზებისაკენ, როგორ შეარჩინოს ეს სასაფლაო, შეაგინოს? თუ თავი შეაკლას? ინალიფა მოუახლოვდა, გადაირევი ადამიანი, ხელი გამოუწოდა დასამშვიდობებლად. ეს კი არის გმირობა, გამეხებული ავტომატიანი კაცების თვალწინ მტერს, ორი წუთის წინ რომ გაგინებდა, ხელი გაუწოდო ჩამოსართმევად. ამის კეთილშობილება და გმირობაღა აკლია! ხელი კი შეაგება, მიწით დასვრილი, – ჩემს შვილზე თუ რამეს გაიგებ, მიხედე.

– დაბალი ხმით უთხრა, მხარზე ხელი დაჰკრა, მსუბუქად, თბილად.

– ვიპოვი და ბატალს შევატყობინებ. სიტყვა სიტყვაა. უკან გადმოჭრეს ფრონტის ხაზი მიცვალებულებთან ერთად, აეროპორტამდე მიიტანეს ტვირთი. აეროპორტში შვილისგვამნაპოვნი მამა და მიცვალებულები მანქანიანად და რაღაც ქაღალდებიანად ვიღაცას გადააბარეს.

* * *

ჰოსპიტალში მიბრუნებულებს ამბავი დახვდათ, „ავღანელთა კავშირის“ ბიჭები თვითონ გავიდნენ აფხაზებზე და ვიღაცეები გადაცვალესო. მათ შორის ვიღაც ბიჭიც არისო. ამბის მომტანებმა ტყვეობიდან გამოხსნილთა გვარები და სახელები არ იცოდნენ.

– ტყუილი იქნება, – თქვა პაატამ, – დღეში ცხრა ეგეთი ჭორი ვრცელდება. შენი ბიჭი რომ იყოს, ბატალი შემატყობინებდა.

– იქნებ ვერ გაიგო. აქ ხომ ყველა თავისი გეგმით და ჭკუით ომობს, ყველა თავისთვის ცვლის ტყვეებს. ხომ გიმალავდნენ. – არ ნებდება გოგი, – სოფელში ხომ არ დაგვხვდნენ, გავიდეთ და შევამოწმოთ.

– წავიდეთ, მაგრამ ნაკლებად ალბათურია.

ᲑᲘᲝᲠᲑᲘ ᲛᲐᲦᲐᲜᲘᲐ, 8 ᲬᲚᲘᲡ

ამის ალბათობები უნდა ახლა? ლამის გაუქანოს. შაისე! პაატა რაციას აწვალებს. კავშირი არ არის. სერგო მანქანას უჩხიკინებს. გოგი გამეხებული ზის მიწაზე.
– ამის დედაც... – წიხლიც მიაყოლა. ლოყაზე დაცურებული ოფლის წვეთები ხელის ზურგით აიწმინდა და კაპოტი ბრაზით დაახეთქა. მაზუთით გაზინთული ხელისგულები საჯდომზე ჩამოისვა, – დღეს არაფერი აღარ ეშველება, საერთოდ თუ ეშველა.
სერგომ გოგის თვალებს მზერა ააწყვიტა და დანჯღრეულ ვილისს დაადუღა.
– იქნებ... – აზრის გამოთქმა სცადა გოგიმ.
– უკვე ბნელდება, აზრი აღარა აქვს, დღეს მაინც ვერ წავალთ. სიბნელეში ან ისინი გაგვაგორებენ, ან ჩვენები. – გადაწყვეტილებას იღებს პაატა. გოგის იმედიანი „იქნებ“ის საპასუხოდ პაატას დასკვნა ერგო: – ხვალ! ზღვაზე ჩავიდეთ, ვიბანაოთ, მერე ექიმებთან ავიდეთ, რამეს გვაჭმევენ და ცოტა ადამიანურად დავიძინებთო. ისევ ის წყვეტს, ისევ ის უგეგმავს ცხოვრებას. მისი შვილის ბედიც ამ ნაბიჭვრის ხელშია. მაგის დედაც!.. მაინც მიჰყვება სანაპიროზე, მხარდამხარ არა, რამდენიმე ნაბიჯით უკან, თითქოს უხილავ მოკლე ჯაჭვზე დაბმული ძაღლია. ის და მისი ბიჭი ახლა პაატაზე არიან მიბმული, იმ ადამიანზე, სამი დღის წინ რომ ნახა პირველად და მისი ცხოვრების ნაწილად იქცა, მისი ბედის განმსაზღვრელად. სამი დღეა არ მოშორებია, სამი უსასრულო დღე და როცა ყველაფერი თითქოს გასრულდა, ახლა ისევ! კიდევ! კიდევ ერთი ღამე! რა გაათენებს... ესმის, წინ მიმავალი პაატა გეგმავს ხვალ ექვს საათზე ადგომას, მანქანას დღესვე იშვოვის, უარს არ ეტყვიან. ნამდვილად იშოვის. მაგრამ ამ ღამეს რა გაათენებს?!
ქვიშით და ფერადი კენჭებით მოხატული სანაპირო ლამაზ სარეკლამო ფოტოს ჰგავს. ქვიშაში ჩაჯდა, თბილია, ჯერ არ განელებია მზის სითბო. შიშველი ფეხები ქვიშის ქვეშ მოაქცია, ნესტიანი სიგრილე ესიამოვნა. პაატა იხდის, წყალში ჩადიო, მხარზე ხელი დაჰკრა. მისი თანაგრძნობა და მზრუნველობა ფეხებზე ჰკიდია... და მაინც გული უჩუყდება. რა მოუვიდა ამ სამ დღეში, ხან ქვავდება, ხან უბრალო შემოხედვაზე, შეხებაზე შეიძლება ატირდეს.

ეყოფა წვინტლების ჩამოშვება, ახლა ადგება, ავა არჩილთან და მანქანასაც იშოვის. არჩილი მამამისის მეგობარია, უარს ვერ ეტყვის. ხვალამდე ვერ დაიცდის, ამაღამვე უნდა გაარკვიოს – ვინ გამოიყვანეს, ვინაა ის ბიჭი, მისი შვილი? ფეხსაცმლიდან ქვიშა გადმოფერთხა, შიშველ ფეხებზე ამოიცვა, პაატას და სერგოს ანიშნა, ექიმებთან წავედიო.

* * *

პაატას და სერგოს აფეთქების ხმა მაშინ შემოესმათ, ტან-საცმელს რომ იცვამდნენ. ყრუდ, მაგრამ მიმართულების შემცველი ინფორმაციით. ორსამ კილომეტრში იქნება, ტყეში, დაასკვნა პაატამ. მერე ექიმებთან გაიგო, რომ გოგი „ავღანელთა“ რაზმიდან გადახვევაზე ამოსულ ბიჭებს გაჰყოლია, თუმცა ბიჭებმა არ იცოდნენ დაზუსტებით, ვინ გადაცვალეს „ავღანელებმა“ ან, თუ მართლა გადაცვალეს.
სამ კილომეტრში აფეთქდა მანქანა, შეიძლება აფხაზების, შეიძლება ქართველების დადებულ ნაღმზე. მანქანაში მსხდომნი დაიღუპნენ. გოგის მკერდის არეში მოხვდა ნაღმის ნამსხვრევი. იქნებ რამის გაფიქრება კიდეც მოასწრო, ვიდრე სულს მიაბარებდა უფალს.

* * *

ნახევარ საათში ბატალი შემოეხმიანა პაატას, გადმოვალ და რაც გინდა, მიქენიო! რა მოხდა, ცუდის მოლოდინში პირდაპირ გადავიდა სათქმელზე პაატა. გოგის ბიჭი, ვიდრე პაატა, გოგი და ბატალი სოფელში ავიდოდოდნენ, თხუთმეტიოდე წუთით ადრე დახვრიტეს. იქვე მეორე ქუჩაზე ესვენა, როცა ბატალი ქალებს ეკითხებოდა, რაზმი საით წავიდაო. ქალებმა რომ გაიგეს, გოგი დახვრეტილი ბიჭის მამააო, ვეღარ თქვეს ამბავი. ვერ უთხრეს, რომ რამდენიმე წუთით ადრე აფხაზმა ბიჭებმა წაუთაქეს გოგის შვილს, ახლა გადაგცვლით და თუ კაცი ხარ და თბილისში არ გაიქცევი დედიკოსთან, დედას გიტირებთო. გინებით გაექაჩა ბიჭი და საპასუხო გინებას ავტომატის ჯერი მიაყოლა რომელიღაც აფხაზმა. არ მინდოდა, მაგრამ თავი ვერ შევიკავეო, უხსნიდა გაცხარებულ ბატალს ის აფხაზი მოგვიანებით მეზობელ სოფელში.
სიტყვა ვერ შევასრულე, მე თვითონ გადმოვალ და ვისშიც გინდა გადამცვალე, რაც გინდა მიქენიო, ისევ გაიმეორა ბატალმა. რა შენი ბრალია, ჩაქრა პაატა. მამამისს რას ეტყვიო, წუხდა ბატალი.
არაფერს, ვერაფერს...

* * *

იატაკზე ერთმანეთზე მიწყობილ ლეიბებზე არჩილის ბიჭებს სძინავთ, ან არც სძინავთ, პირველ დანაკარგს ეგუებიან მძინარენიც და მღვიძარნიც. არ იციან – ხვალ უფრო მძიმე დღე ელით.
არჩილი სიგარეტს სიგარეტზე ეწევა. რა უთხრას თავის მეგობარს, როგორ უთხრას, ერთად მიცვალებულ შვილს და შვილიშვილს რომ ჩაუსვენებს?! უთხრას, ხელები გულზე დაიკრიფე და ამათ გაჰყევიო, ამაზე ჭკვიანური, რა უნდა თქვას?! ქალებს?! ახალგამომცხვარი აწგარდაცვლილი ქირურგის მშობლებს როგორ დაენახოს?!
პაატა გულაღმა წევს, თავქვეშ უწესრიგოდ გადაკეცილი მაისური აქვს ამოდებული. თმები ისევ სველი აქვს. სველი თმიდან ზღვის წყალი ჩამოიწრიტა, ერთ ნაკადად დაგროვდა და საფეთქლის, ქუთუთოს გავლით ტუჩებთან დაედინა. მოილოკა ნაცნობი სიმლაშე. ზღვის წყალია თუ ცრემლი? სძინავს. სიზმარს ხედავს – ფოტოებს ათვალიერებს. ფოტოებზე ნაცნობი და უცნობი ადამიანები ცოცხლდებიან, მოძრაობას იწყებენ, ფილმის კადრებივით იცვლება სურათები. ცდილობს, დაინახოს, ვინ არიან, რას ამბობენ.. ხვალ არ გაახსენდება თავისი სიზმარი, ვერ მოიცლის დასაფიქრებლად, შეიძლება, გაახსენდეს კიდეც დიდი ხნის მერე, ან – არა.
დაღუპული ახალგაზრდა ექიმი და მამაშვილი იატაკზე გვერდიგვერდ არიან დასვენებული, მამა და შვილი უფრო ახლოს ერთმანეთთან, ექიმი ოდნავ მოშორებით. ისე წვანან, გაპატიოსნებული, მთლიანები, ამ ბინდში უცხომ რომ დახედოს მწოლიარეთ, ვერ მიხვდება, რომელია იმ ქვეყანას მიმავალი.
შვილს ნაიარევი ატყვია წარბზე, ნატყვიარი არაა, გატეხილი აქვს. ნატყვიარი, ორი მკერდზე და ერთიც ფერდზე, არ ჩანს. მამასაც არაფერი ეტყობა თვალსაჩინოდ. კიდევ კარგი, ძალიან არ დასახიჩრდნენ, თავს იმხნევებს არჩილი. რა არის ამაში კარგი? ალბათ, იმ ქვეყანას დაჩეჩქვილი რომ არ მიხვალ, ან ახლობლებს ბოლოჯერ „კარგ ფორმაში“ დაენახვები.
ბიჭის გარუჯული, ლამაზი სახე ჭერს აჰყურებს. თვალის გახელა რომ შეეძლოს, დაინახავდა ოქროსფრად მოვარაყებულ ჭერს. ხმის ამოღება რომ შეეძლოს... იხუმრებდა, ანგელოზიღა აკლიაო. მამას შვილისკენ აქვს თავი ოდნავ მიბრუნებული, ბევრი რამა აქვს მისთვის სათქმელი. კიდევ ნაღმის აფეთქებამდე დაწყებული ფიქრი აქვს დასამთავრებელი, – ახლა გაიყვანს ბიჭს სამშვიდობოს, ომი ამ პატარა ბიჭების საქმე არ არის. მერე ელის შეხვდება, აუცილებლად. ახლა იცის, რომ მთელი ცხოვრება ამ შეხვედრისათვის ემზადება. იქნებ ელენეც ამ შეხვედრას ელის ეს ოცი წელია, იქნებ...

ქართული ენა და ლიტერატურა

ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტური დავალებების ნიმუშები მოიცავს იმ საკითხებს, რომლებიც შეესაბამება 2013-2014 წლის სკოლის გამოსაშვები გამოცდების პროგრამას. აღნიშნული პროგრამა ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმასა და ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ პროგრამას. გამოცდაზე შემოწმდება ქართული ენისა და ლიტერატურის ცოდნა და ამ ცოდნის გამოყენების უნარი. დავალებები მოიცავს ლექსიკოლოგიას, სტილისტიკას, გრამატიკასა (მორფოლოგიასა და სინტაქსს) და პუნქტუაციას; მხატვრული ტექსტის ანალიზისათვის აუცილებელ ლიტერატურათმცოდნეობით ტერმინებს; ლიტერატურული პროცესის ძირითად ეტაპებსა და შესწავლილ ნაწარმოებებს.

გთავაზობთ დავალებების რამდენიმე ნიმუშს:

1. რომელ შესიტყვებაშია გამოყენებული სიტყვა ცივი გადატანითი მნიშვნელობით?

ა) ცივი ზამთარი.
ბ) ცივი კერძი.
გ) ცივი მზერა.
დ) ცივი ქარი.

2. რომელი მეტყველების ნაწილია ხაზგასმული სიტყვა?
ყველა მხიარულობდა, გოგონა კი მოწყენილი იჯდა.

ა) ზმნიზედა.
ბ) შორისდებული.
გ) კავშირი.
დ) ნაწილაკი.

3. რომელია სწორი ფორმა?

ა) ანთავისუფლებს.
ბ) ანვითარებს.
გ) ანთებს.
დ) ანსახიერებს.

4. რომელ წინადადებაშია სინტაქსური შეცდომა?

ა) ჩვენი ქალაქის სტუდენტობა აქ იკრიბებოდნენ.
ბ) ჩვენი ქალაქის სტუდენტები აქ იკრიბებოდნენ.
გ) ჩვენი ქალაქის სტუდენტობა აქ იკრიბებოდა.
დ) ჩვენი ქალაქის ყველა სტუდენტი აქ იკრიბებოდა.

5. რომელ წინადადებაში არ არის სწორად გამოყენებული კავშირი?

ა) ბიჭს იმის გადმოცემა არ შეეძლო, რაც მის გულში ხდებოდა.
ბ) ეს არის „ვეფხისტყაოსნის“ უძველესი ხელნაწერი, რამაც ჩვენამდე მოაღწია.
გ) ტბასთან ყვავის დუმფარა, რომელიც გასაოცარი სილამაზით გამოირჩევა.
დ) ჩემი ყურადღება მიიქცია იმ შენობამ, რომელიც ადრე არ შემიმჩნევია.

6. რომელი სასვენი ნიშანი/ნიშნები უნდა იყოს გამოყენებული შემდეგ წინადადებაში:
დედა რასაკვირველია გაახარა შვილის წარმატებამ.

ა) მძიმე.
ბ) მძიმეები.
გ) ტირეები.
დ) წერტილ-მძიმე.

7. გაიხსენეთ „ვეფხისტყაოსანი“.
რას გულისხმობს ავთანდილი სიტყვებში: „განგებასა ვერვინ შეცვლის“?

ა) განგება მარადიულია.
ბ) ბედისწერა სასტიკია.
გ) ღვთის ნება გარდაუვალია.
დ) წესრიგი ყველგან აუცილებელია.

8. გაიხსენეთ დავით გურამიშვილის „სწავლა მოსწავლეთა“.
როგორი საუნჯეა ცოდნა?

ა) ადვილად ხელშესახები.
ბ) თვალსაჩინო.
გ) უხილავი.
დ) ძნელად დასავიწყებელი.

9. ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი ნ. ბარათაშვილის პოემიდან „ბედი ქართლისა“:
„მაგრამ, ვინ იცის! იგი იქნება
უკეთ ფიქრობდეს, რაც გვეჭირვება?
ბევრჯერ ღვთიურსა ზრუნვასა მეფის
გონება ყმათა ვერა მიხვდების!“
რა განსაზღვრავს სოლომონის ამგვარ დამოკიდებულებას მეფის გადაწყვეტილების მიმართ?

ა) მეფე გამჭრიახია.
ბ) მეფე გონიერია.
გ) მეფე მამაცია.
დ) მეფე მირონცხებულია.

10. გაიხსენეთ ილია ჭავჭავაძის მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივი“.
როგორ გვიხასიათებს ოთარაანთ ქვრივს სიტყვები: „დეე ამას იქით იცოდნენ, რომ მე ოთარაანთ ქვრივს მეძახიანო“?

ა) ოთარაანთ ქვრივი გულმოწყალეა.
ბ) ოთარაანთ ქვრივი პრინციპულია.
გ) ოთარაანთ ქვრივი ტრაბახაა.
დ) ოთარაანთ ქვრივი ქედმაღალია.

11. აკაკი წერეთლის პოემაში „გამზრდელი“ ვკითხულობთ:
„საფარ-ბეგიც მან გაზარდა
ისე, როგორც სხვები ყველა,
მაგრამ მარტო წვრთნა რას იზამს,
თუ ბუნებამც არ უშველა?“.
რის თქმა უნდა პოეტს უკანასკნელი სტრიქონებით?

ა) აღზრდა უშედეგოა, თუ ადამიანი ბუნებას არ უფრთხილდება.
ბ) აღზრდა უშედეგოა, თუ ადამიანი ბუნებასთანა არ არის დაკავშირებული.
გ) აღზრდა უშედეგოა, თუ ადამიანი ბუნებით არის უზნეო.
დ) აღზრდა უშედეგოა, თუ ადამიანი ბუნების წინააღმდეგ მიდის.

12. გაიხსენეთ ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა „ხევისბერი გოჩა“.
როგორ შეხვდნენ მოხევეები ნუგზარ ერისთავის გადაწყვეტილებას, დაიმორჩილოს ხევი?

ა) აღშოთდნენ.
ბ) დაფიქრდნენ.
გ) დაფრთხნენ.
დ) შედრკნენ.

13. გაიხსენეთ ვაჟა-ფშაველას პოემა „ალუდა ქეთელაური“.
ალუდამ ბერდიას მუცალისათვის კურატის შეწირვა სთხოვა, რაზეც უარი მიიღო.
რა არგუმენტით სცადა ალუდამ ბერდიას დარწმუნება?

ა) ადამიანებმა არ უნდა დავივიწყოთ ტრადიციებიო.
ბ) მეც გუდანის ჯვრის ყმა ვარო.
გ) მეც შემიძლია კურატის მსხვერპლად შეწირვაო.
დ) უარი უნდა ვთქვათ მიუღებელ ადათებზეო.

14. ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი დავით კლდიაშვილის მოთხრობიდან „სამანიშვილის დედინაცვალი“: „ბეკინას თავისი თავი მდიდრებში მოჰქონდა და ვინ იქნებოდა, რომ თავის სიღარიბეზე ერთი სიტყვა წამოეცდევინებინა ბეკინასათვის?“
როგორ გვიხასიათებს ბეკინას სიტყვები: „თავი მდიდრებში მოჰქონდა“?

ა) ამპარტავანია.
ბ) თავმოყვარეა.
გ) მატყუარაა.
დ) მორიდებულია.

15. ყურადღებით წაიკითხეთ სტროფი გალაკტიონ ტაბიძის ლექსიდან „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“:
„სად არის ჩემთვის სამაგიერო?
საბედნიერო სად არის სული?
ვით სამოთხიდან ალიგიერ,
მე ჯოჯოხეთით ვარ დაფარული“.
რა მხატვრული საშუალებაა გამოყენებული მესამე სტრიქონში?

ა) გაპიროვნება.
ბ) მეტაფორა.
გ) შედარება.
დ) ჰიპერბოლა.

ყურადღებით გაეცანით თითოეული დავალების პირობას, გააანალიზეთ პასუხების შემოთავაზებული ვარიანტები და მხოლოდ ამის შემდეგ მონიშნეთ სწორი პასუხი.

ქართული, როგორც მეორე ენა (არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეთათვის)

ქართულის, როგორც მეორე ენის, გამოსაშვები გამოცდების ტესტური დავალებები შედგენილია 2013-2014 სასწავლო წლის საგამოცდო პროგრამის მოთხოვნათა გათვალისწინებით. საგამოცდო პროგრამა, თავის მხრივ, ეყრდნობა 2011-2016 წლების ეროვნულ სასწავლო გეგმასა და საგნობრივ პროგრამას (იხ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებგვერდი, ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016; კოდიფიცირებული რედაქცია, 03. 09. 2013 წლის მდგომარეობით, თავები XVI-XIX, გვერდები 236-391). გამოცდაზე შემოწმდება:

- ლექსიკის, გრამატიკის, პუნქტუაციის ცოდნა;
- ამ ცოდნის გამოყენების უნარი;
- სხვადასხვა სახის ტექსტების გაგება-გააზრების უნარი.

გთავაზობთ სირთულით ერთმანეთისაგან განსხვავებული დავალებების რამდენიმე ტიპურ ნიმუშს:

1. რომელია ხაზგასმული სიტყვის სინონიმი?
გიორგი ყველაზე გაბედული ბიჭია ჩვენს ჯგუფში.
ა) ძლიერი.
ბ) გულადი.
გ) მაღალი.
დ) მსუქანი.

2. ის, ვინც სხვებისადმი ყურადღებიანია, არის:
ა) მზრუნველი.
ბ) დაკვირვებული.
გ) დაფიქრებული.
დ) მშრომელი.

3. რას ნიშნავს გამოთქმა: „ყური მოჰკრა?“
ა) გულდასმით მოისმინა.
ბ) ყურადღება მიაქცია.
გ) შემთხვევით გაიგონა.
დ) კარგად დაიმახსოვრა.

4. რომელი კითხვა დაესმის ხაზგასმულ სიტყვას?
ჩვენ ყურადღებით ვუსმენთ მასწავლებელს.
ა) რატომ?
ბ) როდის?
გ) რისთვის?
დ) როგორ?

5. რომელი ნაცვალსახელით შეცვლით წინადადებაში ხაზგასმულ სიტყვას?
ნათესავმა ახალი ბინა მიიღო.
ა) მის.
ბ) მან.
გ) მას.
დ) ის.

6. რომელი სიტყვაა გამოტოვებული წინადადებაში?
დაგიძახე, . . . ვერ გაგაგონე.
ა) ან.
ბ) რომელიც.
გ) რათა.
დ) მაგრამ.

7. დაასრულეთ წინადადება: სახლში მე სულ მარტო . . .
ა) იყავი.
ბ) იყავით.
გ) ვიყავი.
დ) იყვნენ.

8. რომელ წინადადებაშია შეცდომა?
ა) ბიჭი დედას ეხმარება.
ბ) ბიჭი რაკეტა დახატა.
გ) ბიჭი მეგობარს ელაპარაკება.
დ) ბიჭი სახლში წავიდა.

9. რომელი სასვენი ნიშანი აკლია მოცემულ წინადადებას?
ნინო, ადრე რატომ არ გაიღვიძე – დაინტერესდა დედა.

ა) ორწერტილი.
ბ) მძიმე.
გ) წერტილ-მძიმე.
დ) კითხვის ნიშანი.

10. რომელ წინადადებაშია გადმოცემული ფაქტი?

ა) ვფიქრობ, რომ სწავლის გაგრძელება უცხოეთში აუცილებელია.
ბ) ალბათ უცხოური ენის სერტიფიკატს ბევრი მოსწავლე აიღებს.
გ) უცხოეთში სწავლის გაგრძელების მსურველები უკვე შეარჩიეს.
დ) გირჩევ, სწავლა ბერლინის უნივერსიტეტში გააგრძელო.

11. რა არის მოცემული ტექსტის მიზანი?
ტელესკოპი ასტრონომიული ხელსაწყოა. მას ციურ ობიექტებზე დასაკვირვებლად იყენებენ. ტელესკოპით შეგვიძლია ისეთი ვარსკვლავების დანახვა, რომლებსაც სუსტი ნათების გამო შეუიარაღებელი თვალით საერთოდ ვერ ვამჩნევთ. ციურ სხეულებზე ხანგრძლივი დროით დაკვირვებისათვის ტელესკოპს სპეციალურ სადგომზე ამაგრებენ.

ა) გაგვაცნოს ტელესკოპის შექმნის ისტორია.
ბ) გაგვაცნოს ტელესკოპის გამოყენების წესი.
გ) გაგვაცნოს ტელესკოპის აგებულება.
დ) გაგვაცნოს ტელესკოპის დანიშნულება.

12. რომელ კითხვაზე იძლევა პასუხს მოცემული ტექსტი?
მზის სისტემაში ყველაზე მაღალი მთა ოლიმპი მდებარეობს მარსზე. მას სახელი შეარქვეს ბერძნულ მითებში მოხსენიებული ოლიმპოს მთის მიხედვით. მთის სიმაღლე 25 კილომეტრია, სიგანე კი 3-ჯერ აღემატება სიმაღლეს. ოლიმპი ჩამქრალი ვულკანია. მეცნიერთა გამოანგარიშებით, იგი ორი მილიონი წლისაა. მათი ვარაუდით, არ არის გამორიცხული, რომ ვულკანი კვლავ ამოქმედდეს.

ა) როდის აღმოაჩინეს მზის სისტემაში ყველაზე მაღალი მთა?
ბ) როდის გაჩნდა მარსზე ვულკანური წარმოშობის მთა?
გ) ვისი წინადადებით შეურჩიეს მთას სახელი ოლიმპი?
დ) ვინ აღმოაჩინა მზის სისტემაში ყველაზე მაღალი მთა?

13. რომელი წინადადება შეესაბამება ტექსტის შინაარსს?
ასტრონომი და გეოგრაფი პტოლემე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა 87-165 წლებში. მის მიერ შედგენილი „გეოგრაფია“ მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი წიგნია, რომელშიც თავმოყრილია მაშინდელი წარმოდგენები სამყაროს შესახებ. რასაკვირველია, წიგნში ბევრი უზუსტობაა, მაგრამ იმ პერიოდში ეს იყო გეოგრაფიის ერთადერთი სახელმძღვანელო ევროპაში. სამწუხაროდ, ბევრი რუკა ამ წიგნიდან დაიკარგა. თუმცა ვარაუდობენ, რომ XIV საუკუნეში არსებობდა პტოლემეს რუკა, რომელიც იმდროინდელმა კარტოგრაფებმა გადახატეს.

ა) პტოლემეს „გეოგრაფია“ XIV საუკუნეში ერთადერთი სახელმძღვანელო იყო.
ბ) პტოლემეს „გეოგრაფიამ“ ჩვენამდე უცვლელი სახით მოაღწია.
გ) პტოლემეს რუკა XIV საუკუნეში კარტოგრაფებს გადაუხატავთ.
დ) პტოლემეს წიგნში ყველა ინფორმაცია სამყაროს შესახებ ზუსტია.

14. მოსწავლემ ანკეტის მონაცემების მიხედვით შეადგინა ტექსტი. შეადარეთ ისინი ერთმანეთს და დააკვირდით, ანკეტის რომელი მონაცემი არ გამოიყენა მან ტექსტში.
ანკეტა: სახელი, გვარი – ნათია ერაძე
დაბადების წელი – 1999
საცხოვრებელი ადგილი – მცხეთა
საქმიანობა – სკოლის მოსწავლე
მისამართი – ა. ბაქრაძის N17
ინტერესები – მუსიკა
ტექსტი: ნათია ერაძე მე-4 სკოლის მეათეკლასელი მოსწავლეა. ცხოვრობს ქალაქ მცხეთაში. მისი მისამართია – ა. ბაქრაძის N17. ნათიას ძალიან უყვარს მუსიკა. ის კარგად მღერის და უკრავს ფორტეპიანოზე.

ა) ვინაობა.
ბ) დაბადების წელი.
გ) საცხოვრებელი ადგილი.
დ) საქმიანობა.

15. წაიკითხეთ და შეადარეთ ერთმანეთს ორი ტექსტი. გაარკვიეთ, რომელი ინფორმაციაა საერთო ორივე ტექსტისათვის.

1. ფეხბურთი გუნდური სპორტია. ერთმანეთს თერთმეტი წევრისაგან შემდგარი ორი გუნდი ეთამაშება მართკუთხა მინდორზე, რომელსაც ორივე ბოლოში საგოლე კარები აქვს. თამაშის მიზანი მოწინააღმდეგე გუნდის კარში გოლის გატანაა. მატჩის გამარჯვებული ის გუნდია, რომელიც უფრო მეტ გოლს გაიტანს.

2. ხელბურთი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გავრცელებული სპორტული თამაშია. ერთმანეთს შვიდი წევრისაგან შემდგარი ორი გუნდი ეთამაშება. ისინი თამაშობენ მხოლოდ ხელით და ცდილობენ მოწინააღმდეგის გუნდის კარში გაიტანონ ბურთი.

ა) სპორტის ორივე სახეობა მრავალ ქვეყანაშია გავრცელებული.
ბ) ორი მოწინააღმდეგე გუნდი ერთმანეთს მართკუთხა მინდორზე ეთამაშება.
გ) ორივე გუნდის მიზანია მოწინააღმდეგის კარში ბურთის გატანა.
დ) ორივე სახეობაში გამარჯვებულმა გუნდმა მეტი გოლი უნდა გაიტანოს.

ყურადღებით გაეცანით თითოეული დავალების პირობას, გააანალიზეთ პასუხების შემოთავაზებული ვარიანტები და მხოლოდ ამის შემდეგ მონიშნეთ სწორი პასუხი.

საატესტაციო გამოცდა უცხოურ ენებში ამოწმებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრამატიკული და ლექსიკური მასალის ცოდნას, ასევე სამეტყველო ფუნქციებს და წაკითხულის გააზრებას.

გამოყენებულია სავარჯიშოს ორი ტიპი:

- **წაიკითხეთ წინადადება და აირჩიეთ სწორი პასუხი.**
- **წაიკითხეთ ტექსტი (დიალოგი) და გაეცით პასუხი დასმულ შეკითხვას.**

დავალებებში, რომლებიც წაკითხულის გააზრებას ამოწმებს, გამოყენებულია მცირე ზომის ბიოგრაფიული და შემეცნებითი ხასიათის ტექსტები, ასევე წერილი, დღიური, რეკლამა და ა. შ. სირთულის დონე შეესაბამება ევროსაბჭოს მიერ გათვალისწინებულ ენის ფლობის A2/B1.1 დონეებს.

ა) გერმანული ენა

Lesen Sie die Sätze und markieren Sie die passende Antwort

1. Gestern ..... ich einen Brief an meine Brieffreundin.

A schreibte
B schrieb
C schriebte
D geschrieben

2. Heute haben wir im Unterricht ..... Umweltprobleme gesprochen.

A über
B mit
C zu
D auf

3. ..... ich klein war, ging ich gerne ins Puppentheater.

A wenn
B als
C dass
D ob

4. In diesem Cafe ..... verschiedene Eissorten angeboten.

A werden
B haben
C ist
D wird

5. Wir wohnen in einem ..... Haus am Stadtrand.

A altes
B alte
C alten
D altem

6. Alle haben Hunger. Die Mutter ..... den Tisch.

A kauft
B deckt
C repariert
D putzt

7. Kennst du Annas Adresse. Ich will sie morgen ..... .

A besuchen
B anrufen
C einladen
D besichtigen

8. Ich reise morgen nach Batumi. Die ..... habe ich schon gekauft.

A Speisekarte
B Eintrittskarte
C Spielkarte
D Fahrkarte

9. Lika hatte eine schlimme Grippe, aber jatzt ist sie schon wieder ..... .

A lustig
B fleißig
C gesund
D gut

Lesen Sie die Fragen und markieren Sie die passende Antwort

10. Wo hast du deine Frau kennengelernt?

A Vor zwei Jahren.
B Bei einem Geburtstag.
C Meine Frau lernt Spanisch.
D Ich kenne viele Frauen.

11. Was machst du heute abend?

A Am Abend ist es kalt.
B Ich mache keine Fehler.
C Ich gehe zu meiner Freundin.
D Guten Abend.

12. Wie komme ich zum Staatlichen Museum?

A Am liebsten mit dem Bus.
B Das Museum öffnet um 11 Uhr.
C Ich gehe gern ins Museum.
D Mein Vater arbeitet im Museum.

Lesen Sie die Texte und markieren Sie die passende Antwort

13. Dato wohnt in einem kleinen Dorf. In seinem Dorf gibt es keine Schule, deswegen muss er jeden Tag 10 Kilometer mit dem Bus fahren. Morgens muss er früh aufstehen, um rechtzeitig in die Schule zu kommen. Manchmal gibt es im Bus keinen freien Platz und er muss stehen. Wenn der Vater Zeit hat, bringt er ihn mit dem Auto in die Schule.
Was wird im Text beschrieben?

A Wie Dato in der Schule lernt.
B Wie Datos Vater zur Arbeit fährt.
C Wie Dato seine Freizeit verbringt.
D Wie Dato zur Schule fährt.

14. Die erste Straßenbahnlinie der Welt gab es in der Stadt New York. Die Strecke verlief durch den New Yorker Stadtteil Manhattan. Diese Strassenbahn fuhr zwar auf Gleisen, aber sie wurde von Pferden gezogen. Sie bestand aus drei Waggons und konnte 30 Menschen transportieren, sie wurde aber auch zur Transportierung von Waren und Lebensmittel genutzt.
Was steht im Text:

A Mit der Straßenbahn wurden Menschen und Waren transportiert.
B Die Straßenbahn wurde von 30 Menschen gezogen.
C Die Strassenbahn bestand aus einem Waggon.
D Mit den Waggons wurden Pferde transportiert.

Markieren Sie die passende Antwort

15. Wo findet das Gespräch statt?
– Was wünschen Sie?
– Einen Schnitzel mit Salat.
– Was für einen Salat?
– Einen Tomatensalat, bitte.
– Was Trinken Sie?
– Ein Bier.
– Sonst noch etwas?
– Nein, danke.

A Im Supermarkt
B Im Gemüsegeschäft
C Im Restaurant
D Im Kaufhaus

ბ) ინგლისური ენა

Read the sentences and mark the correct choice.

1. The Grand Canyon ..... by thousands of tourists every year.
A was visited
B has been visited
C is visited
D would be visited

2. The forest fire ..... the whole suburb last summer.
A destroyed
B had destroyed
C destroys
D has destroyed

3. She walked into her ..... office without anybody noticing her.
A sisters
B sister
C sisters'
D sister's

4. ..... author of " A Farewell to Arms' is a famous American writer.
A A
B -
C The
D An

5. John is ..... than Mike.
A tall
B taller
C tallest
D very tall

6. My favourite ..... at school was literature.
A teacher
B friend
C question
D subject

7. Natalie wants to go to the ..... to enjoy beautiful sunsets and the sandy beach.
A mountains
B country
C seaside
D abroad

8. She hurt her ..... so much that can't even hold a cup of tea.
A hand
B head
C leg
D knee

9. Her dress was ..... and she asked her mother to wash it.
A clean
B dirty
C cold
D hot

Read the questions and mark the correct answers.

10. Can I offer a lift home?
A You can.
B You can't.
C It's very kind of you.
D I will walk.

11. Hi, Sallie, how are you?
A And you?
B Thanks.
C Hi.
D I'm fine, thank you.

12. How old are you?
A I'm not old.
B Eighteen.
C I'm young.
D I'm old old.

Read the texts and mark the correct answers.

13. Cats make great pets. Many people love them. They are easy to take care of. They are also very helpful. On farms they keep away mice and rats. Cats are very friendly and bring happiness to their owners. They are very playful and smart too! Cats always know what they want and how to get it from their owners. They are usually not mean. There are 63 million cats in America today. This means more people own cats than dogs.
The text is about
A farmers and their friends.
B dogs and their owners.
C dangerous pets.
D cats as pets.

14. Whales are mammals. They breathe air like us. They rise to the surface of the water to breathe. They live in the oceans of the world. There are many different kinds of whales. Some are the killer whale, humpback whale, sperm whale and grey whale. They are some of the largest animals. The largest whale is the blue whale. It can grow to be a hundred feet long and weigh as much as 15 elephants. It is the biggest animal on earth.
Which is the largest whale?
A The killer whale.
B The blue whale.
C The humpback whale.
D The grey whale.

Read the dialogue and mark the correct answer.

15. Where does this dialogue take place?
– Can you have a look at my car?
– What's wrong with it?
– It won't start.
– I see, but you'll have to wait. I have to finish with this car first.

A At the car shop
B At the car repair shop
C At the car exhibition hall
D At the sports hall

გ) რუსული ენა

Прочитайте предложения и выберите правильный вариант ответа.

1. Сестра часто пользуется ……, она любит говорить с подругами о последних новостях.
А телефону
Б телефона
В телефоном
Г телефон

2. Мы познакомились с соседкой. Я узнал, что …… зовут Марина.
А её
Б она
В ей
Г с ней

3. Одним из …… сооружений в Москве является церковь Святой Троицы.
А интересный
Б интереснее
В интереснейших
Г интересно

4. Чтобы осмотреть все залы знаменитого музея Эрмитаж, надо пройти …… километров.
А двадцать
Б двадцати
В с двадцатью
Г по двадцать

5. На станции метро «Площадь Вокзальная» мне надо было …… пересадку.
А сделал
Б сделаю
В делаю
Г сделать

6. В соседней комнате спит ребёнок. Попросите Ваших друзей не разговаривать …… .
А громко
Б вежливо
В тихо
Г спокойно

7. За контрольную работу я получил десять баллов. Преподаватель был …… мною.
А рад
Б весел
В доволен
Г огорчён

8. Погода в этом году нас …… . Дни стоят прекрасные.
А балует
Б огорчает
В нервирует
Г волнует

9. Каждую весну к нам на балкон …… ласточки.
А вылетают
Б улетают
В отлетают
Г прилетают

Прочитайте реплики. Выберите правильный вариант ответа.

10. Извините, где находится стадион?
А Увлекаюсь футболом.
Б С радостью пойду.
В Обязательно поиграем.
Г К сожалению, не знаю.

11. Сколько километров до города?
А Полчаса.
Б Неизвестно.
В Три метра.
Г Три дня.

12. Будь осторожен, переходя улицу!
А Боюсь.
Б Тороплюсь.
В Постараюсь.
Г Волнуюсь.

Прочитайте текст. Выберите правильный вариант ответа.

13. Продуктовый магазин №1 в Санкт-Петербурге знают все жители города. Его называют Елисеевским в память о бывшем владельце. Магазину уже более двухсот лет, но он продолжает восхищать всех и сегодня. В оформлении интерьера торгового зала использованы скульптуры, в нём много зеркал, очень красивы люстры в виде букетов цветов. Елисеевский магазин отличается от любого другого магазина в городе красотой и богатством ассортимента.
В Елисеевском магазине Санкт- Петербурга продаются

А ☐ букеты цветов.
Б ☐ зеркала.
В ☐ продукты.
Г ☐ люстры.

14. В русском языке при обращении к человеку, старшему по возрасту или по положению, употребляется обращение «Вы»: «Как у Вас дела? Как Вы живёте?» Впервые обращение на «Вы» появилось в России в XVIII веке. Так именовали человека, которого уважали. Этим словом как бы говорили: «Вы один, но стоите многих». Чаще всего в языках используется два местоимения-обращения. Однако в английском языке существует лишь одно – «ты», в испанском и португальском их четыре, а в румынском – три. Сколько форм обращения существует у большинства народов мира?

А ☐ Две формы
Б ☐ Одна форма
В ☐ Три формы
Г ☐ Четыре формы

Где происходит диалог. Выберите правильный вариант ответа.

15. – Почему ты не поехал на экскурсию?
– Плохо себя чувствовал.
– Что случилось? Ты ходил к врачу?
– Да, я был в поликлинике. Врач сказал, что надо дня три побыть дома и принимать лекарство.
– Давай, я схожу за ним в аптеку.
– Буду очень тебе благодарен. Вот рецепт.

А ☐ У врача.
Б ☐ В аптеке.
В ☐ На экскурсии.
Г ☐ Дома.

დ) ფრანგული ენა

Trouvez la bonne réponse

1. Nous allons au Canada pour y voir nos anciens amis .....

A ☐ canadien
B ☐ canadiens
C ☐ canadienne
D ☐ canadiennes

2. Ma grand-mère perd toujours ..... lunettes.

A ☐ son
B ☐ sa
C ☐ ses
D ☐ les siennes

3. Je partirai pour Nice ..... été.

A ☐ cette
B. cet
C ☐ ce
D ☐ ces

4. Comme dessert, mes parents commandent des glaces ..... chocolat.

A ☐ au
B ☐ à l'
C ☐ à la
D ☐ aux

5. Les touristes géorgiens sont ..... dans la tour de Notre Dame.

A ☐ monté
B ☐ montée
C ☐ montés
D ☐ montées

6. Tu dois réparer ta montre, elle ne ..... plus.

A ☐ avance
B ☐ marche
C ☐ retarde
D ☐ indique

7. On fait un tel bruit ici que j'ai mal.....

A ☐ au cœur
B ☐ aux dents
C ☐ aux yeux
D ☐ aux oreilles

8. Pour voir ce match je ..... aller au stade.

A ☐ insiste
B. plais
C ☐ rêve
D ☐ dois

9. Il fait beau dehors, voudriez-vous vous ..... après le dîner ?

A ☐ promener
B ☐ lever
C ☐ laver
D ☐ réveiller

10. Pourquoi rougis-tu ?
A Parce que j'ai peur.
B Parce que j'ai faim.
C Parce que j'ai honte.
D Parce que j'ai sommeil.

11. Quel vin préférez-vous ?
A Je préfère le vin rouge.
B Je n'aime pas le vin rouge.
C Je n'aime pas le vin blanc.
D J'aime la limonade.

12. Qu'est-ce que vous faites si vous êtes pressé ?
A Je m'assieds
B Je reste sur place
C Je n'accélère pas le pas
D Je cours

Lisez le texte et trouvez la bonne réponse

13. Les vacances ont commencé. Cette année, comme d'habitude, je suis à Bakouriani, dans un petit hôtel. Il neige. Chaque matin je fais du ski, de la luge ou du cheval. Mes copains d'école sont avec moi. Le soir, nous nous réunissons dans le grand salon, devant la télé et nous regardons les jeux olympiques. Nous passons bien le temps.
D'après le texte, l'action se passe
A à l'école
B aux Jeux Olympiques
C à la montagne
D à la mer

14. Antoine est un jeune homme égoïste. Il ne fait que ce qui lui plaît. Il ne se préoccupe absolument pas des autres. Tout le monde doit être à sa disposition. C'est lui qui est présent, d'autres n'existent pas. On lui demande un petit service ; il fait comme s'il n'en avait rien entendu. Il n'écoute pas les autres. Il leur coupe la parole. Il ne s'intéresse qu'à lui-même. Quand quelqu'un se moque gentiment de lui il se met en colère. S'il continue de la sorte il va se faire détester de tout le monde.
D'après le texte, Antoine est une personne
A gentille
B attentive
C serviable
D désagréable

Où se passe l'action? Trouvez la bonne réponse

15. - Bonjour, Madame.
- Bonjour, Monsieur.
- Je voudrais acheter un bouquet de fleurs.
- J'ai de belles tulipes rouges dont le prix est peu élevé actuellement.
- Oui, elles sont belles.
- Combien en faut-il ?
- Une vingtaine ferait mon affaire.
- Voici votre bouquet. Cela fait 11 euros.
- Merci, Madame.

A Chez une fleuriste
B Chez un marchand de légumes
C Chez un botaniste
D Chez un paysagiste

ტესტების პასუხები

ქართული ენა და ლიტერატურა

პასუხები: 1. გ 2. დ 3. გ 4. ა 5. ბ 6. ბ 7. გ 8. გ 9. დ 10. ბ 11. გ 12. ა 13. ბ 14. ა 15. გ

ქართულ, როგორც მეორე ენა (არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეთათვის)

პასუხები: 1. ბ 2. ა 3. გ 4. დ 5. ბ 6. დ 7. გ 8. ბ 9. დ 10. გ 11. დ 12. ბ 13. გ 14. ბ 15. გ

უცხოური ენები

გერმანული ენა

პასუხები: 1.B 2.A 3.B 4.A 5.C 6.B 7.A 8.D 9.C 10. B 11.C 12.A 13.D 14.A 15.C

ინგლისური ენა

პასუხები: 1.C 2.A 3.D 4.C 5.B 6.D 7.C 8.A 9.B 10.C 11.D 12.B 13.D 14.B 15.B

რუსული ენა

პასუხები: 1.B 2.A 3.B 4.A 5.Г 6.A 7.B 8.A 9.Г 10.Г 11.Б 12.B 13.B 14.A 15.Г

ფრანგული ენა

პასუხები: 1.B 2.C 3.B 4.A 5.C 6.B 7.D 8.D 9.A 10.C 11.A 12.D 13.C 14.D 15.A